გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№31 (787) 20 - 21 მარტი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

„ჩვენი სავიზიტო ბარათი ის იქნება, რომ საბოლოოდ დავუსვამთ წერტილს კორუფციას!“

რას ერჩიან აღასანიას თანაგუნდელებს და რას პასუხობს პოლიტიკურ ოპონენტებს ალექსი პეტრიაშვილი გვ. 4

ვანო მერაბიშვილის დედას პროკურატურაში იბარებენ?!

რა მასაღებს სწავლობს მთავარი პროკურატურა ჟენია მერაბიშვილის შესახებ?!

გვ. 3

ახალი ბრალდებები კახა ბენდუქიძის წინააღმდეგ

რას უხსენებენ აგრარული უნივერსიტეტის მფლობელს ყოფილი თანამშრომლები? გვ. 6

„პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ხალხმა აგვირჩია და მის მიერ დანიშნული მთავრობა არ ვართ!“



რაზე ოცნებობდა საფრანგეთში ირაკლი ღარიბაშვილი და რომელი მინისტრები დააჯარიმა პატრულმა გვ. 5

კახა კალაძე „თელასსა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნებს უყენებს

გვ. 2

რა არის ავტორიზაცია და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლებელი მის მისაღებად

იმ სასწავლებლების სია, რომლებსაც 2010 წლიდან დღემდე ავტორიზაცია გაუუქმდათ გვ. 13

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ყველა ბრალდებას პასუხობს

გვ. 8

„მირჩევნია, ევროპამ სულ დედ-მამის სული აგინოს ჩვენ მთავრობას, ვიდრე ამ ქარტიას ხელი მოვაწეროთ“

რატომ არის „ნაცმოძრაობა“ თანამედროვე „მხედრიონი“ და რა გეგმა აქვს ივანიშვილს სააკაშვილის წინააღმდეგ გვ. 7

26 ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

რა ვალდებულებას იღებს სახელმწიფო ამ კატეგორიის ობიექტების მიმართ და რა სქემით აპირებდნენ „ნაციონალები“ თეატრალური უნივერსიტეტის გაყიდვას გვ. 15

რის გამო დაუპირისპირდნენ ყოფილი კალათბურთელები ბესო ლიპარტელიანს და რა დაპირება მიიღო პრემიერ ივანიშვილისგან

კახა კალაძე „თელასსა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნებს უყენებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, ვიცე-პრემიერი, კახა კალაძე ელექტრონული და ბეჭდური მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. „ვუპასუხეთ ყველა კითხვას, რაც არსებობს, დაწყებული ენერგეტიკის როგორც ზოგადი, ასევე — კონკრეტული საკითხებით და დამთავრებული მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებით. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, რაც დაგვეხმარება, ეფექტურად მივიტანოთ სათქმელი მოსახლეობამდე, რათა მეტი კომუნიკაცია გვქონდეს ხალხთან“, — ასე შეაფასა კახა კალაძემ ეს შეხვედრა სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე.

ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფები მომავალშიც გადაიხედება. მემორანდუმები, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში, კომპანიებთან გაფორმდა, მათივე მოთხოვნით, არ საჯაროვდება, თუმცა კახა კალაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ ამიერიდან, ნებისმიერი ხელშეკრულება თუ მემორანდუმი, რასაც ენერგოკომპანიებთან გააფორმებენ, საჯარო და გამჭვირვალე იქნება.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოსახლეობა დღემდე დიფერენცირებულ ტარიფს იხდის, რაც მინისტრს ცალსახად არ მოსწონს. განსაკუთრებით, გაზის ტარიფს აპროტესტებს. კახა კალაძე ამბობს, რომ ის აბონენტები, რომლებიც „ყაზტრანსგაზთბილისის“ ქსელში 2008 წლამდეა ჩართული, 1 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში 50 თეთრს იხდიან, ხოლო ის აბონენტები, როლებიც ქსელში 2008 წლის შემდეგ ჩაერთნენ, 55-დან 65 თეთრამდე იხდიან. მინისტრის განცხადებით, ეს აშკარად დისკრიმინაციული მიდგომაა, რაც მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. შესაბამისად, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს, რათა ერთიანი ტარიფი დაწესდეს.

„ვერსიის“ კითხვაზე, რა ხდება ქსელების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რათა ელექტროენერგია არ გაითიშოს, რასაც არა მარტო რეგიონების, არამედ — დედაქალაქის მოსახლეობაც მიეჩვია, კახა კალაძემ უპასუხა: **„ზოგადად, ამ მხრივ, გარკვეული პრობლემები არსებობს. მაგალითად, კახეთში სავალალო მდგომარეობაა. კახეთის სადისტრიბუციო კომპანია გაკოტრების რეჟიმშია და პრობლემები აქვს. მომავალ კვირას ვხვდებით ლიტვურ კომპანია „ახემა ჯგუფს“, რომელიც კახეთის სადისტრიბუციო კომპანიას ფლობდა. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი საქართველოს წინა ხელისუფლებამ მიზანმიმართულად გააკოტრა. არ ვიცი, რამდენად არგუმენტირებულები არიან, როდესაც ასეთ განცხადებებს აკეთებენ. ამ თემაზე საუბრის გაგრძელება არ მინდა, მაგრამ პრობლემები სერიოზულია. რა თქმა უნდა, სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩატარდეს და სწორედ ამიტომ დავიწყეთ შეხვედრები „თელასისა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან. მათგან მოვითხოვ, გამრიცხველიანება დროულად დაასრულონ. წინა ხელისუფლება ამაყობდა, რომ ქვეყანაში გამრიცხველიანების პროცესი დაიწყეს, რაც 2015 წელს უნდა დასრულებულიყო. ჩვენ მივმართეთ „ენერგო-პროსა“ და „თელასს“, მაგრამ არანაირი ხელშეკრულება ან მემორანდუმი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ გამრიცხველიანება 2015 წელს უნდა დასრულდეს. ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ამავდროულად, იმის ნათელი მაგალითიცაა, როგორ ატყუებდა წინა ხელისუფლება ქვეყნის მოსახლეობას. უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და გავაფორმებთ მემორანდუმს, რათა ამ დოკუმენტს გარკვეული ძალა ჰქონდეს. თუ რომელიმე კომპანია გათვალისწინებულ მოთხოვნებს არ შეასრულებს, პასუხსაც მოვთხოვთ. მეგობრობით, კაი ბიჭობითა და ძმური დამოკიდებულებით, ასეთი საკითხები არ წყდება. ყველაფერს თავისი სახე უნდა მიეცეს, როგორც ნორმალურ და განვითარებულ ქვეყნებში ხდება. მაქსიმალურად ვითხოვთ ამ კომპანიებისგან, საგაზაფხულო-საზაფხულო სამუშაოების გეგმა წარმოგვიდგინონ, რა გაკეთდება ან რა სამუშაოები ჩატარდება“.**

ჟურნალისტებთან შეხვედრას არც პოლიტიკური კითხვების გარეშე ჩაუვლია, რადგან კახა კალაძე ვიცე-პრემიერია. მთავარი თემა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი იყო, რომელიც ევროპის სახალხო პარტიას მისწერა და რომელიც საპარლამენტო უმცირესობამ ირონიულად მიიღო. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები დაუფარავად აცხადებენ, რომ ივანიშვილის ეპისტოლარული ჟანრი და ზოგადად, წერილობითი ფორმა მოძველებულია, კახა კალაძე კი, პირიქით, აცხადებს, რომ ეს მნიშვნელოვანი წერილი იყო, სადაც პრემიერ-მინისტრი პუნქტობრივად აღწერს, რა ხდებოდა საქართველოში, სააკაშვილის მმართველობის დროს: **„სახალხო პარტია ევროპას ნამდვილად არ წარმოადგენს. ჩვენი მისწრაფება ევროპის სრულუფლებიანი წევრობაა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. არ უნდა ავყვეთ სააკაშვილის ილუზიებს, რომ საქართველო ევროპასა და ნატო-სთან ისე ახლოსაა, როგორც არასოდეს. ბიძინა ივანიშვილის წერილი დროული და მნიშვნელოვანი იყო. როდესაც სახალხო პარტიის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ საქართველოში, სერიოზული ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენლის საძინებელში მივიდნენ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ადამიანები საძინებლებიდან გამოვლენ და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას შეხვდებიან. მხოლოდ ასე გაიგებენ, რა ხდება დღეს ქვეყანაში, რა ცვლილებებია და რას ელოდებოდა ქვეყნის მოსახლეობა. სააკაშვილი კი ჩადიოდა ევროპაში და ყველას არწმუნებდა, რომ დემოკრატი იყო, რომ ქვეყანას დემოკრატიულად ავითარებდა და მოსახლეობაც კმაყოფილი იყო. ფაქტობრივად, ლობისტების დახმარებით, სააკაშვილმა შეძლო და ვირტუალური საქართველო შექმნა, რომელიც არ არსებობს, მაგრამ ამ ვირტუალურ ქვეყანაში, თითოეული მოქალაქე ბედნიერი, დასაქმებული და კმაყოფილია. სინამდვილეში, კარგად ვიცით, რა ხდებოდა 9 წლის განმავლობაში, როგორ ეპყრობოდნენ ადამიანებს და როგორი დამოკიდებულება იყო მოსახლეობის მიმართ“.**

ნოდარ ხადური: „არავის აქვს ილუზია, რომ ბიუჯეტი ერთ წელიწადში, მით უმეტეს წელს მოახერხებს საბჭოთა ანაბრების გასტუმრებას“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, „არავის აქვს იმის ილუზია, რომ ბიუჯეტი ერთ წელიწადში, მით უმეტეს წელს მოახერხებს საბჭოთა ანაბრების გასტუმრებას“.

კითხვაზე — თუ აპირებს ახალი მთავრობა საბჭოთა ანაბრების გასტუმრების თემაზე მუშაობას, ხადურმა უპასუხა, რომ ამ პრობლემისადმი ინსტიტუციური მიდგომაა საჭირო.

„არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც ეს ანაბრები აყვანილია საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალში. თუმცა, ერთი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ არ გვაქვს ეს ზუსტად დათვლილი. ამიტომ ფინანსთა სამინისტროში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობს სახელმწიფოს შიდა ვალზე, ჩვენ უნდა გადავთვალოთ. ჩვენი ამოცანაა, უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ და შემდეგ ვიფიქროთ იმაზე, თუ რა მექანიზმები შეიძლება, გამოიძებნოს ამისთვის. სხვადასხვა გათვლები არსებობს. თავისთავად არავის აქვს იმის ილუზია, რომ ბიუჯეტი ერთ წელიწადში, მით უმეტეს წელს, მოახერხებს ამის გასტუმრებას, მაგრამ ჩვენ ინსტიტუციურად უნდა შევხედოთ ამ პრობლემას და ერთხელ და სამუდამოდ საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რამდენი გვაქვს საშინაო ვალი“, — განაცხადა ხადურმა.

„პირველი“

ვერსიანიუსი

კახი კახიშვილი: „კარგი იქნება, თუ ხელისუფლება შუალედურ არჩევნებში სამივე ოლქს არასაპარლამენტო ოპოზიციას დაუთმობს“

„საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების ცენტრის“ ხელმძღვანელის, კახი კახიშვილის განცხადებით, კარგი იქნება, თუ ხელისუფლება შუალედურ არჩევნებში სამივე ოლქს არასაპარლამენტო ოპოზიციას დაუთმობს, რადგან ეს საკანონმდებლო ორგანოში პოლიტიკურ პლურალიზმსა და მრავალფეროვნებას განაპირობებს. **„მე იმ სამ ოლქს საერთოდ დავუთმობდი არასაპარლამენტო ოპოზიციას, რათა თუნდაც ღარიბაშვილი რომ მოვა პარლამენტში, შეხვედრა ასეთი ჯვარედინი დაკითხვის სტილში აღარ წარიმართოს. გარდა ამისა, ეს კარგი ჟესტი იქნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართაც, რომ მმართველი ძალა პოლიტიკური ველის მონოპოლიზებას არ ახდენს“,** — განაცხადა კახიშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნული ოლქების კვოტასთან დაკავშირებით კოალიციაში შიდა პარტიული ბრძოლები უკვე დაიწყო.

კახი კახიშვილი პრეზიდენტის მიერ მთავრობის სავარაუდო დათხოვნასაც შეეხო და განაცხადა, რომ **„მთავრობის დათხოვნის შემთხვევაში, საზოგადოების პროტესტი ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკური სივრციდან წალეკავს“.**

კახიშვილი მიიჩნევს, რომ სტრატეგიულად თავიდანვე არასწორი იყო, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ აღნიშნულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე დიდი პიარი ააგო, მას პოლიტიკური ფასი აუწია და პოლიტიკური ვაჭრობის საგნად აქცია: **„სააკაშვილმა თავადაც კარგად იცის, რომ მთავრობას ვერ დაითხოვს. თუნდაც შემდგომში განვითარებული პროცესების შიშით, ვერ გააკეთებს ამას. საქმე ისაა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით მოახერხა და სიდიდით მეორე ოპოზიციურ პარტიად დაიმკვიდრა თავი. მან შეძლო ინიციატივების ხელში აღება, მედია სივრცის ოკუპირება და თემებს მუდმივად კარნახობს ხელისუფლებას. ასეთ ვითარებაში სააკაშვილისთვის ძალიან სახიფათოა ისეთი სარისკო ნაბიჯების გადადგმა, როგორიცაა მთავრობის დათხოვნა. ეს არ არის გილაურის ტიპის მთავრობა. ამას შეურაცხყოფის მიზნით არ ვამბობ, არამედ მთავრობის მეთაურის კონტექსტიდან გამომდინარე. ამ მთავრობის ხელმძღვანელზე დიდი იმედებია საქართველოს მოსახლეობაში, ხალხმა ის პირდაპირი წესით პრეზიდენტად არ აირჩია, მაგრამ ირიბად აირჩია მთავრობის თავმჯდომარედ. აქედან გამომდინარე, საუბარი იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილს მიშა სააკაშვილი დაითხოვს, არასერიოზულია. მთავრობის დათხოვნა დროში გაწერილი პროცედურაა და ეს დრო საკმარისია იმისთვის, რომ საზოგადოების მხრიდან ისეთი საპროტესტო ტალღა აგორდეს, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური სივრციდან წალეკოს“.**

„პირველი“

ვანო მერაბიშვილის დედას პროკურატურაში იბარებენ?!

რა მასაღებს სწავლობს მთავარი პროკურატურა ჟენია მერაბიშვილის შესახებ?!

ეკა სეხნიაშვილი

ვანო მერაბიშვილის დედა, შესაძლოა, პროკურატურაში დაიბარონ. ჯერჯერობით, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებზე კონკრეტულად არავინ საუბრობს, თუმცა ახალციხის მეხუთე საჯარო სკოლის დირექტორის საქმიანობისა და ერთი შემთხვევის შესახებ ფაქტების მოკვლევა ჯერ განათლების სამინისტროს აუდიტის სამსახურმა დაიწყო, ხოლო როგორც შევიტყვეთ, ახლახან პროკურატურის ინტერესისა და მოკვლევის საგანიც გახდა.

ახალციხის მეხუთე საჯარო სკოლის დირექტორის, ვანო მერაბიშვილის დედის, ჟენია მერაბიშვილის მიერ მოსწავლეებსა და დამლაგებელზე ძალადობის ფაქტს საქართველოს მთავარი პროკურატურა სწავლობს. ირკვევა, რომ პროკურატურამ საქმის მოკვლევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაგზავნილი წერილის საფუძველზე დაიწყო. „ვერსიასთან“ საუბრისას, საქართველოს მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ხათუნა პაიჭაძე გვიდასტურებს, რომ **„მასალები მერაბიშვილის დედაზე პროკურატურაში შესულია და მიმდინარეობს შესწავლა. თუ სისხლის სამართლის ნიშნები გამოიკვეთება, საქმე აღიძვრება და გამოძიება დაიწყება“.**

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, საქმე 2013 წლის 13 თებერვალს, მე-5 საჯარო სკოლაში მომხდარ ფაქტს ეხება. ჟენია მერაბიშვილს სკოლის რამდენიმე მოსწავლესთან ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში ადანაშაულებდნენ, ასევე გავრცელდა ინფორმაცია სკოლის დამლაგებელთან დაპირისპირებაზეც. ამის თაობაზე შესაბამისი რეგიონული მედიის ჟურნალისტებს თავად დაზარალებული მოსწავლეები ესაუბრნენ. მალევე, აღნიშნული ფაქტით ჯერ სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა, ხოლო განათლების სამინისტრომ შიდა აუდიტი დაიწყო. წერილი სახალხო დამცველის აპარატიდან სამცხე-ჯავახეთის ოლქის პროკურორმა, გიორგი პაპუაშვილმა მიიღო და რეაგირებისთვის გენერალურ ინსპექციას გადაუგზავნა.

პროკურატურის შიდა წყაროებიდან ირკვევა, რომ მთავარმა პროკურატურამ წერილი განათლების სამინისტროსგან 5 მარტს მიიღო. ეს იყო ის დასკვნა, რომელიც განათლების სამინისტრომ, პროკურატურასთან ერთად, რეაგირებისთვის სამეურვეო საბჭოსაც გადასცა.

წერილით ირკვევა, რომ ახალციხის მეხუთე საჯარო სკოლის მოსწავლეები და დამლაგებელი, ამავე სკოლის დირექტორს, პარტია ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის დედას ცემაში ადანაშაულებდნენ. მერაბიშვილი ცემას უარყოფს, თუმცა მოხდა თუ არა აღნიშნული ფაქტი, ეს ალბათ, სამართალდამცავების გამოძიების პრეროგატივაა. ჟენია მერაბიშვილი 2012 წელს წლის საუკეთესო სკოლის დირექტორად დასახელდა, თუმცა, როგორც ჩანს, შვილის ოპოზიციაში გადასვლის შემდგომ, მის დირექტორობასაც წყალს შეუყენებენ.

ობიექტურობისთვის, ისიც უნდა ითქვას, რომ მერაბიშვილის დედას რეგიონში მომჩივნები, სკოლის მოსწავლეების გარდა, პარტაქტივშიც დაუგროვდა.

ახალციხეში, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები მათ მიმართ განხორციელებულ მუქარასა და ზეწოლაზე საუბრობდნენ. გიორგი ბერიძის თქმით, თუ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას არ შეწყვეტდა, პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის დედა ოჯახის განადგურებით ემუქრებოდა. ეს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მომხდარი ფაქტი იყო. ასევე ახალციხის მკვიდრმა გიორგი ნაკიმადოვმა მაშინ განაცხადა, რომ იგი პოლიციის სამმართველოში დაიბარეს და პირადად, სამმართველოს უფროსის მოადგილე ვახტანგ გეწაძემ გააფრთხილა, „ქართულ ოცნებასთან“ კავშირი გაეწყვიტა, თუმცა პრემიერ-მინისტრის დედა, ჟენია მერაბიშვილი საჯაროდ ასეთ კომენტარს აკეთებდა: **„ევროპისკენ მივდივართ და ძალიან კმაყოფილი ვარ. მე საერთოდ არ ვიცოდი, სად იყო ეგ ადამიანი. ახლა ოპოზიციაში ვართ და ღმერთმა გაუმარჯოს ივანიშვილს! მიხარია, რომ ასეთი კაცი მოვიდა“.** რაც შეეხება მის მიერ გიორგი ბერიძეზე მუქარის ფაქტს, ამ ფაქტს ჟენია მერაბიშვილი კატეგორიულად უარყოფდა.

რამდენად გახდება სკოლაში მომხდარი ინციდენტი პროკურატურის „საკბილო“, ამას დრო და გამოძიების ინტერესები გვაჩვენებს, თუმცა აღნიშნული ქმედება, დადასტურების შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთასაც ითვალისწინებს. გამორიცხული არაა, ჟენია მერაბიშვილი, უფრო დისციპლინური დევნის „ობიექტი“ გახდეს, ანუ უფრო მარტივად რომ ვივარაუდოთ, დირექტორის თანამდებობა დაატოვებინონ.

იურისტების განმარტებით, ცემა სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებაა და იგი სისხლის სამართლის კოდექსში 125-ე მუხლით ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით 120-დან 180 საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით 15 თვემდე. ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვანის მიმართ, ამავე მუხლის მეორე ნაწილით, 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთასაც ითვალისწინებს.

მართალია, პროკურატურას ჯერ ჟენია მერაბიშვილის შესახებ გადაწყვეტილება არ გაუსაჯაროებია, თუმცა „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ ეს მერაბიშვილის დედაზე პროვინციული შურისძიებაა და მეტი არაფერი.

თბილისის პროკურორად მაია მწარიაშვილი დაინიშნა

19 მარტს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა და მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა თბილისის პროკურატურის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი — მაია მწარიაშვილი წარუდგინეს. იუსტიციის მინისტრმა ახალი პროკურორის წარდგენისას ყოფილი პროკურორის — დავით კოჭლამაზაშვილის დამსახურებებზე ისაუბრა და მას მადლობა გადაუხადა. როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, დავით კოჭლამაზაშვილმა ბოლო თვეების განმავლობაში საკმაოდ მძიმე შრომა გასწია და შეძლო, თბილისის პროკურატურა სწორ გზაზე ეტარებინა. სწორედ ამიტომ, ყოფილი პროკურორი მთავარი პროკურატურის ცენტრალურ აპარატში გააგრძელებს მუშაობას.

მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის თქმით, აღნიშნული დეპარტამენტი საპროცესო ზედამხედველობას განახორციელებს თავდაცვისა და სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე გამოძიებებზე.

„აღნიშნულ საქმეებს მკაცრი და გაწონასწორებული საპროკურორო ზედამხედველობა სჭირდება, რისი მოლოდინიც გვაქვს სწორედ დავით კოჭლამაზაშვილისგან“, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

თბილისის პროკურორად დანიშვნამდე, მაია მწარიაშვილი მთავარ პროკურატურაში საგამოძიებო ნაწილს ხელმძღვანელობდა. ახალდანიშნული პროკურორი დედაქალაქის მაცხოვრებლებს ჰპირდება, რომ მისი უწყება მაქსიმალურად სანდო და ობიექტური იქნება. მთავარ პრიორიტეტად კი პროკურატურის ყველა რგოლის მიმართ ნდობის აღდგენას გაიხდის: **„თბილისელებს შემიძლია დავპირდე, რომ ეს პროკურატურა იქნება მაქსიმალურად ობიექტური და სანდო დაწესებულება მოქალაქეებისათვის, ისეთი დაწესებულება, რომელიც აფასებს პროფესიულ ღირსებას“.**

მწარიაშვილის თქმით, საკადრო ცვლილებები მნიშვნელოვანი და მასშტაბური არ იქნება, თუმცა არ გამორიცხავს, მთავარ პროკურორთან შეთანხმებით, გარკვეული გადანაცვლება მოხდეს. მის უწყებაში გადმოინაცვლებს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში არსებული საქმეების ნაწილიც. **„მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, სადაც მე ვიყავი, იყო ყველა გახმაურებული საქმე, მათ შორის, რობაქიძის, გვირგვლიანის, ვაზაგაშვილის, 26 მაისის, 7 ნოემბრისა და ტელეკომპანია „იმედის“. საქმეების ნაწილი ქვემდებარობის წესით თბილისის პროკურატურაში გადმოვა და ეს ერთგვარი განტვირთვაც იქნება მთავარი პროკურატურისთვის, თუმცა კონკრეტულად, რომელი საქმეები გადმოვა, ჯერ გარკვეული არ არის“.**

აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, კბილაშვილმაც ისაუბრა და მწარიაშვილის პროფესიონალიზმსაც გაუსვა ხაზი: **„იგი ინტელექტუალი ადამიანია. გვინდა, მას მთავარი პროკურატურიდან მზითვად გამოვატანოთ რამდენიმე რეზონანსული საქმე, რომელსაც საგამოძიებო ნაწილი იძიებდა, ამ ნაბიჯით ჩვენ გვინდა, ხაზი გავუსვათ თბილისის პროკურატურის მნიშვნელობას“.**

იუსტიციის მინისტრის თქმით კი, ქვეყანაში უსამართლობის განცდა იმითაა გამოწვეული, რომ პროკურორები მოქალაქეებს სხვადასხვა სახის წერილებით იშორებდნენ თავიდან და მათ ინტერესებს არაფრად აგდებდნენ: **„საქართველოს მოქალაქეებში დღეს პროკურატურას არ აქვს აღდგენილი ის ნდობა, რომელიც უნდა ჰქონდეს. ჩემი მიზანია, პროკურორობა იყოს საამაყო თანამდებობა, რათა ახალგაზრდებს ოცნებად ექცეთ პროკურატურაში მუშაობა. მაია მწარიაშვილი საკმაოდ გამოცდილია და დიპლომიც აქვს, ჩემგან განსხვავებით. ჩვენ მას ხელს შევუწყობთ, რომ თბილისის პროკურატურა სამაგალითო გახდეს“,** — აღნიშნა თეა წულუკიანმა და აქვე დაამატა, რომ ამ ადამიანის პროკურორად მუშაობის წარმატებულობას, სამოსამართლო გამოცდილებაც შეუწყობს ხელს. მწარიაშვილის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი, პროკურატურის ორგანოებში ქალების დაწინაურების ხელშეწყობა დაასახელა: **„ჩემი მიზანია, პროკურატურის ორგანოებში დაწინაურდნენ ქალები“.**

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახურის თანამშრომლები გაათავისუფლეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობამ, რამდენიმე დღის წინ მიიღო გადაწყვეტილება, საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახურის სამი თანამშრომლის, მათ შორის, მუხრან ბურჭულაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. გადაწყვეტილებას 18 მარტს მოაწერეს ხელი, სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებით, 17 თებერვალს, მუხრან ბურჭულაძეს, იუსტიციის მინისტრმა პირადად გაუგზავნა გაფრთხილების წერილი, შეეწყვიტა საჯარო რეესტრის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება და გამოეჩინა მისი თანამდებობისათვის აუცილებელი თავშეკავება და კორექტულობა, აღარ დაეცინა საჯაროდ საკუთარი თანამშრომლებისთვის და გაეთავისებინა, რომ მის პროფესიულ მოვალეობებს შორის ერთ-ერთი პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა იყო. **„იუსტიციის მინისტრი მიიჩნევს, რომ მის გამგებლობაში შემავალი ყველა სფეროს მუშაკი არა ერთი რომელიმე პოლიტიკური მიმდინარეობის, არამედ ხალხის სამსახურში უნდა იდგეს. მუხრან ბურჭულაძემ ეს გაფრთხილება არ გაითვალისწინა“,** — განმარტავენ უწყებაში. ბურჭულაძის მიმართ შიდა კონტროლის სამსახურს გამოტანილი აქვს გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.

რაც შეეხება ამავე სამსახურის ორ სხვა თანამშრომელს — მანანა ნატროშვილსა და იმედო არჯევანიძეს, მათთან მიმართებაში, საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობას იგივე პრეტენზიები აქვს — ისინი არასათანადოდ ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს. ნატროშვილის მიმართ შიდა კონტროლის სამსახურს ასევე გამოტანილი აქვს გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ, თუმცა სამინისტროსვე ინფორმაციით, 18 მარტს იუსტიციის მინისტრი არ დაეთანხმა ამ ორი თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ ბრძანებას და მათთვის გამოსაცდელი პერიოდის მიცემა ითხოვა.

„მიუხედავად ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ სამი თანამშრომელი საჯარო რეესტრის მუშაობის პარალიზებას შეეცადა და თანამშრომლებს გაფიცვისაკენ მოუწოდა, იუსტიციის მინისტრმა აზრი შეიცვალა და ეს ორი თანამშრომელიც, ამ წუთიდან, გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან“, — აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახური აგრძელებს მუშაობას და მოქალაქეების მომსახურებას საფრთხე არ ემუქრება.

„პირველი“

ალექსი პეტრიაშვილი: „ჩვენი სავიზიტო ბარათი ის იქნება, რომ საბოლოოდ დავუსვამთ წერტილს კორუფციას!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რას ერჩიან ალასანიას თანაგუნდელებს და რას პასუხობს პოლიტიკურ ოპონენტებს ალექსი პეტრიაშვილი

სულ მალე, ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში, ევროკავშირის აღმოსავლეთ ქვეყნების პარტნიორობის სამიტი გაიმართება. ქართველი დიპლომატები ევროკავშირთან ასოცირების მოლაპარაკებების დასრულებას ელიან. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ალასანიას თანაგუნდელების პროდასავლური ორიენტაცია გარკვეულია, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ბიძინა ივანიშვილის საგარეო პოლიტიკური ვექტორის კურსი მაინც აეჭვებთ. რა არის ამის მიზეზი, რატომ გახდა აუცილებელი, საქართველოს საგარეო კურსი კონსტიტუციაში დაფიქსირდეს და რა ეკონომიკურ ეფექტს უნდა ელოდეს ჩვენი ქვეყანა ნატო-სა და ვეროკავშირში ინტეგრაციის შედეგად? „ვერსიას“ სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი ესაუბრება.

— ბატონო ალექსი, რატომ ეეჭვებათ თქვენს ოპონენტებს საქართველოს სწრაფვა დასავლეთისკენ და რას ელის ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის აღმოსავლეთ ქვეყნების პარტნიორობის სამიტიდან?

— ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, მკაფიოდ გამოვკვეთეთ საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, საქართველოს ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციაა. უახლოეს პერიოდში კი, ევროკავშირთან ასოცირებასა და თავისუფალი ვაჭრობის სივრცეზე მოლაპარაკებები დასრულდება, ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მორიგი რაუნდი შედგება და, რეალური საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს მოლაპარაკებები ბოლო რაუნდი იქნება. ამის შემდეგ, ვილნიუსის სამიტზე, ევროკავშირი ასოცირების შეთანხმების პარაფირებას (საერთაშორისო ხელშეკრულებაზე ოფიციალურად ხელის მოწერამდე, წინასწარ, მხოლოდ ინიციალებით ხელის მოწერა, — ავტ.) განახორციელებს. ეს არის უმნიშვნელოვანესი მომენტი საქართველოს ისტორიაში, რადგან ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირების შესახებ შეთანხმება სამართლებრივი დოკუმენტია, რომლითაც საქართველო უკვე პოლიტიკურად ასოცირდება ევროკავშირთან. ეს ის წერტილია, საიდანაც უკან შემოტრიალება შეუძლებელია და პროცესები მხოლოდ ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით განვითარდება. ამით ყველა კითხვას გაეცემა პასუხი, როგორც სკეპტიკოსებისა და ჩასაფრებულებისთვის, ასევე მათთვისაც, რომლებიც ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებენ საქართველოს ახალი ხელისუფლების მთავარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს.

— ამ პროცესში მთავარი საფრთხე რუსეთია, მაგრამ პოლიტიკური ოპონენტები აუცილებლად გეტყვიან, რომ ვილნიუსის სამიტთან დაკავშირებით, თქვენი ოპტიმიზმი გადაჭარბებულია.

— ყოველთვის უნდა ვიცოდეთ, როდესაც პრიორიტეტები, მიზნები სწორად გვაქვს დასახული და მოლაპარაკების პროცესში თანმიმდევრულები ვართ, ამით რისკი მცირდება. ჯერ ჩვენი პოლიტიკური ძალის დაარსებისა და შემდეგ, ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის დღიდან, საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებთან დაკავშირებით, ყოველგვარი ორაზროვნება გამოვრიცხეთ. აბსოლუტურად ცხადი იყო, რომ ევროპა და ევროატლანტიკური სივრცე, ჩვენი მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტია, მაგრამ, ამავდროულად, მთავარი ამოცანა, მეზობლებთან ურთიერთობების დარეგულირებაა. მართალია, ჯერ ამ პროცესისგან შორს ვართ, მაგრამ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ. შესაძლოა, ქართული პროდუქცია რუსეთის ბაზარზე დაბრუნდეს, საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გამარტივდეს და ამ თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად პოზიტიური წინსვლაა. ოღონდ, ამ პროცესის მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ ეს ყოველივე, საქართველოს ინტერესებისა და მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების სანაცვლოდ არ ხდება! ეს ყველამ კარგად იცის. მათ შორის, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმაც. უახლოეს სამიტებზე გარღვევა არ იქნება და მკითხველმა გადაჭარბებული მოლოდინი არ უნდა შეიქმნას. ამ პროცესს დრო სჭირდება. საქართველოს ხელისუფლება მობილიზებულია, რათა ამ მიმართულებით სწრაფი ნაბიჯებით ვიაროთ. ბუნებრივია, რუსეთი ამ პროცესს ყურადღებით აკვირდება, მაგრამ ეს ქართველი ხალხის არჩევანია და არა მხოლოდ ერთი, რომელიმე პოლიტიკური ძალისა. ეს საქართველოს მოსახლეობისა და ჩვენი წინაპრების ოცნებაა, რაც რეალურად, კონკრეტული შედეგებით, უკვე ხელშესახები ხდება. საბოლოო მწვერვალამდე და ოცნების ასრულებამდე, როდესაც ერთხელ და სამუდამოდ საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ევროპაში, ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ.

— ეს თემა პოლიტიკური ვაჭრობის საგანი მაინც გახდა, ამიტომ უნდა ჩაიწეროს კონსტიტუციაში, რა კურსს ირჩევს საქართველო?

— ჩემი აზრით, კონსტიტუციაში საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ერთგულების ასახვა, ჩვენი ოპონენტების მხრიდან, ქვეყნის შიდაპოლიტიკურ სცენაზე აქტიურობის გამოვლინების დემონსტრირება იყო. კონსტიტუციაში ამ პრიორიტეტების ასახვის არც აუცილებლობას ვხედავ და არც განსაკუთრებულ კატასტროფას, მაგრამ მიმაჩნია, რომ რეზოლუცია, რომელიც პარლამენტის წამყვანი კომიტეტების ერთობლივი მუშაობის შედეგად მიიღეს, ძალიან კარგი დოკუმენტია. როდესაც პრემიერ-მინისტრი პირველ ვიზიტად ბრიუსელში მიემგზავრება და შეხვედრებს მართავს როგორც ევროკავშირის ყველა უმაღლეს პირთან, ასევე ნატო-ს გენერალურ მდივანთან, როდესაც, პრაქტიკულად, ყოველ კვირას იმართება ქართველი მინისტრების სასარგებლო და ეფექტური შეხვედრები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში, ამის შემდეგ დამატებით, ფიცის დადება, ცოტა სასაცილოა. თუ პოლიტიკურ ოპონენტებს ამ შიშს მოვუხსნით, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, თუმცა გარწმუნებთ, ამის აუცილებლობა ნამდვილად არ იყო.

— ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ ალიანსში სწრაფვასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება... რატომ გგონიათ, რომ რუსეთი რიტორიკას შეცვლის და მოულოდნელად, კეთილგანწყობილი გახდება ჩვენს მიმართ?

— ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველო ახლა უფრო მეტად დამოუკიდებელია, ვიდრე წლების წინ იყო.

> **ენერგომომხმარებლიდან, ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა, ენერგომიმწოდებლად გარდაიქმნა, საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით სერიოზულადაა დაინტერესებული არა მარტო მეზობელი სახელმწიფოების კომპანიები, არამედ — ისეთი ბუმბერაზი ტრანსნაციონალური კომპანია, როგორიც ინდური TATA-ა, რომელიც მსხვილი ინვესტიციით აპირებს შემოსვლას. ამ თვალსაზრისით, საქართველოში მართლაც, არსებობს დიდი პოტენციალი და, შესაძლოა, ამით რუსეთის ელექტროენერგეტიკულმა კომპანიებმაც ისარგებლონ.**

თუ ენერგოუსაფრთხოებას გლობალურად შევხედავთ და ენერგეტიკისა და ენერგორესურსების სფეროში უკანასკნელ აღმოჩენებსაც გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ენერგომატარებლებზე დამოკიდებულება 10-20 წლის შემდეგ მინიმუმამდე დავა, რადგან „გაზპრომითა“ და ენერგომატარებლებით კუნთების დემონსტრირების ეპოქა სრულდება.

— მნიშვნელოვანია ევროკავშირის სავაჭრო ხელშეკრულება, რომლითაც ევროპის ბაზარი უნდა გაიხსნას, მაგრამ მას დიდი ბიუროკრატიული მექანიზმები და რეგულაციები ახლავს. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ერთი მხრივ, ევროკავშირის სტანდარტები დავიცვათ და მეორე მხრივ, ბიზნესი არ დაზარალდეს?

— ბიზნესი არავითარ შემთხვევაში არ დაზარალდება! ზუსტად კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა იყო და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დავიწყეთ ამ მიმართულებით მუშაობა, რასაც ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა ჰქვია. წინა ხელისუფლებამ თითქოს ანტიმონოპოლიური რეგულირების აღდგენა სცადა. სამსახურიც შექმნა, მაგრამ პროცესი იმის გამო ჭიანურდებოდა, რომ ქვეყნის მთავარი პრობლემა ელიტური კორუფცია იყო.

> **ჩვენი სავიზიტო ბარათი იქნება — საბოლოოდ, კორუფციას წერტილს დავუსვამთ. ქვედა და საშუალო დონეზე კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, ბევრი რამ გაკეთდა გასულ წლებში, მაგრამ სამაგიეროდ, ეს ყველაფერი ელიტურმა კორუფციამ ჩაანაცვლა, რასაც ჩვენ მოვუღებთ ბოლოს! როდესაც იმ დირექტივებსა და სტანდარტებზე ვსაუბრობთ, რაც ევროკავშირისთვისაა მისაღები, პირველ რიგში, სურსათის უვნებლობასა და ეროვნული პროდუქციის შექმნას ვგულისხმობთ. ბუნებრივია, ევროპის ბაზარზე აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ ჩვენი ნიშა ეკოლოგიურად სუფთა, ქართული პროდუქციით, რასაც საკმაოდ სერიოზული თანხა და ინვესტიცია სჭირდება.**

ფიტოსანიტარული სტანდარტების დაკმაყოფილება კი ჩვენი ქვეყნის შიდაბაზარსაც დაიცავს უხარისხო და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციისგან. ჩვენს ირგვლივ ევროკავშირის 400-მილიონიანი, რუსეთის 150-მილიონიანი, უკრაინის 70-მილიონიანი ბაზრებია, გარდა ამისა, დსთ-ს ქვეყნების ბაზრებიც უნდა გავითვალისწინოთ და მერწმუნეთ, ხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტისთვის უამრავი აუთვისებელი სივრცეა.

— ბატონო ალექსი, დიპლომატები, პოლიტიკოსებისგან განსხვავებულ ენაზე საუბრობთ, მაგრამ ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ უნდა გკითხოთ — რას ერჩიან, ზოგადად, ალასანიას გუნდს და ამის პარალელურად, რატომ ატყდა ამხელა აჟიოტაჟი თქვენი თანაპარტიელი მინისტრის, თეა წულუკიანის დიპლომის გამო?

— ეს თემა მოძველდა, მაგრამ ალასანიას გუნდი და „თავისუფალი დემოკრატები“ აქ არაფერ შუაშია. თეა წულუკიანმა საკმაოდ სერიოზული, რეალური დისკომფორტი შეუქმნა ჩვენს ოპონენტებს და, ბუნებრივია, მათ ცალკეულ ნაწილს „შავი პიარის“ მანქანა ჩაერთო, რაც კრახით დასრულდა. როგორც ჩვენი თანამემამულე, ისე — უცხოელი ავტორიტეტების სახით, იმდენი დამადასტურებელი და ბეჭდისდამსმელი გამოჩნდა თეა წულუკიანის დიპლომთან დაკავშირებით, რომ ვფიქრობ, ოპონენტებს უფრო მეტი ზიანი მიადგა, ვიდრე მას. ჩვენი ოპონენტების აგორებული „შავი პიარით“, წულუკიანმა უფრო მეტი სარგებელი მიიღო და პოპულარობა მოიპოვა ხალხში, რაც ისედაც არ აკლდა.

ვერსიანიუსი

„საქართველოსთვის ჭიდაობა სტრატეგიული მნიშვნელობის სპორტის სახეობაა“

თბილისში ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის ოფიციალური გახსნის ცერემონიალს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა. მან ჩემპიონატის მონაწილეებს წარმატებები უსურვა. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოსთვის დიდი პატივია აღნიშნული ჩემპიონატის მასპინძლობა, რადგან ამხელა რანგის ღონისძიება თბილისში პირველად ტარდება.

ბიძინა ივანიშვილმა ჭიდაობის ფედერაციასა და ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა: **„საქართველოსთვის ჭიდაობა სტრატეგიული მნიშვნელობის სპორტის სახეობაა. ბევრმა სპორტსმენმა გვასახელა მსოფლიოსა თუ ევროპაში. იმედია, საინტერესო დღეები და ნამდვილი სპორტული სანახაობა გველის და ჩვენი დედაქალაქი ისე უმასპინძლებს სტუმრებს, როგორც მას შეჰფერის. მონაწილეებს წარმატებებს ვუსურვებ და ჩვენს ქართველ ფალავნებს მოვუწოდებ, აქ, სამშობლოში გვასახელონ“.**

ჩემპიონატის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე პრემიერ ივანიშვილს ფილას უმაღლესი ხარისხის ჯილდო გადასცეს. ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც თბილისი 24 მარტის ჩათვლით უმასპინძლებს, 47 ქვეყნის 500 სპორტსმენი მონაწილეობს, მათ შორის იქნებიან ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავე როგორც ვაჟი სპორტსმენები, ასევე ქალთა ნაკრები გუნდები.

„ინტერპრესნიუსი“

„პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ხალხმა აგვირჩია და მის მიერ დანიშნული მთავრობა არ ვართ!“

ეროსუდან შელია
557-100-768

რაზე ოცნებობდა საფრანგეთში ირაკლი ღარიბაშვილი და რომელი მინისტრები დააჯარიმა პატრულმა

ნაციონალურ უმცირესობასთან საპარლამენტო ორთაბრძოლიდან დაბრუნებისთანავე, 19 მარტს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობის ახალი პროექტის — „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში — მედიასთან პრესკონფერენცია გამართა. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალი დეპუტატები „ლომგულად“ იბრძოდნენ ივანიშვილის ფავორიტადაღიარებული ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ და დარწმუნებულებიც იყვნენ, რომ მის დისკრედიტაციას შეძლებდნენ, შს მინისტრმა საკუთარი ამბიციური განცხადება — მე ვერავინ დამჩაგრავსო, აშკარად შეასრულა. ფაქტობრივად, რომ არა მცირე ლაფსუსები, რაც უფრო მისი პოლიტიკური გამოუცდელობის ბრალია და არავითარ შემთხვევაში — არაპროფესიონალიზმის, მან ყველა კითხვას უპასუხა. ასეც რომ არ ყოფილიყო, თავად ის ფაქტი, რომ ღარიბაშვილი ოპოზიციასთან პირისპირ, საჯარო და ღია დიალოგს დათანხმდა, უკვე დადებითად უნდა შეფასდეს. ყოფილი უმრავლესობისა და დღეს უკვე ნაციონალური უმცირესობის წევრებს კი ასეთივე პრინციპულობა 9-წლიანი მმართველობის დროს რომ გამოეჩინათ და ყოფილი შს და დღეს უკვე ნაციონალური მოძრაობის ლიდერისთვის, ვანო მერაბიშვილისთვის, თუნდაც გირგვლიანის საქმეზე პასუხი მოეთხოვათ, ქვეყანა კატასტროფამდე არ მივიდოდა. იგივე შეიძლება ითქვას ქართულ მედიასთან ურთიერთობაზეც. ეს დღეს არიან ვანო მერაბიშვილი და ნაციონალური მოძრაობის ლიდერები „ტრიბუნას“ გამოკერებულნი და ყოველ საათში უხმობენ ჟურნალისტებს საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად, თორემ ვერც ერთი მათგანი ვერ დაასახელებს, თუნდაც ერთ საგაზეთო ინტერვიუს, რომელიც სააკაშვილის რომელიმე მინისტრმა ქართულ მედიას მისცა და პრობლემებზე ღიად ისაუბრა. ასეა ბატონებო, დრონი მეფობენ და არა მეფენი — როგორც ჩანს, ივანიშვილის ხელისუფლება ცდილობს, ეს სიბრძნე კარგად გაიაზროს და საზოგადოებას მეოთხე ხელისუფლების საშუალებით ეკონტაქტოს. რაც შეეხება შს მინისტრის 19 მარტის შეხვედრას, „ვერსიის“ კითხვებთან ერთად, გთავაზობთ რამდენიმე აქტუალურ კითხვას, რომელიც ჩვენმა კოლეგებმა ირაკლი ღარიბაშვილს დაუსვეს და, ვფიქრობთ, საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ 19 აპრილს ნაციონალური მოძრაობა სხვადასხვა ტიპის პროვოკაციას გეგმავს. ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული ინციდენტის ფონზე, როგორ აპირებთ ოპოზიციის ლიდერებისა და აქციის მონაწილეების უსაფრთხოების დაცვას?

— 19 აპრილს დაგეგმილი აქციის ირგვლივ, საზოგადოებაში გაზვიადებული მოსაზრებები ვრცელდება. ნამდვილად არ მესმის, რატომ უნდა გვქონდეს პროვოკაციების მოლოდინი... მიუხედავად იმისა, რომ აქციას ნაციონალური მოძრაობა ატარებს, ჩვენ საზოგადოებრივ წესრიგს მაქსიმალურად დავიცავთ, ხოლო პროვოკაციის შემთხვევაში, მის ორგანიზატორებს სათანადოდ დავსჯით.

— მამუკა არეშიძემ განაცხადა, რომ გორში, 19 აპრილის აქციისთვის, ბადრი ბასიშვილის ე.წ. ზონდერების მობილიზება ხდება, თუ ამოწმებთ ამგვარ ინფორმაციებს?

— ამ საკითხზე აუცილებლად დავუკავშირდები მამუკა არეშიძეს და გავარკვევ, რა კონკრეტული ინფორმაცია აქვს. მეც მაქვს ინფორმაცია, რომ ნაციონალები მხარდამჭერებს თბილისში აქციაზე ჩამოსვლისკენ მოუწოდებენ, თუმცა გპირდებით, ჩვენ მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ აქციის უსაფრთხოებას.

— ვთქვათ, სააკაშვილმა მთავრობის დათხოვნის გადაწყვეტილება მიიღო, რაც სამოქალაქო დაპირისპირებამდე აუცილებლად მიგვიყვანს. როგორი იქნება თქვენი პოზიცია, საზოგადოებისა და ხალხი გვერდით დადგებით თუ მხოლოდ წესრიგს დაიცავთ?

— საუბრები სამოქალაქო დაპირისპირებაზე აბსოლუტურად უსაფუძვლოდ მიმაჩნია, მსგავს ხმებს თავად ოპოზიცია ავრცელებს. გარწმუნებთ, ქვეყანაში სტაბილურობა შენარჩუნდება და ამის გარანტი ჩვენ ვიქნებით. ჩვენ სიტუაციას სრულად ვაკონტროლებთ და დაპირისპირებას არ დავუშვებთ. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი მთავრობას არ დაითხოვს, რაც მან განაცხადა კიდეც. ამასთან, მიმაჩნია, რომ საპარლამენტო უმცირესობაც სწორ პოზიციას დაიკავებს და საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს დაუჭერს, რითაც ყველა ჭორი გაქარწყლდება და საზოგადოებაც დამშვიდდება. ჩვენ ქვეყნის განვითარებისთვის სტაბილურობა გვჭირდება, მაგრამ თუ პრეზიდენტი ჩემი გათავისუფლების გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგასაც მალე გავიგებთ. გარწმუნებთ, ეს მხოლოდ სპეკულაციებია, რაზეც დიდ დროს არ ვხარჯავ. პრეზიდენტმა ისიც უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ხალხის უმრავლესობამ აგვირჩია და მის მიერ დანიშნული მთავრობა არ ვართ.

— ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ამნისტიის შემდეგ, ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება გაუარესდა. როდის გამოაქვეყნებს სამინისტრო ოფიციალურ სტატისტიკას?

— სამწუხაროა, რომ ოპოზიცია ცდილობს, საზოგადოებას ქვეყანაში არსებული ვითარება მუქ ფერებში დაუხატოს. მესმის, საზოგადოებაც გარკვეულწილად დაძაბულია, რაც ამნისტიის შედეგად საპატიმროებიდან 8000 მსჯავრდებულისა და პრეზიდენტის მიერ შეწყალებული 2000 პატიმრის გათავისუფლებითაა გამოწვეული, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ქვეყანაში კრიმინოგენურ ვითარებას აბსოლუტურად ვაკონტროლებთ. პირადად მე, გარწმუნებთ, რომ ოპოზიციის მძიმე შეფასებები გადაჭარბებულია. დიახ, ვაღიარებთ, რომ შარშან, ოქტომბერ-ნოემბერში დანაშაულის მატება ნამდვილად შეინიშნებოდა, მაგრამ დეკემბრიდან გახსნილი საქმეების სტატისტიკა მატულობს. საზოგადოება უკეთ რომ მიხვდეს ჩემი საუბრის არსს, გასული წლის სტატისტიკას შემოგთავაზებთ: 2007 წლის იანვარში დანაშაულის საერთო რაოდენობა 5181 შემთხვევას მოიცავდა, 2013 წელს კი ეს მაჩვენებელი 3009-მდე დავიდა. აქვე, ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ჩვენ არც ერთ დანაშაულს არ ვმალავთ. პირიქით, პირადად ჩემი მტკიცე პოზიციაა, ყველა ტიპის დანაშაული პროცედურულად დარეგისტრირდეს. ოფიციალურ სტატისტიკასთან დაკავშირებით, თვის ბოლოს დეტალურ განმარტებებს გავაკეთებთ. ვფიქრობ, ოპოზიცია დღეს სხვა პლანეტაზე ცხოვრობს და საზოგადოების გასაღიზიანებლად, მიზანმიმართულად ავრცელებს დეზინფორმაციას.

— არსებობს თუ არა სტატისტიკა, ამნისტირებული პირების მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენილი ფაქტების?

— დიახ, დაახლოებით, 150-მა ამნისტირებულმა ადამიანმა განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა და ისინი პასუხისგებაში უკვე მიეცნენ, ამიტომ მათ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ — ყველა, ვინც დანაშაულს ჩაიდენს, უმკაცრესად დაისჯება. სხვათა შორის, სამინისტროში ბევრი რამ გაკეთებული დაგვხვდა, მათ შორის, უპირველესად პატრული რეფორმას დავასახელებდი, რომლის მთავარი დამფინანსებელი ბიძინა ივანიშვილი იყო. ჩემთვის საკმაოდ მტკივნეული იყო, როცა აღმოვაჩინე, რომ ფაქტობრივად, ყველა დანაყოფი უკიდურესად პოლიტიზირებული იყო. არადა, მათ მოქალაქეებთან ყოველდღიური შეხება აქვთ და, ზოგადად, საზოგადოების იმედს წარმოადგენენ. იმის გამო, რომ სისტემა დამსჯელ მანქანად ჩამოყალიბდა, ე.წ. კუდ-ი გავაუქმე, მის ნაცვლად კი, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო შევქმენი. ბუნებრივია, მხოლოდ სახელის შეცვლით პრობლემა არ გადაწყდება, მაგრამ დღეს პოლიტიკური ნება წინა მთავრობისგან მკვეთრად განსხვავებულია. ცოტა ხნის წინ პატრულის თანამშრომლებს ტესტირება ჩავუტარეთ, რამაც მოგვცა შესაძლებლობა გაგვეგო, რა დონეზე არიან ჩვენი თანამშრომლები მომზადებულნი და კონკრეტულად რა პრობლემები გვაქვს. პარალელურად, პოლიციის ახალ კანონზეც ვმუშაობთ, რომელიც 90-აინი წლების შემდეგ არ შეცვლილა.

— ვრცელდება მონაცემები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ პატრულის მიერ დაჯარიმებული მოქალაქეების რაოდენობა გაიზარდა. ამ შემთხვევაში, რასთან გვაქვს საქმე — დარღვევების რაოდენობა გაიზარდა თუ როგორც ამბობენ, პატრული მხოლოდ და მხოლოდ, თქვენ დავალებას ასრულებს?

— ბუნებრივია, პატრულმა ყოველგვარ დანაშაულზე სწრაფი რეაგირება უნდა მოახდინოს. თუ მძღოლი ღვედს არ იკეთებს, უნდა დაჯარიმდეს და ეს შეგიძლიათ, ჩემ პირად დავალებადაც ჩათვალოთ. მიმაჩნია, რომ დაჯარიმების პროცედურა აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა და უნდა გავიაზროთ, რომ წესრიგის დარღვევაზე თვალს ვერ დავხუჭავთ. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, პატრული მოქალაქეებს უსამართლოდ არ აჯარიმებს და არც პოლიტიკურად განსხვავებული შეხედულების მოქალაქეებს დასდევს. სხვათა შორის, როცა საფრანგეთში ვსწავლობდი, პატრულმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გააჩერა და დააჯარიმა. ამის შემდეგ, ყოველთვის ვოცნებობდი, ისეთ ქვეყანაში მეცხოვრა, სადაც წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, მინისტრებსაც დააჯარიმებდნენ. ჩვენ ამას მივაღწიეთ — პატრულმა რამდენიმე მინისტრი უკვე დააჯარიმა.

— ოპოზიციამ კადრებზე საუბარი თქვენი ნათესავებით დაიწყო, საინტერესოა, ძველი კადრები რჩებიან თუ არა სამინისტროში და რამდენად კომფორტულია თქვენთვის მათთან ერთად მუშაობა?

— რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია, როცა ჩემ ნათესავებზე დღეს ის ადამიანები საუბრობენ, რომლებიც წლების განმავლობაში ქვეყანას კლანურად მართავდნენ. ჩვენ სამინისტროში დღეს 44 ათასი ადამიანი მუშაობს, რომელთა უმრავლესობამ არჩევნებში ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა. ის ფაქტი, რომ შსს-ში ისინი ძველი ხელისუფლების დროსაც მუშაობდნენ, დანაშაულად არ მიმაჩნია. ბევრი მათგანი პროფესიონალია და დიდი გამოცდილება აქვთ. ბუნებრივია, უშეცდომო არავინაა, მაგრამ ისინი წინა რეჟიმის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ და უსამართლო ბრძანებების შესრულება უხდებოდათ. მათთან ერთად მუშაობის გამო, დისკომფორტს ნამდვილად არ განვიცდი და ვერ ვხედავ საფრთხეს, რომ შესაძლოა, ძველმა კადრებმა საბოტაჟი მოაწყონ. ისინი ქვეყანასა და საკუთარ ხალხს ერთგულად ემსახურებიან და სწორედ ესაა ჩვენი მთავრობის პოლიტიკა.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ძველ კადრებს ათავისუფლებთ და მათ ადგილას სტუდენტებს ასაქმებთ...

— ჩემი სურვილია, ბაკალავრის ან მაგისტრის დიპლომის მქონე ნიჭიერი და წარჩინებული სტუდენტები სამინისტროში მოვიზიდო. როცა მაკრიტიკებენ, რომ თურმე სამსახურიდან ბევრი თანამშრომელი გავათავისუფლე, ერთ საინტერესო სტატისტიკას გაგაცნობთ: 2010 წელს შსს-მ 3400 თანამშრომელი გაათავისუფლა, 2011 წელს კი 3500. ჩემი მინისტრობის პერიოდში კი დაახლოებით 500-მდე კადრმა სამსახური საკუთარი პატაკის საფუძველზე დატოვა.

— ერგნეთის შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ისაუბრა თუ არა მავთულხლართებთან დაკავშირებით და რა პასუხი მიიღეთ მეორე მხარისგან?

— ამ თემის გარშემოც ოპონენტებმა, აბსოლუტურად, უსაფუძვლო აჟიოტაჟი ატეხეს. მათი განცხადებით, თურმე შსს ფაქტებს მალავს. თითოეულ მათგანს შევახსენებ, რომ ეს პროცესი, ერთი წლის წინ, ნაციონალების მმართველობისას დაიწყო. შესაბამისად, ჩვენ ოპონენტებს უნდა ეყოთ ვაჟკაცობა და სიმართლე აღიარონ. საკმარისია, რაც ცხრა წლის განმავლობაში ტყუილი ვისმინეთ. ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ. პირადად მე, ჟენევის მოლაპარაკების თანათავმჯდომარეებს შევხვდი და საქმის კურსში ჩავაყენე. იმედი გვაქვს, ჩვენი მუშაობა შედეგს გამოიღებს და პროცესიც შეჩერდება.

ვანო მერაბიშვილი ხელისუფლებას „ნაციონალების“ გამოცდილების გაზიარებას სთავაზობს

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი ხელისუფლებას, ჯავახეთთან დაკავშირებით, წინა მთავრობის გამოცდილების გაზიარებას სთავაზობს: **„სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღეს ჯავახეთში სიტუაცია ოდნავ შეიცვალა, იმედი მაქვს, ეს სიტუაციის დაძაბვის მხოლოდ პირველი ნიშნები იქნება და ჩვენს ახალ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება, სხვა რამ არ დაუშვას. მოვუწოდებ ხელისუფლებას, შეწყვიტოს დევნა ნაცმოძრაობის იმ აქტივისტებისა, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც შეძლეს ახალქალაქის ქართულ სახელმწიფოსთან დაახლოება. რამდენიმე დღის წინ მოხსნეს პოლიციის უფროსი, რომელიც 2008 წლის 8 აგვისტოს მივლინებიდან საკუთარი ხარჯით დაბრუნდა საქართველოში მაშინ, როდესაც რუსეთის ჯარი შემოვიდა, არც ერთი ადამიანი ახალქალაქში არ გამოსულა გარეთ, არ ჩაუტარებიათ მიტინგი და არ გამოუხატავთ პრორუსული განწყობა. მინდა შევთავაზო ხელისუფლებას, გამოიყენოს ჩვენი გამოცდილება. მზად ვარ, სახელმწიფოს ნებისმიერ წარმომადგენელს შევხვდე და შევთავაზო კონსულტაცია, მივცე რჩევა. „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების ინიციატივით, დღის წესრიგში დადგა საკითხი სომხურ ენასთან დაკავშირებით. ეს დადგენილება „ოცნების“ მიერ იყო პროვოცირებული. ჩვენ ბოლო 9 წლის განმავლობაში ვახერხებდით, ეს საკითხი საერთოდ არ დამდგარიყო. დავით რასტაკიანი, წინა საკრებულოს წევრი, რა თქმა უნდა, არა „ნაცმოძრაობიდან“, ამ საკითხს საკრებულოს დღის წესრიგში ყოველთვის აყენებდა და ამიტომ ბოლო არჩევნებზე ყველაფერი გავაკეთეთ, სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, რათა ის და მისი მსგავსი ადამიანები საკრებულოში არ ყოფილიყვნენ. მოვახდინეთ იზოლაცია ყველა ისეთი რადიკალისა, როგორიც ჩახალიანია, რათა მათ არც ეს და არც სხვა საკითხები არ დაეყენებინათ. დღევანდელმა ხელისუფლებამ, ნაცმოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ეგიდით, ციხიდან გამოუშვა და ლამის, გმირად შერაცხა ჩახალიანი. ტროროსიანს მოუხსნა პერსონა ნონ გრანტას სტატუსი, დაიწყო ბრძოლა ნაცმოძრაობის აქტივისტების წინააღმდეგ და შედეგად, ეს სურათი მივიღეთ. მცდელობა, ყველაფერი დაბრალონ ნაცმოძრაობას, არის უსუსური, რადგან ყველა შემთხვევაში, რაც ხდება საქართველოში და განსაკუთრებით, ჯავახეთში, პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას“.**

ხელისუფლების წარმომადგენლები კი „ნაციონალების“ გამოცდილების გაზიარებას არ აპირებენ და მერაბიშვილის მიერ დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით, განსხვავებული ხედვა აქვთ. მაგალითად, თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ ეროვნულ უმცირესობებს საშუალება ექნებათ, განვითარდნენ და მათი ენა კულტურულ თუ საგანმანათლებლო პროცესში სრულად იქნება ინტეგრირებული: **„თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოში საქმის წარმოება იქნება არაქართულ ენაზე ან საკრებულოში საქმეები წარიმართება არასახელმწიფო ენაზე. თემა, რომ ქარტიის რატიფიცირება მოხდებოდა, ახალი არ არის. ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა ახალციხეში წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა“.**

ხიდაშელის თქმით, ამ ქარტიის რატიფიცირების ვალდებულება მიხეილ სააკაშვილმა 1999 წელს აიღო, როგორც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ და **„თუ გვინდა ევროკავშირთან ინტეგრაცია, შესასრულებელია ის ვალდებულებები, რომელიც სახელმწიფოს აღებული აქვს“**.

ახალქალაქის საკრებულომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს ევროპული ქარტიის რატიფიცირების თხოვნით უკვე მიმართა.

ისინი რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირებასა და შესაბამის საკონსტიტუციო ცვლილებებს ითხოვენ.

ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილი ელჩი ლანა ღოღობერიძე რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირებაში სეპარატიზმის წახალისების საფრთხეს ხედავს: **„ერთი მხრივ, დღევანდელი ტენდენციაა, რომ ევროპა დეცენტრალიზაციისკენ მიდის და მართლაც, ჩვენ ამ ვალდებულებაზე ხელი გვაქვს მოწერილი. მეორე მხრივ, ეს სეპარატიზმის წახალისებაა, რაც ჩვენნაირი ქვეყნისთვის ძალიან საშიშია. ახლა როგორლაც ამ საკითხს გვერდი უნდა ავუაროთ“,** — აცხადებს ღოღობერიძე და აღნიშნავს, რომ ქვეყანას არც იმის ფუფუნება ჰქონდა, თავის დროზე, ევროსაბჭოში გაწევრიანებისას, რეგიონული ენების შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირების ვალდებულებაზე უარი ეთქვა.

„ვერსიანიუსი“

ახალი ბრალდებები კახა ბენდუქიძის წინააღმდეგ

რას უხსენებენ აგრარული უნივერსიტეტის მფლობელს ყოფილი თანამშრომლები?

ნელი თორდია
593-61-07-72

ავტორიზაციის საბჭოს 12 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით გამართულ სტუდენტურ აქციებს ბენდუქიძის მიერ აგრარული უნივერსიტეტიდან გაშვებული პროფესორ-მასწავლებლები ეხმაურებიან. უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი მანანა ცინცაძე „ვერსიას“ უამბობს, როგორ მოიშორა ბენდუქიძემ „ეროვნული ბაცილის მატარებელი“, კონკურსის წესით შერჩეული პროფესურა და როგორ დაარღვია მათთან შრომითი ხელშეკრულებები. ქალბატონი მანანას განმარტებით, არასასურველი თანამშრომლების გასაშვებად ჩატარებულ ატესტაციამდე ორი თვით ადრე არსებობდა ე.წ. შავი სია, სადაც, ძირითადად, ეროვნულად მოაზროვნე პროფესიონალები მოხვდნენ. შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევის გამო, უნივერსიტეტის თანამშრომლები სასამართლოში ჩივილს აპირებდნენ, თუმცა მათი წამოსვლის შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო, პირადი პრობლემების გვერდით გადადება და უნივერსიტეტის გადარჩენისთვის ბრძოლა არჩიეს.

„უნივერსიტეტის წამყვან ფაკულტეტებზე ვასწავლიდი. ეს იყო აგროეკოლოგია, აგროტექნოლოგია, ბიზნესისა და აგრობიზნესის ფაკულტეტი, ზოოტექნიკისა და ვეტერინარიის ფაკულტეტები. პირველივე, რაც კახა ბენდუქიძემ და მისმა „ამალამ“ უნივერსიტეტში მოსვლისას გააკეთეს, თანამშრომლებისა და სტუდენტების მასობრივი გაშვება იყო. ამ ხალხისთვის დამაბრკოლებელი გარემოება არ აღმოჩნდა ის, რომ ჩვენ წარმატებით გავიარეთ აკადემიურ თანამდებობებზე შესარჩევი კონკურსი და 2013 წლის სექტემბრამდე გაფორმებული გვქონდა შრომითი ხელშეკრულებები. მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რომ კონკურსის წესით შერჩეულ თანამშრომლებს არაკომპეტენტური პირებითა და სტუდენტებით დაკომპლექტებული კომისიის საშუალებით ჩაუტარო ატესტაცია, ხელშეკრულება ცალმხრივად დაურღვიო და უნივერსიტეტიდან გაუშვა. სამ საგანს ვკითხულობდი და რექტორს შევთავაზე, რომელსაც გნებავთ, ხელი დაადეთ და მითხარით, რომელ თქვენს მოთხოვნას არ ვაკმაყოფილებ-თქო, მაგრამ არც კი მომისმინა, რადგან ამ ადამიანებს ცოდნა და კომპეტენცია არ აინტერესებდათ. მოგვიანებით, გაირკვა, რომ რექტორთან 2 თვით ადრე იდო სიები, რომელი დეკანატიდან რომელი თანამშრომელი უნდა წასულიყო. ვითომ ატესტაცია საზოგადოების ჩვენს არაკომპეტენტურობაში დასაჯერებლად მოიგონეს, თორემ გადაწყვეტილება დიდი ხნის მიღებული ჰქონდათ. ბუნებრივია, ყველა დეკანი და მოადგილე, ვინც უნივერსიტეტის განადგურების გეგმაში მონაწილეობდა, სამსახურში დატოვეს. თავიდან, სასამართლოში ჩივილს ვაპირებდით, მაგრამ როცა უნივერსიტეტში დარჩენილი კოლეგებისა და სტუდენტებისგან ჩვენი წამოსვლის შემდეგ უნივერსიტეტში განვითარებული პროცესების შესახებ შევიტყვეთ, პირადული დავივიწყეთ და უნივერსიტეტის გადარჩენისთვის ბრძოლა დავიწყეთ. აგრარული სექტორის გადარჩენა ჩვენთვის უმთავრესი გახდა იმიტომ, რომ ამის გარეშე ქვეყნის განვითარება შეუძლებელია“.**

„ატესტაციის მეთოდითა“ და შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევის გზით აგრარული უნივერსიტეტი კონკურსგავლილმა 200-მდე თანამშრომელმა დატოვა, თუმცა მანანა ცინცაძის თქმით, საკუთარ თავზე მეტად, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო გარიცხულ სტუდენტთა ბედი ადარდებდათ. ბენდუქიძის მიერ „შერისხული“ პროფესორი აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის აღდგენის მოთხოვნით გამართულ სტუდენტურ აქციებსაც ეხმიანება და აცხადებს, რომ ეს ბენდუქიძისა და „ნაციონალების“ მიერ მართული სტუდენტები არიან, რომლებსაც თავის დროზე, არც 600-ზე მეტი სტუდენტის გარიცხვა გაუპროტესტებიათ და არც უსამსახუროდ, ზოგჯერ ულუკმაპუროდ დარჩენილი პროფესორ-მასწავლებლების ბედზე დარდით შეუწუხებიათ თავი.

„აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ურცხვად აცხადებს, რომ დავალიანების გამო, არც ერთი სტუდენტი არ გაურიცხავთ მაშინ, როცა პროფესორ-მასწავლებლებს აგვიკრძალეს, თუნდაც 10-ლარიანი დავალიანების მქონე სტუდენტი შუალედურ ჩათვლებზე ან გამოცდაზე დაგვეშვა. ბუნებრივია, ამან საგნების დაგროვება და საბოლოოდ, სტუდენტების გარიცხვა გამოიწვია. კურიოზული შემთხვევებიც იყო. სემესტრულ პერიოდში 7 საგანზე მეტი არ ისწავლებოდა და ჩემი ერთი სტუდენტი 9 საგნის გამო გარიცხეს. ეს ახალგაზრდა საქართველოს ჩემპიონია მკლავჭიდში. ფოიეში მისი სურათი იყო გაკრული, დეკანატში კი მისი გარიცხვის ბრძანება იდო. ამათ ეროვნული და წარმატებული არც სპორტსმენი ჭირდებოდათ, არც სტუდენტი და თანამშრომელი, თორემ კანონმდებლობის თანახმად, მისთვის სტატუსი კი არ უნდა გაეუქმებინათ, უნდა შეეჩერებინათ. 600-ზე მეტი სტუდენტი სხვადასხვა მიზეზით ისე გარიცხეს, უკან დასაბრუნებელი ყველა გზა მოუჭრეს და ეს აქციებზე მყოფ ახალგაზრდებს არ გაუპროტესტებიათ. გასაგებია, დღევანდელისგან განსხვავებით, მაშინ პროტესტის გამოხატვის ეშინოდათ და ისიც ვიცით, აქციებზე მოსიარულე ახალგაზრდებს სოდ-ისა და კუდ-ის თანამშრომლები ემუქრებოდნენ, მაგრამ პოზიციის დაფიქსირება მაინც ხომ შეეძლოთ? ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება, ვეტერინარულ სექტორზე ეკონომიურად შეჭირვებული, მაგრამ ძალიან ნიჭიერი სტუდენტი გვყავდა. მეოთხე კურსის მეორე სემესტრში სწავლის საფასურიდან მხოლოდ 200 ლარი ჰქონდა გადახდილი, მე და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, მაია კერესელიძემ თანხა გადავიხადეთ და ეს ბავშვი გარიცხვას გადავარჩინეთ. ჩემი აზრით, სწორედ ესაა პოზიცია. რაც შეეხება ავტორიზაციის აღდგენას, შემოწმებისას იმდენი დარღვევა აღმოაჩინეს, რომ ვერც ავტორიზაციის საბჭო და ვერც მონიტორინგის სამსახური გვერდს ვერ აუვლიდა. ცნობისთვის, არც ერთი სამსახური ბატონი ბიძინას არჩეული არ არის და მიკერძოებას ვერავინ დასწამებს“.

ქალბატონ მანანასთან საუბარში გავარკვიეთ, რომ აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის დაბრუნების მოთხოვნით გაერთიანებული სტუდენტების მსგავსად, ფარხმლის დაყრას არც ბენდუქიძისგან დევნილი პროფესორ-მასწავლებლები აპირებენ და აგრარული უნივერსიტეტის გაყიდვის კანონიერების გასარკვევად, ფინანსურ პოლიციას მიმართავენ. **„აგრარული უნივერსიტეტის გაყიდვის კანონიერებასთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში განცხადება შეტანილი გვაქვს. როგორც ჩანს, იქაც ბევრია „ნაციონალი“ და ჩვენი მასალა დაიბლოკა, ახლა ყველაფერი კვლავ ფინანსურ პოლიციას დაუბრუნდა და ბოლომდე ვიბრძოლებთ იმის გასარკვევად, როგორ აჩუქა პრეზიდენტმა უნივერსიტეტის ქონება ბენდუქიძეს. რემონტით რომ იწონებს თავს ბატონი კახა, არ დაავიწყდეს, რომ 10 მილიონი დახვდა უნივერსიტეტის ბალანსზე და ყველაფერი იმ თანხით გააკეთა, თვითონ კაპიკი არ დაუხარჯავს და ამით ტყუილად ნუ სპეკულირებს. სანამ ამ სამარცხვინო გარიგების ყველა დეტალს საასკარაოზე არ გამოვიტანთ, გაჩერებას არ ვაპირებთ და ტყუილად იმედი არავის ჰქონდეს“.**

„მირჩევნია, ევროპამ სულ დედ-მამის სული აგინოს ჩვენ მთავრობას, ვიდრე ამ ქარტიას ხელი მოვაწეროთ“

რატომ არის „ნაცმოძრაობა“ თანამედროვე „მხედრიონი“ და რა გეგმა აქვს ივანიშვილს სააკაშვილის წინააღმდეგ

ეროსუდან შელია
557-100-768

ექსცენტრული მილიარდერის შეცდომები თუ კარგად გათვლილი პოლიტიკის ნაწილი — კახა კუკავას აზრით, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამარჯვებულის ეიფორიიდან ჯერჯერობით ვერ გამოვიდა და ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, საზოგადოებას არაკეთილსინდისიერ პოლიტიკას სთავაზობს. მიიღებს თუ არა კოალიციისგან შუალედურ არჩევნებში მხარდაჭერას და რატომ მართავს მოქალაქეთა კავშირი დღემდე ქვეყანას? „ვერსიას“ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ესაუბრება.

— „ოცნების“ მხარდამჭერი ექსპერტებიც კი ამბობენ, რომ დღეს ქართულ პოლიტიკაში ოპოზიციური ნიშა თავისუფალია, რომელსაც, ფაქტობრივად, მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის კრიმინალთა ბანდა ავსებს. სხვათა შორის, თავის დროზე, იგივე პრობლემის წინაშე ზვიად გამსახურდიაც აღმოჩნდა, რომლის ოპოზიცია მხოლოდ „მხედრიონი“ იყო. რა გაუკეთა ზვიად გამსახურდიას მხედრიონმა და როგორ განვითარდა ამის შემდგომ მოვლენები, ყველას კარგად გვახსოვს. ნაციონალური მოძრაობაც თანამედროვე მხედრიონია, ამიტომ ნამდვილად არ გამოვრიცხავ 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენების განმეორებას. აღნიშნული სცენარის ერთადერთი პრევენცია „ნაციონალების“ ციხეში გამოკეტვაა, რათა პოლიტიკურ ავანსცენაზე რეალური ოპოზიციური ძალები განლაგდეს.

— იუსტიციის მინისტრის მისამართით დიდი ხანია უკმაყოფილებას გამოთქვამთ. ცოტა ხნის წინ, არჩილ კბილაშვილთან შეხვედრაც მოითხოვეთ. ფიქრობთ, ნაცმოძრაობის წინააღმდეგ სვლა მმართველ გუნდსაც არ აწყობს?

— დიახ, არ მომერიდება იმის თქმა, რომ თეა წულუკიანი ცუდად მუშაობს! ნამდვილად არ მინდა, სუბიექტური ვიყო, მაგრამ მაინტერესებს, როცა ვამბობდით, რომ კრიმინალური, დანაშაულებრივი, კორუმპირებული და სისხლიანი რეჟიმი 9 წლის განმავლობაში გვმართავდა, მხოლოდ ბაჩო ახალაიას ვგულისხმობდით? გამოდის, სააკაშვილი, თარგამაძე, მერაბიშვილი და სხვები ფრთიანი ანგელოზები არიან?! მარტივია — დღეს ბიძინა ივანიშვილს შევარდნაძისა და სააკაშვილისდროინდელი სისტემის შენარჩუნება უნდა, თუმცა აქვს ამბიცია, რომ ამ ყველაფერს მხოლოდ მან უნდა უხელმძღვანელოს. ჩვენ მიერ გაჟღერებული მოთხოვნაც, შუალედურ არჩევნებში ჩვენი კანდიდატების მხარდაჭერასთან დაკავშირებით, სწორედ ამას უკავშირდება, „ოცნებამ“ უნდა დაინახოს, რომ ქვეყანას პარლამენტში კონსტრუქციული ოპოზიცია სჭირდება.

— შუალედურ არჩევნებზე მეტად, ახლა „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი აწუხებს, რომლის განხილვაც პარლამენტმა რამდენიმე დღის წინ დაიწყო. „ნაციონალების“ გასანეიტრალებლად ეს გზა გამართლებულად არ მიგაჩნიათ?

— ჩემი აზრით, საკონსტიტუციო ცვლილებები ნაცმოძრაობიდან არსებული საფრთხის პრევენცია ვერ იქნება, რადგან კანონპროექტის ძალაში შესვლას პროცედურული ვადები სჭირდება, მაგალითად, თუ აღნიშნული ცვლილებები ძალაში 20 აპრილს უნდა შევიდეს, სააკაშვილი მთავრობას 19 აპრილს დაითხოვს. ამიტომ ვამბობ, რომ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი მარტივი გზა „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ნეიტრალიზაციაა, რასაც ხელისუფლება არ აკეთებს. სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ ბატონ ბიძინას სხვა, ბევრად უკეთესი, გეგმა ჰქონდეს ნაცმოძრაობის წინააღმდეგ.

— ფიქრობთ, ძირითადი მოქმედებები ჯერ კიდევ კულისებში მიმდინარეობს?

— დიახ, და ყველაფერს მხოლოდ დრო გამოაჩენს. ნაცმოძრაობა და „ქართული ოცნება“ არაკეთილსინდისიერად იქცევა, თუნდაც საკონსტიტუციო ცვლილებების ირგვლივ მიმდინარე პროცესში. აშკარაა, ნაცმოძრაობა ამ საკითხს პოლიტიკური ვაჭრობისთვის იყენებს და კონსტიტუციის შინაარსი საერთოდ არ აინტერესებს. საკითხის ირგვლივ მხოლოდ იმ მიზნით მოქმედებენ, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღონ. დიახ, დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში გამოაშკარავდება, რომ ნაციონალური მოძრაობიდან 20-30 დეპუტატი ხელისუფლებამ უკვე მოისყიდა, რომლებიც სააკაშვილის გუნდს დარტყმას გადამწყვეტ მომენტში მიაყენებენ. ამის შემდეგ, რაც უნდა სცადოს ნაცმოძრაობამ და 19 აპრილს, საკუთარი ძალის დემონსტრირებით დაგვემუქროს, ქუჩაში ათი ათასზე მეტ ადამიანს ვერ გამოიყვანს.

— ქუჩაში გამოსული ათი ათასი ადამიანი ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების შესაქმნელად საკმარისი ძალა არ არის?

— რა თქმა უნდა, არის, თუმცა ყველაფერი მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, მიხეილ სააკაშვილი, საბოლოოდ, რა გადაწყვეტილებამდე მივა და ექნება თუ არა მას დასავლეთის მხარდაჭერა მთავრობის დასათხოვად. თუ სააკაშვილი დასავლეთისგან ამის მზაობას იგრძნობს, ვითარებას რადიკალურად გაამწვავებს.

— იმ პირობებში, როცა მთავრობა ევროპელ დეპუტატებთან ღია წერილებით ურთიერთობს და ისიც დასტურდება, რომ ამერიკას ხელისუფლებასთან მწვავე კითხვები აქვს, დასავლეთი გადამწყვეტ მომენტში სააკაშვილის პოზიციას არ გაიზიარებს?

— ვფიქრობ, ევროპასთან ეპისტოლარული ომი ხელისუფლების მიერ დაშვებული ტაქტიკური შეცდომაა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მმართველი გუნდის არაკვალიფიციურობას. მიხეილ სააკაშვილს დასავლეთის მხარდაჭერა ღია წერილებით არ მოუპოვებია. ევროპული მხარდაჭერის მოპოვებას ბევრი საჩუქარი, ღვინო, დუდუკი და ქალი სჭირდება! გაიხსენეთ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სააკაშვილის სტუმრების ვიზიტები. აი, ეს არის ევროპასთან ურთიერთობის ტაქტიკა და არა მწვავე ეპისტოლეები. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სააკაშვილი ამერიკული სპეცსამსახურების უფროსი რანგის ოფიცერია, დღევანდელ ხელისუფლებაში კი ამერიკული სპეცსამსახურების უმცროსი რანგის ოფიცრები არიან. სწორედ ეს არის მიზეზი, ამერიკაში დავით უსუფაშვილს არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის დონეზე რომ შეხვდნენ. საერთაშორისო ასპარეზზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონკურენცია არათანაბარია, მეტიც, დასავლეთის სასტარტო დამოკიდებულება „ქართული ოცნების“ მიმართ უარყოფითია. საერთოდ, ამერიკული და ევროპული პოლიტიკა იმდენად კორუმპირებულია, საქართველოს ხელისუფლებას ბევრად მოხერხებულად რომ ემოქმედა, პრობლემების დაძლევა გაუმარტივდებოდა.

— თუმცა, ევროპული ინტეგრაციის ნაცვლად, პაატა ზაქარეიშვილი უმცირესობის ენების შესახებ ევროპის ქარტიის რატიფიცირებისთვის მზადყოფნას აცხადებს. ეს ხელისუფლების მიმართ დასავლეთის კრიტიკას არ შეარბილებს?

— პაატა ზაქარეიშვილის განცხადება, რეგიონული ენების ქარტიის რატიფიცირებასთან დაკავშირებით, აბსოლუტურად უპასუხისმგებლო იყო. მირჩევნია, ევროპამ აკრიტიკოს და სულ დედ-მამის სული აგინოს ჩვენ მთავრობას, ვიდრე ჩვენ ამ ქარტიას ხელი მოვაწეროთ. ამ გადაწყვეტილების მიღება, მერწმუნეთ, იგივე პრობლემებს შექმნის, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში იყო. ხელისუფლებას იგივე დამოკიდებულება აქვს თურქეთთან, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა, ზოგს ჰგონია, რომ ვიღაცის კუთვნილება უნდა ვიყოთ და ყველანაირ დათმობაზე უნდა წავიდეთ. არადა, მსგავსი გადაწყვეტილებები ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ ქვეყნის ღალატია. წარმოიდგინეთ, იმის გამო, რომ ერდოღანსა და ბიძინა ივანიშვილს შორის ურთიერთობები არ გამწვავდეს, თურმე ბათუმში მეჩეთი უნდა აგვიშენონ. ჩემი აზრით, ერდოღანსა და ივანიშვილს თმაც რომ დაეპუტათ ერთმანეთისთვის, ბათუმში მეჩეთის მშენებლობას არ უნდა დავთანხმებულიყავით.

დასასრული მე-11 გვერდზე

2009-2012 წლებში საპროცესო შეთანხმებების შედეგად, ბიუჯეტში 140 039 162.76 ლარი შევიდა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) პირველად აქვეყნებს ინფორმაციას 2009-2012 წლებში საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტში გადარიცხული თანხების შესახებ.

ორგანიზაცია დაინტერესდა, საპროცესო შეთანხმებების შედეგად 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში რა თანხა შევიდა საქართველოს ბიუჯეტში; რა ოდენობის თანხებზე დაიდო საპროცესო შეთანხმებები 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში და იმ პირთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციით, რომელთა ქონება 2009, 2010, 2011 და 2012 წლებში ჩამორთმეულ და გადაცემულ იქნა სახელმწიფოსთვის (თითოეული წლისთვის ცალ-ცალკე), აგრეთვე ამ ქონების საერთო ღირებულება ხსენებული წლების მიხედვით.

ამ მოთხოვნებით IDFI-მ 2013 წლის 6 თებერვალს მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

პროკურატურიდან 2013 წლის 27 თებერვალს მიღებული წერილით პასუხი გაეცა პირველ ორ მოთხოვნას. წერილის მიხედვით ირკვევა, რომ საპროცესო შეთანხმების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას საქართველოს მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო არ აწარმოებს. 2013 წლის 1 მარტს მიღებული წერილით იგივე შინაარსის პასუხი გაეცა მესამე მოთხოვნას ჩამორთმეული ქონების თაობაზე. კერძოდ, აღნიშნულია, რომ პროკურატურიდან 2013 წლის 1 მარტს მიღებული პასუხიდან ირკვევა — საქართველოს მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო არ აწარმოებს მსგავსი ინფორმაციის აღრიცხვას, რის გამოც, მთავარი პროკურატურა ვერ მოგვაწოდებს ინფორმაციას.

პასუხის მიღების შემდეგ IDFI-მ 2013 წლის 5 მარტს იგივე მოთხოვნებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს. აღსრულების ეროვნული ბიუროდან 2013 წლის 12 მარტს მიღებული წერილით IDFI-ის ეცნობა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო არ ფლობს ინფორმაციას 2009-2012 წლებში დადებული საპროცესო შეთანხმებების თანხის ოდენობის და ასევე იმ მოვალეთა რაოდენობის შესახებ, რომელთა ქონება 2009-2012 წლებში ჩამორთმეულ და გადაცემულ იქნა სახელმწიფოსთვის.

ამავე დროს, წერილიდან ირკვევა, რომ 2009-2012 წლებში საპროცესო შეთანხმებების შედეგად (აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ) სახელმწიფო ბიუჯეტში სულ გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 140 039 162.76 ლარი. ეს თანხა წლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: 2009 წელი: 8 040 392.81 ლარი; 2010 წელი: 42 361 459.28 ლარი; 2011 წელი: 51 009 723.78 ლარი; 2012 წელი: 38 627 586.89 ლარი.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულ თანხებს, ეს ინფორმაცია დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, თუმცა სამწუხაროდ, ხელმიუწვდომელი იყო. მართალია, ცნობილი იყო საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული თანხების რაოდენობა (მაგ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევის მონაცემებით 2009 წელს – 61 100 000 ლარი), თუმცა, დღემდე უცნობი რჩებოდა, კონკრეტულად, რა თანხა ირიცხებოდა ბიუჯეტში საპროცესო შეთანხმებების შედეგად.

შესაბამისად, IDFI პირველად ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რეალურად, რა თანხა გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში 2009-2012 წლებში საპროცესო შეთანხმებების საფუძველზე, — აღნიშნულია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„გურიანიუსი“

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

მაია მიშელაძე
593-51-90-12

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ყველა ბრალდებას პასუხობს

რის გამო დაუპირისპირდნენ ყოფილი კალათბურთელები ბესიკ ლიპარტელიანს და რა დაპირება მიიღო პრემიერ ივანიშვილისგან კალათბურთის ფედერაციამ

რამდენიმე დღის წინ, საზოგადოება „ქართული კალათბურთის“ დამფუძნებლებისა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის დაპირისპირების მოწმე გახდა. „ქართული კალათბურთის“ წარმომადგენლებმა, ეროვნული ფედერაციის წესდებაში არსებულ იმ ხარვეზებზე გაამახვილეს ყურადღება, რის გამოც პრეზიდენტის არჩევის პროცესი არადემოკრატიული, გაუმჭვირვალე და უსამართლოა. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ახლა არაფერ შუაშია, მაგრამ სააკაშვილის მსგავსად, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მოქმედ პრეზიდენტს ბესიკ ლიპარტელიანსაც საპრეზიდენტო ვადა 2013 წლის ნოემბერში ეწურება... მოკლედ, შემოდგომით ორი ახალი პრეზიდენტი გვეყოლება — ჯერ მთელი ერი პოლიტიკურ არჩევანს გავაკეთებთ და მერე კალათბურთის ფედერაციისა და გამგეობის წევრების არჩევანსაც დაველოდებით. მანამდე, „ვერსიაში“ იმ დაპირისპირების დეტალებს გთავაზობთ, რის გამოც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, ყოფილი კალათბურთელი გიორგი მარკოიშვილი, წარსულში საკმაოდ ცნობილ კალათბურთელს, დამსახურებულ მწვრთნელსა და ბავშვთა კალათბურთის სულისჩამდგმელს, ბესიკ ლიპარტელიანს დაუპირისპირდა და ბრალდებების ხუთგვერდიანი დოკუმენტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში გაგზავნა...

ინტერესთა კონფლიქტი კალათბურთის ფედერაციაში

საზოგადოება „ქართული კალათბურთი“ 2012 წლის ნოემბრიდან არსებობს, დამფუძნებლები კი ყოფილი კალათბურთელი გიორგი მარკოიშვილი, მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი და ლევან მიქელაძე არიან. დეტალების დასაზუსტებლად „ვერსია“ თავდაპირველად, გიორგი მარკოიშვილსა და ლევან მიქელაძეს დაუკავშირდა.

გიორგი მარკოიშვილი: — საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში არასამართლებრივი მდგომარეობა და ინტერესთა კონფლიქტია. მეტიც, ამ სტრუქტურის წესდება მოუწესრიგებელია, მაგრამ მთავარი პრობლემა ისაა, რომ ფედერაციის პრეზიდენტის საარჩევნო სისტემა გაუმჭვირვალე და

არადემოკრატიულია. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ამ პრობლემების შესახებ არაფერი იცის, რადგან ვინც კი ზედმეტად ხმას ამოიღებს ან უარყოფით პოზიციას დააფიქსირებს, ფედერაციის ხელმძღვანელებისთვის მიუღებელი ხდება. აქედან გამომდინარე, თანამოაზრეები შევიკრიბეთ და საზოგადოება „ქართული კალათბურთი“ დავაფუძნეთ, რომელიც 60-ზე მეტ ადამიანს აერთიანებს.

პირდაპირ ვამბობ, შემიძლია, სწორად ვმართო ქართული კალათბურთი და ამბიციაც მაქვს, ფედერაციის პრეზიდენტი ვიყო, ოღონდ პრობლემა ფედერაციის წესდებაშია, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არავის აქვს შანსი, პრეზიდენტი გახდეს, თუკი ფედერაციის ფავორიტი არ იქნება — წესდების მიხედვით, ფედერაციის დელეგატების რაოდენობა განუსაზღვრელია და მხოლოდ იმ ჯგუფს, რომელსაც მმართველი საბჭო ჰქვია, სუბიექტური გადაწყვეტილებით, შეუძლია, დელეგატის სტატუსი მიანიჭოს იმ პიროვნებას, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის. დელეგატების რაოდენობის გარდა, დღეს ისიც კი არ არის განსაზღვრული, ვინ არიან კალათბურთის ფედერაციის წევრები.

— ეს წესდება ვინ უნდა შეცვალოს?

— კალათბურთის ფედერაციის გამგეობის ყრილობამ, მაგრამ ჩვენ ისიც არ ვიცით, მას ვინ დაესწრება, ამიტომ უნდა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი და იმსჯელოს, რა ფორმით ჩამოყალიბდეს წესდება, რომელსაც ყრილობაზე დაამტკიცებენ. ჯგუფში უნდა შევიდნენ საკალათბურთო საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები, ფედერაციის წევრები და ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებიც. კარგი იქნება, თუ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც დაგვეხმარება.

— საინიციატივო ჯგუფს ექნება ლეგიტიმური უფლება, წესდება შეცვალოს ან ახალი არჩევნები დანიშნოს?

— ეს უკვე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაა. ვფიქრობ, სამართლებრივად გამართული წესდების შემთხვევაში, გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება პრობლემა აღარ იქნება.

ლევან მიქელაძე: — FIBA-ს ეროვნული ფედერაციების სახელმძღვანელოში პირდაპირ მითითებულია, რომ სპორტის სამინისტრო ან სპორტის უმაღლესი ორგანო ვალდებულია განსაზღვროს, ვინ უნდა იყვნენ კალათბურთის შემადგენელი მთავარი ელემენტები, რომლებიც ამავდროულად, სამუდამო დელეგატები იქნებიან. ეს არ უნდა იცვლებოდეს! მკაცრადაა განსაზღვრული, ფედერაციის დელეგატები მხოლოდ იურიდიული პირები უნდა იყვნენ — დელეგატი შეიძლება იყოს კლუბის ან საკალათბურთო ასოციაციების წარმომადგენელი, მწვრთნელთა და მსაჯთა ასოციაციები. FIBA-ს კანონმდებლობას უხეშად ეწინააღმდეგება კალათბურთის ფედერაციის მოქმედი წესდება. მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი, კონკრეტულად განსაზღვრავს, რომ კალათბურთის ფედერაციის საარჩევნო პროცედურა გამჭვირვალე და დემოკრატიული უნდა იყოს და არ შეიძლება მასში ფიზიკური პირები მონაწილეობდნენ. ახლა როგორი სიტუაციაა, იცით? ნებისმიერ ფიზიკურ პირს გავაწევრიანებთ და დელეგატის სტატუსს მივანიჭებთ, რომელიც ჩვენთვის, ანუ ფედერაციისთვის სასურველ კანდიდატს დაუჭერს მხარს.

— ბრალდებებში, რომელიც სამინისტროს წარუდგინეთ, ფედერაციის პრეზიდენტის ინტერესთა კონფლიქტზეც ამახვილებთ ყურადღებას. რა ხდება ფედერაციაში?

— ერთ-ერთი იურიდიული პირი, „ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“, ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე დელეგატად იყო წარდგენილი. ეს ფონდი 2008 წელს, თავად ბესიკ ლიპარტელიანმა დააფუძნა და რა გასაკვირია, რომ ფონდის წარმომადგენლებმა არჩევნებზე სწორედ მას დაუჭირეს მხარი. ფედერაციის დელეგატია „ბავშვთა კალათბურთის აკადემია“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი მოქმედი პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანია. ჯამში 32 ხმა გროვდება, რაც ფედერაციაზეა მიბმული და მეეჭვება, ამ ხალხმა სხვა კანდიდატს მისცეს ხმა.

— ლევან ბეჟაშვილის, ზაზა გოროზიასა და გიორგი მელაძის ფაქტორზეც საუბრობთ. ცნობილი ადამიანები სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციის წევრები არიან და თუკი ამით საქმე გაკეთდება, პრობლემას ვერ ვხედავ.

— გიორგი მელაძე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო ზაზა გოროზია და ლევან ბეჟაშვილი, გამგეობის წევრები იყვნენ. მათი საქმიანობა ქართულ კალათბურთზე დადებითად რომ ასახულიყო, დამიჯერეთ, არავის ექნებოდა პრეტენზია. მათ ყოფნას ფედერაციაში მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, როგორც მინიმუმ, ერთი დარბაზი რომ გაკეთებულიყო. 2006-2007 წლებში, ქართულმა კალათბურთმა, ვერის პარკში, მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზი გაუსაძლისი პირობების გამო დაკარგა. ამის შემდეგ ფედერაცია სპორტის სასახლეს ქირაობს, რათა კალათბურთის ჩემპიონატი ჩაატაროს დარბაზში, რომელიც ქართულ კალათბურთს არ ეკუთვნის!

პრობლემა ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება კონკრეტული პიროვნებების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რადგან შესაძლოა, კალათბურთის ტური იმის გამო გადაიდოს, რომ სპორტის სასახლე უკვე დაკავებულია კონცერტის ან რომელიმე პარტიის ყრილობის გამო. კალათბურთის რეგულარულ ჩემპიონატში 11 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ამისთვის საწევროს იხდიან, მაგრამ

ეს გადასახადი იმის ხარჯზე გაიზარდა, რომ ფედერაციამ სპორტის სასახლის დაქირავება შეძლოს. არადა, წლების განმავლობაში, ამ თანხით ერთი, კარგი დარბაზი შენდებოდა.

ცოტა ხნის წინ, ცნობილი ლიტველი კალათბურთელის, არვიდას საბონისის საქართველოში ვიზიტის შემდეგ, ფედერაციის პრეზიდენტი კალათბურთის განვითარების ხუთწლიან გეგმაზე ალაპარაკდა. ეს კარგია, მაგრამ 12-წლიანი პრეზიდენტობის შემდეგ მიხვდა, რომ კალათბურთის განვითარებას გეგმა სჭირდება. სამწუხაროდ, არ ვიცით, რა გეგმაზეა საუბარი, ალბათ, ლიტველი და ქართველი კალათბურთელები, რომელიმე სოციალურ ქსელში დამეგობრდებიან და სტატუსებს გაცვლიან ხოლმე?! ჩემი და ჩემი გუნდის მიზანი ქართული კალათბურთის გადარჩენაა და არადემოკრატიულ პროცესებს ყოველთვის შევეწინააღმდეგებით!

სტუდენტობის დროს — 1992-1997 წლებში, დანგრეულ, ნამარ და განაცრისფრებულ თბილისში, ლექციების შემდეგ, ვერის პარკში, ბავშვთა საკალათბურთო დარბაზში ვიკრიბებოდით. ეროვნულ ჩემპიონატს ვესწრებოდით, ფავორიტ გუნდებს ხმის ჩახლეჩამდე ვგულშემატკივრობდით, მსაჯებს არც ისე ზრდილობიანად ვახსენებდით... მოგვიანებით, მე და ჩემი მეგობრები კალათბურთზე ვწერდით, რეგულარულ ჩემპიონატს ვაშუქებდით და ვცდილობდით, ობიექტურები ვყოფილიყავით. ფედერაციის ხელმძღვანელობასთან პრობლემები ყოველთვის იყო, მაგრამ იმ დროს, ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანი იყო — „ვითას“ ყოფილი კაპიტანი და გამორჩეულად ნიჭიერი კალათბურთელი... იმის გამო, რომ „ვითა“ ჩემპიონის ტიტულს არ თმობდა, მე და ჩემს მეგობრებს გვეგონა, ეს გუნდი ფედერაციის ფავორიტი იყო. საკმაოდ კრიტიკულები ვიყავით, მაგრამ ამის მიუხედავად, ისიც კარგად გვახსოვს, როგორ აფინანსებდა საკუთარი სახსრებით დუდუ დადიანი ნებისმიერი, სხვა ქვეყნის გუნდის საქართველოში ვიზიტს, რათა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები არ ჩაშლილიყო, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე კი ვერის პარკის დარბაზში, ახალი ფარებიც საკუთარი თანხით დაამონტაჟა და ამის შესახებ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, ჩვეული თავმდაბლობით მითხრა, ისიც იმიტომ, რომ ვკითხე... მახსოვს, ისეთ დროზე ვოცნებობდი, ცარიელი სამთავრობო ლოჟები რომ შეივსებოდა და პოლიტიკოსები კალათბურთზე ივლიდნენ. 4-5 წლის წინ, ასეთი დროც დადგა და არც ქართული პოლიტიკური თუ შოუბიზნეს ელიტის განსაკუთრებულად გამორჩეული „სელებრითების“ ლიტვურ ვოიაჟს გავული ზიანებივარ ორი წლის წინ და არც იმას აღვუშფოთებივარ, რომ თურმე ლევან ბეჟაშვილი, ზაზა გოროზია და გიორგი მელაძე კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრები ყოფილან. თუ ვინმე კალათბურთს ან სპორტის სხვა სახეობას დაეხმარება და თუნდაც ერთ კეთილ საქმეს გააკეთებს, „ნაციონალები“ კი არა, მთელი „ოცნება“ გადანაწილდეს სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციებში, რა პრობლემაა! ეს ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება და გულწრფელი ემოციაა, რადგან სპორტს ემოციები უყვარს, ამის გარეშე, ვერც თამაშს უგულშემატკივრებ და მით უმეტეს, ვერც სპორტის შესახებ დაწერ...

ბესიკ ლიპარტელიანი ოპონენტებს ყრილობის ოქმის ნაკითხვას ურჩევს

რა ხდება სინამდვილეში, რატომ ერიდებიან კალათბურთელები, ან მწვრთნელები იმ პრობლემებზე ღიად საუბარს, რაც გიორგი მარკოიშვილს, ნუგზარ ჭეიშვილსა და ლევან მიქელაძეს აწუხებს? მართლაც აკონტროლებს თუ არა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ყველას და ყველაფერს, მათ შორის, სპორტულ ჟურნალისტებსაც კი, რომლებიც ფედერაციაში პრობლემების შექმნას ერიდებიან და ამ თემებს არ აშუქებენ? სპორტული ჟურნალისტი აღარ ვარ და თუ ფედერაციის რომელიმე წარმომადგენელი პრეს-კონფერენციაზე არ დამიშვებს, გული არ დამწყდება.

ბესიკ ლიპარტელიანსაც ასე ვუთხარი და გაეღიმა. მოკლედ, ინტერვიუ შედგა და კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ყველა იმ მწვავე კითხვას უპასუხა, რაც საზოგადოება „ქართულ კალათბურთს“ აწუხებს:

— 12 წელია, ფედერაციაში ვარ და ამ ხნის მანძილზე სამჯერ იყო ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ სხვა კანდიდატურა არ ყოფილა და გავიმარჯვე. ეს წესდება 2005 წელს მივიღეთ. გამგეობამ ჩათვალა, ვინც კალათბურთის ფედერაციაში იყო გაწევრიანებული, პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მიეღო. წესდება რომ გამართული არ იყოს, იუსტიციის სამინისტრო რეესტრში არ გაატარებდა. „ქართული კალათბურთის“ წარმომადგენლები იმასაც ამბობენ, თითქოს ჩვენი წესდება FIBA-ს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, მაგრამ ესეც ტყუილია. ერთადერთი პრობლემა ის არის, აქვთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლება ფიზიკურ პირებს. ამ 13 წლის განმავლობაში, ქართულმა კალათბურთმა ბევრი რამ გადაიტანა. ისეთი პერიოდიც გვქონდა, ჩემპიონატში 6 ან 8 გუნდი მონაწილეობდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც 5-6 გუნდი რჩებოდა, კალათბურთის ფედერაციის არჩევნების

ბედი მხოლოდ მათ მფლობელებს უნდა გადაეწყვიტა? ამიტომ ჩავდეთ წესდებაში, რომ არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს. გგონიათ, მარკოიშვილმა და მიქელაძემ ეს არ იციან, მაგრამ „შავ პიარს“ აგორებენ. ახალგაზრდები არიან, სურთ, არჩევნებში მონაწილეობა მათმა მეგობრებმა და ახლობლებმა მიიღონ, მაგრამ ეს ასე არ იქნება. მეტიც, იანვრიდან დავიწყეთ წესდებაზე მუშაობა. ამაში იურისტთა ჯგუფია ჩართული. გვინდა, წესდება შევცვალოთ. დაახლოებით თვენახევარში მზად იქნება. საიტზეც დავდებთ და ყველას შეეძლება, განხილვაში ჩაერთოს. ორგანიზაცია „ქართული კალათბურთი“ ტყუილზეა აგებული. ერთ მაგალითს მოგიყვანთ — მარკოიშვილი და მიქელაძე იმიტომ გაღიზიანდნენ, რომ თბილისში ჩამოსული იყო არვიდას საბონისი, რომელიც სპორტის მინისტრ ლევან ყიფიანს და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. საბონისი პროგრამით იყო ჩამოსული, რათა სწორად განისაზღვროს, როგორ შეიძლება გადარჩეს ქართული კალათბურთი და როგორ უნდა ჩაერთოს ამაში სახელმწიფო. ამ საკითხზე ვმუშაობთ და, სამინისტროსთან ერთად, განვახორციელებთ კიდეც. ამის შემდეგ გამოდიან „ქართული კალათბურთის“ წარმომადგენლები და ამბობენ, არვიდას საბონისი იმიტომ ჩამოვიდა, ქართულ კლუბებს საკუთარი ბრენდის ფორმები მიყიდოსო. ფედერაციას ხომ შეურაცხყოფა მიაყენეს, ლევან ყიფიანი და ბიძინა ივანიშვილიც შეურაცხყვეს. მათ კალათბურთის სამყაროს სახელით საუბრის უფლება არ აქვთ. ეს არის სამკაციანი ჯგუფი, რომელიც ამბობს, რომ ფედერაციაში რაღაც შესაცვლელია.

— ისინი ამბობენ, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში თქვენი ახლობლები და მეგობრები მონაწილეობენ. მეტიც, პრეზიდენტი მხოლოდ ის გახდება, ვინც თქვენთვისაა მისაღები, რადგან საარჩევნო პროცესი გაუმჭვირვალეა და არავინ იცის, ვინ არიან ფედერაციის წევრები ან დელეგატები. მაგალითად, მეც კი შემიძლია ფედერაციის წევრი გავხდე, მერე დელეგატად ამირჩევთ და, ცხადია, ვისაც მეტყვით, ხმას იმას მივცემ?

— 2012 წლის დეკემბერში ჩატარდა ყრილობა, რომელსაც 34 დელეგატი დაესწრო. წაიკითხონ ყრილობის ოქმი და ნახონ, ვინ არიან ისინი. რაც შეეხება კლუბებს. დღესაც გაურკვეველია 7 კლუბის მდგომარეობა. მათ შორის — შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, ასევე უნივერსიტეტების გუნდების, რადგან არ ვიცით, მაისიდან მიიღებენ თუ არა ჩემპიონატში მონაწილეობას. ხომ ამბობენ, რომ არჩევნებში მხოლოდ იურიდიული პირები უნდა მონაწილეობდნენ. როცა არ ვიცი, კლუბი ჩემპიონატში რჩება თუ არა, როგორ შევძლებ, წინასწარ დავასახელო, ვინ იქნება დელეგატი ამა თუ იმ კლუბიდან? წესდებაზე ახლა სწორედ იმიტომ ვმუშაობთ, რომ ასეთი დეტალები დაიხვეწოს. ნოემბერში იქნება ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები და ვისაც სურვილი აქვს, მონაწილეობაც მიიღოს.

— ვინ არიან ის ფიზიკური პირები, რომლებიც ფედერაციის დელეგატები არიან და რომლებსაც აიძულებთ, არჩევნებში ხმა მოგცენ?

— ნიკოლოზ დერიუგინი, გურამ მინაშვილი, ლევან მოსეშვილი, ამირან სხიერელი და ლარიკა ხაზარაძე. მათ გარდა, მართლაც არ ვიცი, ვის შეიძლება, ამ ადამიანების დელეგატობაზე პრეტენზია გაუჩნდეს!

— გულწრფელად მაინტერესებს, რა გააკეთეს კალათბურთისთვის ლევან ბეჟაშვილმა, ზაზა გოროზიამ და გიორგი მელაძემ?

— გარკვეული პროექტები უნდა განგვეხორციელებინა და, პირდაპირ გეტყვით, ამ პროექტებს ლობირებდნენ. დარბაზები იყო ასაშენებელი. გარდა ამისა, მხოლოდ ბოლო წლებში მოვახერხეთ, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში გამოდის გუნდი. 16-წლამდელ კალათბურთელებს არ აფინანსებდა არც სახელმწიფო, არც კერძო სექტორი და არც სამინისტრო. იმ პერიოდში, გიორგი მელაძე თბილისის ვიცე-მერი იყო და ვთხოვეთ, 16 წლამდე ასაკის კალათბურთელები, მერიას დაეფინანსებინა. მან მოახერხა და ეს პროექტი განახორციელა. საერთოდ არ მომწონს ეს ვითარება, რადგან დარბაზი არ გაგვაჩნია, კალათბურთის ჩემპიონატის სუპერლიგა სპორტის სასახლეში იმართება, რომელსაც იჯარით ვიღებთ. არადა, სულ ვამბობდი, რომ ეს ფული გადაყრილია და უმჯობესია, ამ თანხით ვერის ბაღი გარემონტდეს, გაკეთდეს და მართვის უფლებით გადაეცეს არა ბესო ლიპარტელიანს, არამედ — ფედერაციას. სამწუხაროდ, ეს ვერ გაკეთდა.

— სწორედ ბეჟაშვილი, გოროზია და მელაძე უნდა დაგხმარებოდნენ ამ პრობლემის მოგვარებაში. გიორგი მარკოიშვილიც სწორედ ამას ამბობს, რომ ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებიათ და ისევ სპორტის სასახლის დაქირავება გიწევთ.

— ეს არის მერიის საკუთრება. პრობლემას წლების განმავლობაში ვსვამდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვაგვარეთ. სახელმწიფო არ გვეხმარებოდა.

> **მიმაჩნია, რომ ყველა კლუბი და საკალათბურთო სკოლა მუნიციპალიტეტთან უნდა არსებობდეს. ყველა ქვეყანას, კალათბურთის დახმარება სოციალურ პროგრამაში უდევს. საერთოდ, კლუბის 51%-ს სახელმწიფო უნდა ფლობდეს, დანარჩენს კი სპონსორები აფინანსებენ. აი, ეს სისტემა შევთავაზეთ სახელმწიფოს, მაგრამ უშედეგოდ. საბონისის ჩამოსვლის შემდეგ, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დაგვპირდა, რომ ამას განახორციელებს.**

— წინა ხელისუფლების პირობებში, სახელმწიფო არ დაგეხმარათ, როდესაც ლევან ბეჟაშვილი, ზაზა გოროზია და გიორგი მელაძე, ფედერაციის წევრები იყვნენ?

— სამწუხაროდ, ასე იყო. 2002 წლიდან ამის გამო ვიბრძვი, რამდენი მერი შეიცვალა თბილისში, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე...

— შსს-სა და თავდაცვის სამინისტროების საკალათბურთო გუნდებთან დაკავშირებით რა ხდება, ირაკლი ღარიბაშვილი და ირაკლი ალასანია, წინამორბედების მსგავსად, ამ გუნდების დაფინანსებას გააგრძელებენ?

— როგორც ვიცი, მაისის ბოლომდე ამ გუნდებს არავითარი პრობლემა არ ექნება, მაგრამ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ პროექტზე, რომ როგორც ამ გუნდების, ასევე თსუ-ს, სტუ-სა და სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდებისთვისაც შემუშავდეს ერთიანი ბიუჯეტი, რათა საქართველოს ჩემპიონატზე გამოვიდნენ.

— გიორგი მარკოიშვილი ფედერაციაში თქვენს ინტერესთა კონფლიქტზეც საუბრობს და არც ესაა მართალი?

— ვფიქრობ, ფედერაციამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ვეტერანთა ფონდი შექმნა. ამაში ცუდი რა არის, როდესაც ფონდს რეგულარულად, თვეში ერთხელ ვურიცხავთ გარკვეულ თანხას და თუ ვინმე სპონსორი გვყავს, მათაც ვთხოვთ, ვეტერან კალათბურთელებს დაეხმარონ. ამ ფონდს თავისი გამგეობა ჰყავს, რომლებშიც ვეტერანი კალათბურთელები შედიან და თავად წყვეტენ, ვის და როგორ უნდა დაეხმარონ.

საქართველოს პრეზიდენტმა ახალი ელჩები დაამტკიცა

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 18 მარტის 18/03/04-18/03/12 განკარგულებებით, დანიშნულ იქნენ: ნატო საბანაძე — ბელგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლად; მიხეილ უკლება — უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად; ეკატერინე სირაძე-დელონე — საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და იუნესკოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად; არჩილ გეგეშიძე — აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად; ზაზა კანდელაკი — უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად; კონსტანტინე ზალდასტანიშვილი — ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად; თეიმურაზ ჯანჯალია — ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად; ზაალ გოგსაძე — ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და კარლო სიხარულიძე — იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ქ. რომში განლაგებულ გაერო-ს საერთაშორისო ორგანიზაციებში (FAO, IFAD, WFP) საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად.

„პირველი“

ბრიტანელი ანალიტიკოსი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას 20-25 წლის შემდეგ ვარაუდობს

ბრიტანელი ისტორიკოსი, მწერალი და ანალიტიკოსი ტიმოთი გარტონ ეში რუსეთისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროკავშირთან მომავალ ურთიერთობაზეც საუბრობს. მისი თქმით, რუსეთმა დაკარგა იმპერია, თუმცა ჯერაც ვერ იპოვა თავისი როლი; რუსეთმა უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა, მაგრამ ამას დრო სჭირდება. ძალიან რთულია იმპერიის დაკარგვა, რუსეთმა კი სწრაფად და შთამბეჭდავად მოახერხა ეს — ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, მშვიდობიანად, ბრძოლის გარეშე.

„თუმცა, მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი გაერკვევა, რა უნდა – ალტერნატიული ცივილიზაციის იმპერია თუ ევრაზიის მეტ-ნაკლებად ნორმალური სახელმწიფო, ამის შემდეგ, შეგვიძლია, ვიმუშაოთ ჩვენს შორის გრძელვადიან ურთიერთობაზე“, — აცხადებს ტიმოთი გარტონ ეში.

კითხვაზე, რა მომავალი აქვთ ევროკავშირში სხვა ქვეყნებს, როგორებიც არიან ბელორუსი, მოლდოვა, სომხეთი და საქართველო, ბრიტანელი სწავლული პასუხობს — **„ამ ქვეყნებს, რაც უფრო მეტად თავისუფლდებიან, მით მეტად სურთ, ეკუთვნოდნენ ევროკავშირს. როდესაც ევროკავშირის წევრობის ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებენ, გახდებიან მისი წევრები. ფსონს ჩამოვალ, რომ ეს ქვეყნები 20-25 წლის შემდეგ ევროკავშირის წევრები იქნებიან“.**

„ინტერპრესნიუსი“

ქარისგან დაზარალებულ თბილისელებს სახლებს მერია გადაუხურავს!

უგულავას უწყებაში ზარალს უახლოეს დღეებში დაითვლიან

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

სინოპტიკოსების პროგნოზმა, რომ საქართველოში გრიგალი იყო მოსალოდნელი, ხალხი პანიკაში ჩააგდო. პროგნოზი გამართლდა — 3 დღის განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამინდი საგრძნობლად გაუარესდა.

ძლიერმა ქარმა მოსახლეობას სერიოზული ზიანი მიაყენა. თბილისში, 20-მდე სახლის სახურავი დააზიანა. თბილისის სამაშველო სამსახურში ათობით გამოძახება დაფიქსირდა, ძირითადად, გლდანი-ნაძალადევისა და საბურთალოს რაიონებიდან. გამოძახება სახურავების დაზიანებას შეეხებოდა. საბედნიეროდ, მოქალაქეები ფიზიკურად არ დაშავებულან.

შსს-ს სსიპ „112“-ის დეპარტამენტიც მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა, მით უმეტეს, რომ ამინდის გაუარესება 23-24 მარტსაც მოსალოდნელია.

ძლიერი ქარის გამო, ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა თბილისში რამდენიმე სასიცოცხლო ობიექტს, მათ შორის დიღომში მდებარე საავადმყოფოებს, ასევე დიდი დიღმის, დიღმის მასივის, ვაშლიჯვრისა და დიდუბის მოსახლეობის ნაწილს, ტელეკომპანია „იმედს“, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოსა და აშშ-ს საელჩოს. ძლიერი ქარის გამო დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები „დიღომი 1“ და „დიღომი 2“.

„ვერსია“ თბილისის მერიას დაუკავშირდა იმის გასარკვევად, რა სახისა თუ რაოდენობის ზარალი განიცადა დედაქალაქის მოსახლეობამ. მუნიციპალიტეტის პრესსამსახურში განგვიმარტეს, რომ **„ამინდის მკვეთრი გაუარესების გამო, სერიოზული პრობლემები თბილისს არ შექმნია. რამდენიმე რაიონში გამოძახება დაფიქსირდა, სადაც ოპერატიულად გავიდნენ გამგეობების წარმომადგენლები და ადგილზე გაეცნენ მდგომარეობას. ქარისგან სახურავგადახდილ სახლებს გამგეობა გადახურავს და მოსახლეობას შეძლებისდაგვარად დაეხმარება. მერიამ გადაწყვიტა, ფულადი კომპენსაცია არ დაარიგოს. დაზარალებულებს სახურავებს შევუკეთებთ. კონკრეტულად, როდის დაიწყება დაზიანებული სახურავების შეკეთება, ამის თქმა ძნელია, ჯერ ზარალიც არ არის დათვლილი. უახლოეს ხანებში, ზარალის ოდენობას კომისია შეისწავლის და ეს სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება. მთავარია, ამინდმა ხელი შეგვიწყოს. თუ ძლიერი ქარის გამო, მოსახლეობას სახურავები დაუზიანდა ან რაიმე ზარალი მიადგა, ცხელ ხაზზე უნდა დარეკონ ან გამგეობაში მივიდნენ და ამის შესახებ განაცხადონ“.**

ამინდის გაუარესება, ყველაზე მეტად, შავი ზღვის სანაპიროს დაეტყო. აჭარაში 18 მარტს გაავდრდა, მთელი ღამის განმავლობაში ძლიერი ქარი და წვიმა იყო, შესაბამისად, აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა.

აჭარის სანაპიროებზე ზღვის შტორმის 4-ბალიანი სიმძლავრე დაფიქსირდა, ხოლო წამში — 20 მეტრი სიჩქარის ქარი. უსაფრთხოების გამო, ყველა სახის საზღვაო ტრანსპორტი ბათუმის იახტკლუბში იყო თავმოყრილი.

აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილის, მამუკა თურმანიძის განმარტებით, 4-ბალიანი შტორმი ზღვის ძლიერ ღელვას ნიშნავს, თუმცა რაიმე სახის ზარალი ამ დრომდე არ დაფიქსირებულა: **„ჩვენ ვაკონტროლებთ ბათუმის იახტკლუბს, რომელიც სააგენტოს კუთვნილებაშია. როდესაც საგანგაშო მდგომარეობაა ზღვაში, ვუთმობთ ადგილს ნებისმიერ გემს, რათა იყვნენ უსაფრთხოდ. 17 მარტს, ღამით შემოვიდა სანაპირო და თავდაცვის კატარღები. 18 მარტს ყველაზე დიდი ღელვა დაფიქსირდა გონიოს სანაპიროებზე“.**

19 მარტს, აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილის ცნობით, აჭარის სანაპიროებთან განგაშის დონემ იკლო, გამოიდარა, თუმცა სანამ ზღვა დაწყნარდება, გემები იახტკლუბში რჩება.

18 მარტს ავდარმა პრობლემები შექმნა მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კობის მონაკვეთზეც, სადაც ინტენსიური თოვის, შეზღუდული ხილვადობისა და ზვავსაშიშროების გამო, ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დროებით აიკრძალა, შეჩერებულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა.

19 მარტს სინოპტიკოსებმა დამაიმედებელი ინფორმაცია გაავრცელეს — საქართველოში 23 მარტამდე თბილი ამინდი იქნება. ამინდის მოკლევადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის, დოდო გვაზავას ცნობით, 23 მარტამდე დასავლეთ საქართველოს დაბლობში დღისით ჰაერის ტემპერატურა +20 გრადუსამდე, ხოლო მთაში +15 გრადუსამდე აიწევს. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ჰაერის ტემპერატურა +18⁰ იქნება. თბილისში კი — +16⁰ - +18⁰.

23 და 24 მარტს ამინდი კვლად გაუარესდება.

მარიამ ლოლაშვილი

ბოლო დროს ეჭვებს ამძაფრებს ის ფაქტი, რომ „ევროპის სახალხო პარტიის“ ცალკეული წევრები თავგამოდებით იცავენ სააკაშვილის რეჟიმს მაშინ, როცა რეაქცია არ ჰქონიათ, საქართველოს ციხეებში ცოცხების გამოყენების, ქვეყანაში გამეფებული ნულოვანი ტოლერანტობის, ფასადური აღმშენებლობის, კერძო საკუთრების ხელყოფის მიმართ. ისინი „ევროპის კარის დახურვის“ შორსმიმავალ დასკვნებს ისე იოლად აკეთებენ, რომ პრემიერის მიპატიჟების მიუხედავად, არ სწვევიან საქართველოს და არ გასცნობიან აქ არსებულ სიტუაციას. ასეთი ორმაგი სტანდარტები კი საქართველოში იმედგაცრუებას იწვევს.

კორუფციაში მხილებული ევროდეპუტატები

იცავენ თუ არა ევროპარლამენტარები ევროპულ ღირებულებებს?

23 ევროპარლამენტარის მიმართ ბიძინა ივანიშვილისა და დავით უსუფაშვილის წერილები იყო პირველი პრეცედენტი, როცა ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, პირდაპირ ეთქვა სათქმელი სააკაშვილის ლობისტებისთვის, თუნდაც იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუციური დიქტატორის როლი მოირგო და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 8 წელი, საქართველოს კონსტიტუცია 25-ჯერ შეცვალა. აღარაფერს ვამბობთ, მის მიერ ასე უხვად დარიგებულ ტიტულებზე „ჩარეცხილების, მუმიების, კრემლის აგენტების, გასანადგურებელი კლასის, სახელმწიფოს მტრებისა“ და სხვათა შესახებ, ასევე — პარალმენტის ურჩ წევრებზე გამოცხადებულ ნადირობაზე.

იცავენ თუ არა თავად ცალკეული ევროპარლამენტარები ევროპულ ღირებულებებს?! გთავაზობთ საინტერესო მასალას, რომელიც მოვიპოვეთ და რომელიც ადასტურებს, რომ ზოგიერთი ევროპარლამენტარი მთლად სუფთა ხელებით არ მოდის პოლიტიკაში.

კერძოდ, „ევროპის სახალხო პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს, ავსტრიის შს ყოფილ მინისტრ ერნსტ შტრასერს 2013 წლის იანვარში სასამართლომ კორუფციის ბრალდებით ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მის წინააღმდეგ სამხილად სამართალდამცავებმა ბრიტანელი ჟურნალისტების ფარული ვიდეოჩანაწერი გამოიყენეს.

პროკურატურის განცხადებით, შტრასერმა, როდესაც ის ევროპარლამენტის წევრი იყო, The Sunday Times-ის ჟურნალისტებს ლობისტობაში ყოველწლიურად 100 000 ევროს გადახდა მოსთხოვა. სანაცვლოდ, კანონპროექტში კლიენტებისთვის სასურველი ცვლილების შეტანას დაპირდა.

შტრასერმა ბრალდება უარყო და განაცხადა, ლობისტებს ტყუილს მივუხვდი და იმიტომ დავთანხმდი მათ წინადადებას, რომ გამეგო, რა სურდათ მათ სინამდვილეშიო. როგორც უნდა იყოს, ფაქტი მომხდარია და ეს მის ბიოგრაფიაში კითხვებს აჩენს.

ყოფილი ევროპარლამენტარი არა მარტო არაერთ კორუფციულ აფერაშია ეჭვმიტანილი, არამედ შტრასერს იმასაც უხსენებენ, რომ 2003 წელს, შს მინისტრობის დროს, იგი შეეცადა, არ დასჯილიყვნენ ის სამართალდამცავები, რომლებმაც პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს, ძალის გადამეტების გამო, ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს.

ერნსტ შტრასერი ფიგურირებს Amnesty International-ის ანგარიშებშიც, სადაც ნათქვამია, რომ იგი ოპონენტებზე პოლიტიკურ ზეწოლას ახორციელებდა.

ევროპარლამენტის ცალკეულ წევრთა მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი მიწერილი 6 მარტის წერილის ერთ-ერთი ხელმომწერი დამოუკიდებელი დეპუტატი ესტონეთიდან ინდრეკ ტარანდია. ის 2007 წელს გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი და დღემდე რჩება მის ლობისტად.

დასასრული მე-11 გვერდზე

მე-10 გვერდიდან

რაც შეეხება იორგ შოფლინს, 23 ევროპარლამენტარიდან ერთ-ერთს, იგი წარმოადგენს უნგრულ პარტიას. მან შეცვალა კონსტიტუცია და 200-ზე მეტ კანონში შეიტანა შესწორება, რაც ანტიდემოკრატიულობის გამო გააკრიტიკა ვენეციის კომისიამ, ევროსაბჭომ, ევროპარლამენტმა და აშშ-მ. მათი შეფასებით, ახალი კონსტიტუციით შოფლინი მემარჯვენე პარტიისთვის ძალაუფლების მოპოვებას ცდილობდა.

23 ევროპარლამენტარისგან განსხვავებით, საინტერესო პოზიცია დააფიქსირა ლიბერალ- დემოკრატებისა და რეფორმატორების ევროპული პარტიის თავმჯდომარე გრემ უოტსონმა: როცა ევროპის უმთავრესმა გამოცემამ „ევროაქტივმა“ ჰკითხა „სახალხო პარტიისა“ და საქართველოს პრემიერის ურთიერთობის შესახებ, უოტსონმა უპასუხა, რომ ივანიშვილის მთავრობის მიმართ „სახალხო პარტიის“ შეტევა სცილდება გონივრულ ფარგლებს. მეტიც, გრემ უოტსონი მიიჩნევს, რომ დეპუტატების ერთი ნაწილის მიმართვა არ შეიძლება ევროპარლამენტის პოზიციად განიხილებოდეს.

„ეს ევროპარლამენტის კი არა, პარლამენტის 23 წევრის პოზიციაა, რომლებიც სააკაშვილის მეგობრები არიან და რომლებმაც არ მიიღეს საქართველოში ჩატარებული დემოკრატიული არჩევნების შედეგები. მათ ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ ხელისუფლებას კვლავ დაიბრუნებენ“.

23 ევროპარლამენტარის აზრს, გარკვეულწილად, ეხმიანება აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ყოფილი მრჩეველი მეთიუ ბრაიზა, როცა ასეთი შინაარსის წერილს აქვეყნებს — „არეულობა თბილისში — „ქართული ოცნება“ საფრთხეშია“. ის აცხადებს, რომ ნამდვილი ოცნება არჩეული პრეზიდენტის დამცირება კი არა, დემოკრატიული სახელმწიფოების ევროატლანტიკურ გაერთიანებაში სრული ინტეგრაციაა და **„დემოკრატია არ არსებობს იქ, სადაც სიტყვის თავისუფლება საქონელი ჰგონიათ, რომლის გადაცვლაც შეიძლება“.**

თავის დროზე, ბრაიზას მიმართ მაშინდელი ქართველი ოპოზიციონერები კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი, რადგან 2008 წლის არჩევნებში მან სერიოზული დარღვევები ვერ დაინახა. იმ დროს თინა ხიდაშელმა არჩევნების დადებითი შეფასების გამო გააკრიტიკა ბრაიზა და აღნიშნა, ყველამ იცის, რომ ბრაიზა სააკაშვილის „პირადი მეგობარია“.

მაშინ, ქართული ოპოზიციის პერსონალური იერიში ბრაიზას მიმართ სიტყვიერ კრიტიკას გასცდა და, 12 იანვარს, თბილისში, მოეწყო გამოფენა, რომელსაც ოპოზიციის ლიდერებმა უწოდეს „მეთიუ ბრაიზას სახელობის სიცრუის მუზეუმი“, სადაც ის ოქმები გამოიფინა, რომელიც, ოპოზიციის თქმით, სააკაშვილის სასარგებლოდ გაყალბდა. მუზეუმის გახსნისას ბრაიზამ აღნიშნა, რომ სასაცილოა, მისი მსგავსი უბრალო დიპლომატით ვინმე დაინტერესებულიყო ისეთი მნიშვნელოვანი არჩევნების დროს, როგორიც საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იყო.

მოგვიანებით, მეთიუ ბრაიზა ბაჩო ახალაიას შს მინისტრად დანიშვნასაც გამოეხმაურა და მისთვის მიცემულ „შანსზე“ გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, მართალია, ახალაიას ძალოვან უწყებაში თანამდებობაზე ყოფნა საერთაშორისო საზოგადოებაში, ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის საკამათო იყო, მაგრამ მას აქვს შანსი, წერტილი დაუსვას ყველა დავას. ციხის სკანდალის თემის შეფასებისას კი განმარტა, რომ ეს ფაქტი სააკაშვილის მთავრობისთვის სერიოზულ დარტყმას წარმოადგენდა.

რას ნიშნავს ცალკეულ ევროპარლამენტართა და ასევე, მეთიუ ბრაიზას მიერ გაკეთებული განცხადებები და როგორ აფასებენ ქართველი ექსპერტები და პოლიტიკოსები კორუფციაში მხილებულ ევროპარლამენტართა საქმიანობას?!

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი აცხადებს, რომ როდესაც ვსაუბრობთ საქართველოსთვის ევროპული გზის პრიორიტეტულობაზე, რასაკვირველია, არ ვგულისხმობთ, რომ „სახალხო პარტიის“ (EPP) მსგავსი პარტიები ევროპის სიმბოლო უნდა იყოს. ეს უზარმაზარი პარტიაა, უფრო სწორედ, პარტიათა კოალიციაა, რომელიც, ცხადია, ვერ აკონტროლებს მის წევრებს.

ამდენად, ცალკეულ ევროპარლამენტართა ქმედება შეიძლება არ იყოს სისხლის სამართლის დანაშაული, თუკი ეს აღებ-მიცემის ფაქტები რაიმე გამჭვირვალე კონტაქტის საგანია, მაგრამ საქართველოსთან მიმართებით რა პოზიციასაც აფიქსირებს ეს 23-კაციანი ჯგუფი, გაუგებარია.

„ვიღაცას ყოფნის თავხედობა, პარტიის სახელით ილაპარაკოს ისე, რომ საკუთარი გვარი არ მოაწეროს. ეს მიმანიშნებს იმაზე, რომ ამ პარტიამ რატომღაც მოისურვა საქართველოში ორი დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის მიმართ სრულიად მკაფიო არჩევანი გააკეთოს. იგი ხელისუფლების მიმართ პროკურორის როლშია ჩამდგარი, ხოლო ოპოზიციის მიმართ — ადვოკატის როლში. როცა პოლიტიკური ძალა საკუთარ თავში ვერ პოულობს უნარს, ობიექტური იყოს, რაღაც კარგი დაინახოს ორივე ძალაში და რაღაც გამოსასწორებელი, ეს მიგვანიშნებს უკიდეგანო სუბიექტივიზმზე“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი. მეთიუ ბრაიზასთან დაკავშირებით კი, მისი პოზიციაა — ამ ადამიანმა ამოისუნთქა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებასთან აღარ არის დაკავშირებული, თუმცა ბრაიზა სერიოზულად არც მაშინ წუხდა, როცა ურთიერთობდა სააკაშვილთან: **„ფაქტია, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დაკანონებაში მას სერიოზული წვლილი მიუძღვის, მაგრამ რაიმე ტიპის პიროვნული ერთგულების სამხილი მას, წესით, არ უნდა გააჩნდეს. ვიცი მისი რეაქცია, როცა გაიგო, თავდაცვის მინისტრად ინიშნებოდა ბაჩო ახალაია, მადლობას უხდიდა ღმერთს, რომ აღარანაირი საქმე ამ ქვეყანასთან არ გააჩნდა“.**

დასახელებული ფაქტების კომენტირებისას საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ რომელიმე პარტიის წევრი შეიძლება არის ასეთ რამეში შემჩნეული, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ევროპის სახალხო პარტია“ (EPP) ევროპარლამენტსა და ევროპის საბჭოში მთავარ პოლიტიკურ ძალად ითვლება. ამიტომ იქ ერთი და ორი კაცის გადაცდომა არაფერს ნიშნავს. მეტიც, ლევან ბერძენიშვილის თქმით, ასეთი ხალხი ყველა პარტიას ჰყავს, მათ შორის, ლიბერალებსაც ჰყავთ „ერთი საეჭვო კაცი“. მისთვის ისიც ცხადია, რომ „ნაცმოძრაობა“ EPP-ის წევრია და ისინიც ითვალისწინებენ და იჯერებენ მის ნათქვამს, ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს, რომ ევროპის სახალხო პარტია გადაარწმუნოს, დაანახოს სიმართლე: **„EPP-ის „გაშავება“ არ უნდა იყოს ამოცანა, რადგან ეს შეუძლებელია. ფაქტობრივად, ევროპის ბევრი ქვეყნის ხელმძღვანელი იყრის თავს ამ პარტიაში. ამიტომ არა მგონია, შტრასერსა და ასეთ ადამიანებზე უნდა ვისაუბროთ. ამ პარტიასთან თანამშრომლობა აუცილებელია იმ მიმართულებითაც, რომ ჩვენი ახალი წევრები იქნებიან EPP-ში, შეიძლება, რომელიმე ჩვენი პარტია გაერთიანდეს, გაწევრიანდეს და შეცვალოს დამოკიდებულება, ამიტომ იმ მეთოდებით მათთან საუბარი, რაც თქვენ შემომთავაზეთ, არ მიმაჩნია სწორად“.**

დეპუტატს განვუმარტეთ, რომ საუბარია კორუფციაში შემჩნეულ მხოლოდ ცალკეულ ევროპარლამენტარებზე. საპასუხოდ, მან აღნიშნა, რომ არ არის სწორი, მთელი პარტია და ანგელა მერკელი გამოვაცხადოთ კორუმპირებულად. ეს EPP-ს ჩირქს ვერ მოსცხებს, რადგან კორუფცია პარტიებსა და პოლიტიკაში, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი მოვლენაა.

FOR.GE

„მირჩევნია, ევროპამ სულ დედ-მამის სული აგინოს ჩვენ მთავრობას, ვიდრე ამ ქარტიას ხელი მოვაწეროთ“

მე-7 გვერდიდან

იმის გამო, რომ პრემიერ-მინისტრს ლობისტები სჭირდება, საქართველოს ისტორია არ უნდა დავივიწყოთ — ქართველებმა სისხლის გუბეების სანაცვლოდ შეძლეს აჭარის შემოერთება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პირველ ოქტომბერს მოპოვებული წარმატებისგან ჩვენ ხელისუფლებას ერთგვარი თავბრუსხვევა დაემართა, მაგრამ ავიწყდება, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ და არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაში.

— ევროპასთან ხისტი პოლიტიკის წარმოებით, რუსეთთან ურთიერთობების დალაგების მეტი შანსი არ ჩნდება?

— ზოგადად, ევროპასთან ხისტი პოლიტიკა არასწორია. ეს გზა თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ აირჩია, რის გამოც დასავლეთიდან შემოუთვალეს — დინების საწინააღმდეგოდ მიცურავო. ამ განცხადებიდან რამდენიმე თვეში კი მისი ხელისუფლება დაემხო. დიდი იმედი მაქვს, იგივე გზას ჩვენი ხელისუფლებაც არ გაიმეორებს, მაგრამ ფაქტია, ევროპასთან ღია წერილები და კრიტიკული ურთიერთობა საქართველოსნაირ ქვეყნებს კი არა, ბევრად ძლიერ სახელმწიფოებსაც არ გამოსდით. ასეთ დიდ ძალას შუბლით კი არ უნდა შევასკდეთ, ლავირება უნდა ვისწავლოთ. ის არ უნდა დაგვემართოს, რომ რუსეთს ჩავეხუტოთ და ევროპასთან კონფრონტაციით, მეორე, უფრო დიდი მტერი გავიჩინოთ. იცით, მიხეილ სააკაშვილი რატომ იყო ნიჭიერი? მისთვის ევროპარლამენტარებს მსგავსი ღია წერილი რომ მიეწერათ, ბიძინა ივანიშვილივით კი არ მოიქცეოდა, პირიქით, უპასუხებდა — დიდი მადლობა, რომ ასეთი წერილი მომწერეთ, მადლობა იმისთვისაც, რომ ეს სიბრძნე თავზე დამაფრქვიეთ, თქვენი რჩევების შესრულებას კი ხვალიდანვე დავიწყებო, თუმცა, ბუნებრივია, სინამდვილეში, ევროპული რეკომენდაციებისგან არაფერს გაითვალისწინებდა. გარწმუნებთ, არც მარბელისი დაინტერესდებოდა, რა მოხდებოდა ამის შემდეგ საქართველოში და პრობლემაც ამოიწურებოდა. სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილი ისევე, როგორც ყველა მილიარდერი, საკმაოდ ექსცენტრული ადამიანია, რაც სახელმწიფო მმართველისთვის ყველაზე ცუდ პოლიტიკურ თვისებად უნდა ჩავთვალოთ.

„ბაჩო ახალაია და გაგა მკურნალიძე ყველაზე დაცული პატიმრები არიან“

უფლებადამცველი თეა თუთბერიძის განცხადებით, გამორიცხული არ არის, გლდანის საპყრობილეში მყოფ ბაჩო ახალაიასა და გაგა მკურნალიძეს პატიმრები ფიზიკურად გაუსწორდნენ. თუთბერიძე აცხადებს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც გლდანის ციხიდან საკუთარი წყაროებით მიიღო, უკვე მიაწოდა სახალხო დამცველსა და მის მოადგილეს.

ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, ბაჩო ახალაიასა და გაგა მკურნალიძის ოჯახის წევრები, მეგობრები და მხარდამჭერები გლდანის საპყრობილესთან შეიკრიბნენ, რათა იქვე დალოდებოდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლის პასუხს.

ბაჩო ახალაია ე.წ. მატროსოვის ციხიდან გლდანის საპყრობილეში სხვა პატიმრებთან ერთად, დაახლოებით, ერთი კვირის წინ გადაიყვანეს. ოფიციალურ ვერსიად „მატროსოვის ციხის“ სარემონტო სამუშაოები დასახელდა. ახალაიას გადაყვანა გააპროტესტეს ყოფილი თავდაცვისა და შს მინისტრის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა.

თუთბერიძის განცხადებას სასჯელაღსრულების სამინისტრო გამოეხმაურა. უწყების წარმომადგენლების თქმით, გლდანის ციხეში მოთავსებულ ყოფილ შს მინისტრ ბაჩო ახალაიას მიმართ სხვა პატიმრების მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორების შესაძლებლობა არ არსებობს. სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსპიკერის, ირაკლი კორძაიას თქმით, ახალაიას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ამასთან, კორძაიამ უარყო გავრცელებული ინფორმაცია ციხის ერთ-ერთი თანამშრომლის ცემის შესახებ. მისი თქმით, პატიმარმა გაგა მკურნალიძემ განაცხადა — დისკომფორტი მაქვს იმ შეძახილების გამო, რომელიც დაწესებულების სხვა კორპუსებიდან ისმისო.

„რაც შეეხება ბაჩო ახალაიას, გაგა მკურნალიძესა და სხვა ყოფილ თანამშრომლებს, ისინი არიან ყველაზე დაცული პატიმრები დედამიწის ზურგზე“, — აცხადებს ირაკლი კორძაია და განმარტავს, რომ გაესაუბრნენ პატიმრებს, რომელთა შეძახილებიც ისმის და სხვა დაწესებულებაში მათი გადაყვანის პროცესი მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

ქართველი სამხედროები აფრიკის ქვეყნის, მალის მისიაში ჩაერთვებიან

საქართველოს მთავრობა დათანხმდა ევროპელი პარტნიორების შემოთავაზებას და ქართველი სამხედროები აფრიკის კონტინენტზე მდებარე ქვეყნის — მალის მისიაში ჩაერთვებიან. საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას თქმით: **„მივიღეთ შემოთავაზება ევროკავშირისგან, რომ განვიხილოთ ჩვენი თანამონაწილეობის შესაძლებლობა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრუქტურებში. ამის შესახებ მთავრობაში ვიმსჯელეთ და მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებშია, უფრო მეტად დაუახლოვდეს ევროპას, ევროკავშირსა და თავდაცვისა თუ უსაფრთხოების სტრუქტურებს. პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ, დავიწყეთ მოლაპარაკების პროცესი ევროკავშირსა და მის საგარეო უსაფრთხოების სტრუქტურებთან. ჯერჯერობით, დგინდება დეტალები, რა ფორმით მიიღებს საქართველო მალის მისიაში მონაწილეობას და საზოგადოებას სრულყოფილ ინფორმაციას მოგვიანებით მივაწვდით“.**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ევროკავშირის მისიაში ჩართვის შესახებ სურვილი ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ქეთრინ ეშტონმა, გასული წლის ბოლოს, საქართველოში ვიზიტისას გამოთქვა. ამჟამად მალის საერთაშორისო მისიაში ევროკავშირის 16 ქვეყანა და ნორვეგია მონაწილეობს. ამ ეტაპზე, მალის დედაქალაქ ბამაკოში უკვე ჩასულია 500-კაციანი ჯგუფი, რომელიც სამხედრო ინსტრუქტორებისგან, მედიკოსთა ჯგუფებისგან, სამაშველო სამსახურებისა და 70-კაციანი სამხედრო პერსონალისგან შედგება.

მალი აფრიკის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და მას ალჟირი, ნიგერია, კოტ დი ვუარი, ურკინა ფასო, გვინეა, მავრიტანია და სენეგალი ესაზღვრება. უკვე ერთ წელზე მეტია, საომარი მოქმედებები მიმდინარეობს მალის მთავრობასა და სხვადასხვა ტერორისტულ დაჯგუფებას შორის. თავიდან, ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში სამთავრობო ჯარების ბლოკპოსტებზე თავდასხმა დაიწყეს. ჯერ კიდევ 2012 წლის დასაწყისში კი, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილის ქალაქებზე სხვადასხვა რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფებებმა დაამყარეს კონტროლი და დაპყრობილ ქალაქებში თავიანთი მმართველობა გამოაცხადეს. მალის ჩრდილოეთში მათ საწრვთნელი ბაზები და იარაღის დიდი მარაგი აქვთ, რომელთა დიდი ნაწილი ლიბიაში სამოქალაქო ომის დროს მოიპოვეს.

მალის ხელისუფლების დასახმარებლად, ქვეყანაში 10 იანვარს საფრანგეთის სამხედრო ქვედანაყოფები ჩავიდნენ. წლების წინ, მალი სწორედ საფრანგეთის კოლონია იყო. ამ დროისთვის, ქვეყანაში უკვე 4 ათასამდე ფრანგი სამხედრო იმყოფება. მათი ჩარევის შედეგად, ტერორისტებისგან რამდენიმე ქალაქი გათავისუფლდა. ოპერაციაში დასავლეთაფრიკული ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნების სამხედროებიც მონაწილეობენ.

სპეციალისტები შიშობენ, რომ კონფლიქტის ამოწურვამდე, ჯერ დიდი დროა დარჩენილი, რადგან დიდი ალბათობაა, ამბოხებულებმა ტერორისტული აქტების მოწყობა დაიწყონ. ერთ-ერთ ბოლო ტერორისტულ აქტს 17 მარტს ფრანგი ჯარისკაცი ემსხვერპლა, რამდენიმე კი დაიჭრა.

საფრანგეთის პრეზიდენტის, ფრანსუა ოლანდის განცხადებით, ფრანგი სამხედროები მალიში მანამ დარჩებიან, სანამ დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური თანამეგობრობის სამხედრო კონტინგენტი ჩაანაცვლებს და ქვეყნის ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია აღდგება.

ნათია ვასაძე

სუპერმარკეტებში ვადაგასული მარილიანი მიწის თხილი, ორცხობილა, შოკოლადი, ნამცხვრები, დაფასოებული ფარში, მარგარინი და კარაქი აღმოაჩინეს

„ორი ნაბიჯის“ ხელმძღვანელობა „ვერსიას“ უვარგისი პროდუქციის დახლზე მოხვედრის მიზეზებს განუმარტავს, „ვეჯინის“ ხელმძღვანელობა კომენტარს არ აკეთებს!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

„ნუგეშში“ აღმოჩენილი ვადაგასული კვერცხის შემდეგ, ვადაგასული პროდუქცია სუპერმარკეტებშიც აღმოაჩინეს. ამჯერად, საქმე „ვეჯინსა“ და „ორ ნაბიჯს“ ეხება. ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე ვადაგასული და შენახვა-რეალიზაციის პირობების დარღვევის გამო, გაფუჭებული პროდუქტი უკვე წლებია, მრავლად იყიდება. სამწუხაროდ, ქართველი მომხმარებელი ხშირად არ თუ ვერ აქცევს ყურადღებას, რა პირობებში ხდება პროდუქციის რეალიზაცია და არის თუ არა ის ვადაგასული. საბოლოო და ეს ისევ მომხმარებლის ჯიბესა და ჯანმრთელობას აზარალებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო სასურსათო ბაზრისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების სახელმწიფო კონტროლს აგრძელებს. მონიტორინგის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რაიონის სავაჭრო ობიექტებიდან ამოღებულია ვადაგასული და საკვებად უვარგისი პროდუქტი.

2013 წელს ინსპექტირება განხორციელდა სურსათის მწარმოებელ 194 საწარმოში. არაკრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის შედეგად მიცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო, დაჯარიმდა 69 ბიზნესოპერატორი, კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის გამო, საწარმოო პროცესი შეუჩერდა და დაჯარიმდა 2 ბიზნესოპერატორი.

სახელმწიფო კონტროლ-მონიტორინგის განხორციელებისას, ვეტერინარული მოწმობა — ფორმა №2-ის გარეშე ხორცის რეალიზაციის გამო დაჯარიმდა 43 ბიზნესოპერატორი. განადგურდა დიდი რაოდენობით დაავადებული ცხენის ხორცი.

მონიტორინგის განხორციელებისას, სუპერმარკეტში „ორი ნაბიჯი“ აღმოჩნდა ვადაგასული სხვადასხვა სახეობის სურსათი (მარილიანი მიწის თხილი, სხვადასხვა სახის ორცხობილა, შოკოლადის ბატონები, ნამცხვარი, დაფასოებული ფარში). აღნიშნული სურსათი განადგურდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ასევე, არაგეგმური ინსპექტირებისას, ვადაგასული პროდუქცია აღმოჩნდა და განადგურდა შპს „ვეჯინის“ სუპერმარკეტში — სხვადასხვა დასახელების შოკოლადის ფილები, მარგარინი და კარაქი.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ვადაგასული სურსათი ექვემდებარება განადგურებას ან უტილიზაციას ტექნიკური გადამუშავების გზით, მხოლოდ აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული ვეტერინარულ-სანიტარული და სანიტარულ-ჰიგიენური ექსპერტიზის საფუძველზე. ვადაგასულ პროდუქტს გაანადგურებენ თუ არა, ამას სურსათის ეროვნული სააგენტო, უახლოეს მომავალში, თავად გადაწყვეტს.

„ვერსია“ დაინტერესდა, რატომ იყიდებოდა ვადაგასული პროდუქტი აღნიშნულ მაღაზიებში. ინფორმაციის მისაღებად, სუპერმარკეტების ქსელების ხელმძღვანელებს დავუკავშირდით.

„ორი ნაბიჯის“ დირექტორი ლადო ნაცვლიშვილი განმარტავს: „ჩვენ 12 ობიექტი გვაქვს. ვადაგასული 40 ლარის ღირებულების პროდუქტი კი მხოლოდ ერთ სუპერმარკეტში აღმოჩნდა ისიც იმიტომ, რომ შეცდომა გაიპარა. მომწოდებელი შეცდა და მცირევადიანი პროდუქტი მოგვაწოდა. პერსონალი მეტ ყურადღებას, ვარგისიანობის ვადებთან დაკავშირებით, მალფუჭებად პროდუქტს აქცევს. რადგან ეს იყო „კრეკერი“, „სუხარი“ და ტკბილეული, ნაკლები ყურადღება მიექცა... ეს პერსონალისა და მომწოდებლის ბრალია. გასაგებია, მომწოდებელმა შეცდომა დაუშვა და მცირევადიანი პროდუქცია მოგვაწოდა, მაგრამ პერსონალი ვალდებულია, შეაბამისი პროცედურები დაიცვას, პროდუქცია მიღების დროსაც შეამოწმოს და თაროებზეც, დღეში ერთხელ განახორციელოს კონტროლი. სააგენტოს წარმომადგენლებს ამ ხარვეზის გამო არ დაუჯარიმებივართ, უბრალოდ, ვადაგასული პროდუქტი ამოიღეს და სააგენტოს მიერ ამოღებული პროდუქცია საშიში არ არის. ვინც შეგვამოწმა, გვითხრა, ქალაქში არსებული სიტუაციის ფონზე, კარგი შედეგი გაქვთო. მიუხედავად ამისა, ეს არ არის დამაკმაყოფილებელი და ჩემი სურვილია, საერთოდ, არ იყოს ვადაგასული პროდუქცია თაროზე.

იმის გამო, რომ პერსონალმა გამოიჩინა დაუდევრობა და არ შეამოწმა პროდუქციის ვარგისიანობა, შიდა კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელფასი არ მიიღო, ზოგი დაჯარიმდა კიდეც“.

„ვერსია“ მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა „ვეჯინის“ წარმომადგენლებთან დაკავშირებას. მას შემდეგ, რაც ტელეფონით ვერავის დავუკავშირდით, სუპერმარკეტების ქსელს თავად ვესტუმრეთ, სადაც განგვიცხადებს, რომ „ვეჯინის“ ხელმძღვანელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარს არ გააკეთებს.

ნელი თორდია
593-61-07-72

რა არის ავტორიზაცია და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლებელი მის მისაღებად

იმ სასწავლებლების სია, რომლებსაც 2010 წლიდან დღემდე ავტორიზაცია გაუუქმდათ

აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმება-არგაუქმებასთან დაკავშირებით, საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ერთნი, (ძირითადად, ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერები) ამტკიცებენ, რომ „აგრუნისთვის“ ავტორიზაციის გაუქმება პოლიტიკური ნიშნით მოხდა, მეორენი დარწმუნებულნი არიან, რომ ავტორიზაციის საბჭომ უნივერსიტეტის მუშაობაში სერიოზული ხარვეზები აღმოაჩინა და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. მაინც, რას წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული ავტორიზაცია, რომელი სტანდარტებისა და კრიტერიუმების საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება და „ნაციონალების“ რომელ საკანონმდებლო ინიციატივას „ემსხვერპლა“ აგრარული უნივერსიტეტი? „ვერსიის“ კითხვებს განათლების ლიგის პრეზიდენტი, განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

— საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია ჩვენში მესამე წელია არსებობს, მანამდე კანონმდებლობა ავტორიზაციას არ სცნობდა და საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭება ლიცენზირებით ხდებოდა. საკაშვილის ინიციატივით, ლიცენზია ავტორიზაციამ ჩაანაცვლა, რომლის მიზანია, საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი სწავლების განხორციელებისთვის აუცილებელი სტანდარტებით დაკმაყოფილება — სახელმწიფო ამოწმებს საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ სტანდარტებს.

— იქნებ განმარტოთ, რას წარმოადგენს სტანდარტი და რატომაა მნიშვნელოვანი მისი დაცვა?

— სტანდარტი სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნაა, რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს, რათა გასცეს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დიპლომი. სტანდარტების დაკმაყოფილების პირობებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა ალბათ ხვდებით, რომ მოთხოვნაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო პროგრამები. პირველში შედის შენობა, ფართი, რომელიც სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება, სპორტული მოედანი, სპორტდარბაზი, სასადილო, ბიბლიოთეკა, ევაკუაციის გეგმა, სახანძრო სისტემა, სამედიცინო კაბინეტები, მედიკამენტები... მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდა, მოწმდება ადამიანური რესურსი, საკადრო პოლიტიკა და რაც მთავარია, საგანმანათლებლო პროგრამები.

ავტორიზაციის ჩატარებას აქვს თავისი წესი. კერძოდ, მისი მიღების მსურველს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეაქვს განაცხადი, ახდენს თვითშეფასებას, მას ავტორიზაციის მაძიებლად ცნობენ და დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შედის. ამის შემდეგ იწერება დასკვნა, რომელიც აღწერს თვითშეფასების შესაბამისობას თითოეულ სტანდარტთან და ეს მტკიცდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კრიტერიუმები იმდენად მკაცრია, სტანდარტის ერთი შემადგენელი ნაწილიც რომ არ იყოს სრულყოფილი, ავტორიზაციას ვერ მიიღებ.

იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ავტორიზაცია მიიღე, სახელმწიფო გიდგენს, რა რაოდენობის სტუდენტის მიღება შეგიძლია შენი რესურსების პირობებში. ავტორიზაციის სამართლებრივი შედეგია, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება მუშაობას რომ იწყებს.

— რა განსხვავებაა ავტორიზაციის შეჩერებასა და გაუქმებას შორის?

— კარგი კითხვაა, რადგან ავტორიზაცია შედარებით „ახალი ხილია“ და საზოგადოებაში საკანონმდებლო ცოდნის დეფიციტია. ავტორიზაციის საბჭო, ზეპირი მოსმენის საფუძველზე, დამსწრე წევრთა უმრავლესობით იღებს კანონმდებლობით დაშვებული სამი შესაძლო გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს: ავტორიზაციის მინიჭების, ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ. უარის შემთხვევაში, სასწავლებელს ხარვეზის გამოსასწორებლად გონივრული ვადა ეძლევა. აგრარულს, როგორც ხელისუფლება აცხადებს, ეს ვადა ადრე მისცეს და ამიტომ გააუქმეს პირდაპირ, რაც ყველაზე მძიმე სასჯელია. სახელმწიფო სტანდარტების მონიტორინგს არაერთი წარმატებული სასწავლებელი გადაჰყვა და აგრარული უნივერსიტეტის შემთხვევა გამონაკლისი არ გახლავთ.

— გამონაკლისი არ გახლავთ, მაგრამ აგრარულში ექსპერტთა ჯგუფი თავისი ინიციატივით კი არა, ბენდუქიძის განაწყენებული პროფესურის საჩივრის საფუძველზე შევიდა.

— კანონში შარშან შეტანილი ცვლილების თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაკონტროლებელთა შესვლა ანონიმური ზარის საფუძველზეც კი შეიძლება. ამ ცვლილების აბსურდულობის შესახებ მაშინდელ საპარლამენტო მდივანთან, გია ხუროშვილთანაც მისაუბრია, ვვარაუდობდი, რომ „ნაციონალები“ ამ ცვლილებას მათთვის არასასურველი სასწავლებლების დასახურად გამოიყენებდნენ. თავად განსაჯეთ, დავუშვათ, გყავთ მტერი, რომელსაც თქვენი კერძო სკოლის ან უნივერსიტეტის გაუქმება უნდა. საკმარისია, აიღოს ტელეფონი და განათლების ხარისხის მართვის ცენტრში დარეკოს ან განცხადება შეიტანოს მოგონილი გვარით და საბჭო ვალდებულია, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, კომისია გამოყოს. ის ხაფანგები, რომლებიც „ნაციონალებმა“ პოლიტიკურ ოპონენტებს დაუგეს, ისევ მათ შემოუბრუნდათ და ბენდუქიძე ამის ნათელი მაგალითია.

— ავტორიზაციის დებულების მოთხოვნებს დღეს არსებული რომელი სასწავლებელი აკმაყოფილებს?

— მე რომ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორი ვიყო, ბევრ უნივერსიტეტს გავუუქმებდი ავტორიზაციას. გგონიათ, მარტო ბენდუქიძეს ჰყავს სტუდენტები იმ მდგომარეობაში? სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხს ვგულისხმობ. განათლების მინისტრმა კანონდარღვევით გარიცხული 600 სტუდენტი დაასახელა. ერთიც რომ იყოს, სასწავლებლისთვის ავტორიზაციის გაუქმებისთვის სრულიად საკმარისი იქნებოდა, მაგრამ მაინცდამაინც ახლა, 19 აპრილის წინ რატომ მოხდა ეს ყველაფერი? ამან ხომ შეიძლება გამოიწვიოს სტუდენტების ჯაჭვური რეაქცია? სტუდენტობასთან თამაში ცეცხლთან თამაშია და არავის ვურჩევ, ამიტომ ვეკითხები ხელისუფლებას, რატომ ახლა? იმიტომ ხომ არა, რომ ავტორიზაციის საბჭო სააკაშვილის შერჩეულ-დანიშნულია? მეორე მნიშვნელოვანი კითხვაც მაქვს:

რატომ არ სვამენ აგრარულთან მიმართებაში ყველაზე მთავარ კითხვას — როგორ მოხდა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უმაღლესი სასწავლებლის გასხვისება? გასაგებია, რომ პრეზიდენტი, რომელმაც ეს ქონება ბენდუქიძეს მიჰყიდა, ისევ თავის უფლებამოსილებაშია, მაგრამ აუცილებელია, პრემიერის დონეზე შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის არა მარტო აგრარულის ბენდუქიძეზე გასხვისების საკითხს, არამედ სხვადასხვა საგანმანათლებლო ობიექტების პეტრეზე, პავლესა თუ ელპიტეზე მიყიდვას. სააკაშვილის დროს, სკოლების 35% (1000-ზე მეტი სკოლა) საბავშვო ბაღი თუ პროფსასწავლებელი დატაცებული, გაყიდული, აგურ-აგურ დაშლილი და გატანილია... ამ ყველაფერს შესწავლა და გამოძიება სჭირდება. დასადგენია, როგორ გაანიავეს სახელმწიფო ქონება ან რამდენად კანონიერად იყო ეს შენობები გაყიდული. პრემიერი დაინტერესდა, როგორ გადასცა სააკაშვილმა ბენდუქიძეს აგრარული უნივერსიტეტის მრავალმილიონიანი ქონება ერთ ლარად, მაგრამ მარტო ინტერესი არ კმარა. თუ გვინდა, „წყალი დაიწმინდოს“ და ვითარება, რომლის გამოც, ქართველმა ხალხმა წინა ხელისუფლებას უარი უთხრა, შეიცვალოს, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2010 წლიდან დღემდე გადამოწმდა და გადამოწმების უარყოფითი შედეგების საფუძველზე ავტორიზაცია გაუუქმდა შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს: კავკასიის აკადემიური ცენტრი, წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერია“, თბილისის უნივერსიტეტი „მეტეხი“, სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმ+“, სოხუმის პროფესორ აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ ბრიტანული აკადემია. 2012-2013 წლების განმავლობაში მონიტორინგის სამსახურის მიერ შემოწმებულია 96 ზოგადსაგანმანათლებლო, 2 პროფესიული და 2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. რაც შეეხება აგრარულ უნივერსიტეტს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 15 მარტს, ცენტრში შევიდა აგრარული უნივერსიტეტის კორესპონდენცია ხარვეზების გამოსწორების შესახებ. ცენტრი მზადყოფნას აცხადებს, უნივერსიტეტთან ერთად ორშაბათიდან დაიწყოს მუშაობა იმისთვის, რომ შეუფერხებლად და ეფექტურად წარიმართოს პროცესი.

ვერსიანიუსი

კოტე კუბლაშვილი იუსტიციის საბჭოს კანონპროექტს მხარს უჭერს

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ იუსტიციის საბჭოს მიერ მომზადებულ კანონპროექტს მხარს უჭერს: **„იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის წევრები, რომლებსაც ახალი კანონის მიხედვით, თანამდებობრივი შეუთავსებლობა ექნებათ, უფლებამოსილნი იქნებიან, ხელახლა იყარონ კენჭი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობაზე. არჩევნების დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩევიან ის მოსამართლეები, რომლებსაც ყველაზე მაღალ ხმებს მიიღებენ და ის მოსამართლეები, რომლებიც იმავე დროს თავმჯდომარეები იქნებიან“.**

„პირველი“

H1N1 ვირუსით კიდევ ორი ადამიანი გარდაიცვალა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ლაბორატორიულად დადასტურებული გრიპის უკვე 314 შემთხვევაა აღრიცხული, აქედან 25 პაციენტი გარდაიცვალა.

გარდაცვლილთა შორის ყველაზე მეტი, 30-დან 64 წლამდე ასაკის პირებია. ამ ასაკობრივ ჯგუფზე გარდაცვალების 18 შემთხვევა მოდის. ამასთან, გარდაცვლილთა შორის სამი ორსული იყო, ოთხწლამდე ასაკის ორი ბავშვი, ერთი კი — 5-დან 14 წლამდე ასაკისა. გარდაცვალების ერთი შემთხვევა 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც დაფიქსირდა. ორი კი, 65 წელს გადაცილებული პირი იყო.

ცენტრში განმარტავენ, რომ ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების უკან უამრავი დაუდასტურებელი შემთხვევა დგას. ცენტრში სინჯებს მძიმე შემთხვევებიდან იღებენ. გრიპის ვირუსით ინფიცირებულთა სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობა მარტის ბოლოსთვის მკვეთრად იკლებს, აპრილში კი ინფიცირების ერთეული შემთხვევები დაფიქსირდება.

„ინტერპრესნიუსი“

მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობკომპანია რუსული „როსნეფტი“ ხდება

გაამარტივებს თუ არა „როსნეფტის“ მიერ „ტე-ენ-კა ბი პის“ შეძენა პუტინის პოლიტიკის გატარებას

ზურაბ გამრეკელი

გასულ კვირას ევროკომისიამ რუსული სახელმწიფო კომპანია „როსნეფტის“ მიერ რუსულ-ინგლისური ნავთობკომპანია „ტე-ენ-კა ბი-პის“ შეძენის შესახებ დადებითი დასკვნა გამოაქვეყნა. შედეგად, რუსულ „როსნეფტს“ საშუალება ეძლევა, მიმდინარე წლის ბოლომდე დაასრულოს ინგლისურ-რუსული „ტე-ენ-კას“ აქციების შეძენის პროცესი და მსოფლიოს უდიდესი ნავთობკომპანია გახდეს.

ეს გარიგება კრიტიკულად განიხილეს ბრიუსელში. კერძოდ, ევროკომისიის მიერ ჩატარებული შემოწმების მთავარ ინტერესს, „როსნეფტის“ საქმიანობაში რუსეთის ხელისუფლების ჩარევის დონე და აღნიშნული გარიგების შედეგად ევროპაში ბაზრის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების საკითხი წარმოადგენდა. კომისიის მიერ გამოქვეყნებული დადებითი დასკვნის მიხედვით, გაერთიანებული კომპანია არ შეზღუდავს კონკურენტებს — ბაზრის სხვა მოთამაშეებს, ხოლო მყიდველებს ისევ ექნებათ არჩევანის საშუალება, ვისგან ან რამდენად მიიღონ ნავთობი.

კომპანია „როსნეფტი“ რუსეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიაა, რომელიც ყოველდღიურად 2 439 მილიონ ბარელ ნავთობს აწარმოებს. „ტე-ენ-კა ბი-პი“-ს შეძენა „როსნეფტის“ შესაძლებლობებს უფრო გაზრდის. უახლოეს მომავალში, იგი რუსეთის მთლიანი წარმოების 40%-ს დაფარავს.

„ტე-ენ-კა ბი-პის“ აქციების გასხვისების შესახებ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. ეს ვერტიკალურად ინტეგრირებული ინგლისურ-რუსული კომპანია ნავთობის წარმოების მხრივ, კერძო კომპანიების ტოპ ათეულში შედის. მისი საქმიანობის სფერო, ძირითადად, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში მდებარე საბადოებს მოიცავს. კომპანიის აქციათა 50% ინგლისური „ბი-პის“ საკუთრებაა, რომელმაც 2012 წლის ივნისში გამოთქვა აქციების გაყიდვის სურვილი. დარჩენილი 50% რუსი ბიზნესმენებისგან შემდგარ კონსორციუმს (AAR) ეკუთვნის, რომელმაც 2012 წლის ოქტომბერში საკუთარი აქციების „როსნეფტისთვის“ მიყიდვა დაადასტურა. გავრცელებული ინფორმაციით, ორ კომპანიას შორის დაწყებული გარიგება შესაძლებელია 1 აპრილამდე დასრულდეს. „ტე-ენ-კა ბი-პის“ სამეთვალყურეო საბჭოს ბოლო სხდომაზე უკვე ესწრებოდა „როსნეფტის“ ოფიციალური წარმომადგენელი.

გარიგების ფინანსური მხარე

„ტე-ენ-კა ბი-პისა“ და „როსნეფტს“ შორის 55 მილიარდდოლარიანი გარიგება, მნიშვნელობისა და ღირებულების მიხედვით, ნავთობის სფეროში მსოფლიო მასშტაბით განხორციელებულ ტრანზაქციებში მესამე ადგილზეა. კომპანიის შეძენა ორ ეტაპად მოხდება. თავდაპირველად „როსნეფტი“ „ბი-პის“ კუთვნილი 50%-ის სანაცვლოდ 17.1 მილიარდ დოლარს გადაიხდის, ხოლო დარჩენილი 12.8 მილიარდის სანაცვლოდ, რუსული კომპანია საკუთარ აქციებს დაუთმობს ინგლისურ ნავთობგიგანტს, რის შედეგადაც, „ბი-პი“ „როსნეფტის“ აქციების ყველაზე მსხვილი უცხოელი მფლობელი გახდება. ასევე, 28 მილიარდ დოლარს „ტე ენ კა ბი-პის“ დარჩენილ აქციათა მფლობელების კონსორციუმი მიიღებს.

გარდა სოლიდური თანხისა, ინგლისური კომპანია, „როსნეფტის“ ცხრაკაციან სამეთვალყურეო საბჭოში, ორ ადგილს მიიღებს. ეს ყოველივე, „ბი-პის“ წარმომადგენლების განცხადებით, ინგლისურ კომპანიას საშუალებას მისცემს, გარკვეული სარგებელი მიიღოს „როსნეფტის“ უზარმაზარი რეზერვებიდან და შემოსავლებიდან. „ბი-პის“ ევრაზიის განყოფილების აღმასრულებელი დირექტორის (დ. პეატიე) განცხადებით, „ტე-ენ-კა“-სთან დაკავშირებული შეთანხმება ინგლისური კომპანიის „...რუსეთში 50 წლიან მომავალს უზრუნველყოფს“. კერძოდ, „ბი-პის“ წარმომადგენლები დიდ იმედებს ამყარებენ „როსნეფტისა“ და ამერიკული „ექსონ მობილის“ მიერ რუსეთის არქტიკული შელფის ერთობლივი დამუშავების შედეგად მისაღებ შემოსავლებსა და „როსნეფტის“ მიერ ვენესუელაში დაგეგმილი პროექტებისაგან, საიდანაც ინგლისურ გიგანტს, როგორც აქციათა 20%-ის მფლობელს, გარკვეული სარგებელი ექნება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგორ სეჩინისა და კრემლის მიერ მართულ კომპანიაში ინგლისურ „ბი-პის“ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში ნაკლები მონაწილეობა ექნება.

გასულ წელს „როსნეფტმა“ ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, „ტე-ენ-კა ბი-პის“ შეძენისათვის საჭირო თანხებს კომპანია უცხოური ბანკების სესხების დახმარებით (ძირითადად ამერიკული ბანკები) დაფარავდა. კერძოდ, საუბარია 14.2 მილიარდი დოლარის ოდენობის სესხზე, რომელიც „ტე-ენ-კა ბი-პის“ კონსორციუმის წევრი ოლიგარქებისათვის განკუთვნილი თანხების გადასახდელად იქნება განსაზღვრული.

რუსი მენავთობეების ახალი კონტრაქტები

„როსნეფტის“ საქმიანობის მანძილზე არაერთხელ გახდა ნათელი, რომ კომპანია ბანკის სესხების დასაფარად წინასწარი გადახდის პრინციპზე დაფუძნებულ კონტრაქტებს იყენებს. სწორედ ამ მიზნით გაფორმდა ხელშეკრულებები შვეიცარულ სავაჭრო კომპანიებთან „ვიტოლი“ და „გლენკორი“. ხელშეკრულების მიხედვით, რუსული კომპანია 2013 წლიდან 5 წლის მანძილზე 67 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტის სანაცვლოდ განკუთვნილი თანხის ნაწილს წინასწარ მიიღებს. კონტრაქტი ნავთობის ნავთობპროდუქტებით ჩანაცვლებასაც გულისხმობს.

გაფორმებული ხელშეკრულებების ზუსტი ღირებულება უცნობია, თუმცა, იგორ სეჩინის თქმით, იგი ერთ ბარელ ნავთობზე წინასწარ დადგენილი ფასით გამოითვლება. თუ გავითვალისწინებთ ნავთობის საშუალო ფასს (100 დოლარი ერთ ბარელზე), მაშინ „როსნეფტის“ საექსპორტო ნავთობის ღირებულება 50 მილიარდ დოლარს გაუტოლდება. უცხოური ბანკებიდან აღებულ სესხებთან ერთად კი „როსნეფტისათვის“ ეს თანხა სრულიად საკმარისია „ტე-ენ-კა ბი-პის“ საფასურის დასაფარად. ექსპერტების აზრით, ნავთობის სექტორში 5-წლიან კონტრაქტში ასეთი დიდი მოცულობის ნავთობზე ფასების წინასწარ დადგენა ძალიან იშვიათი მოვლენაა, რაც აღნიშნული გარიგების მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

არქტიკული შელფი

„როსნეფტის“ მიერ „ტე-ენ-კა ბი-პის“ აქციების შეძენა თავად ინგლისურ-რუსულ კომპანიაში წლების განმავლობაში არსებულ შიდადაპირისპირებას მოჰყვა, რასაც 2008 წელს კომპანიის პრეზიდენტის, რობერტ დადლის (ამჟამად „ბი-პის“ აღმასრულებელი დირექტორი) თანამდებობაც შეეწირა.

„ტე-ენ-კა ბი-პიში“ დაპირისპირების მთავარი მიზეზი „ბი-პისა“ და „როსნეფტს“ შორის რუსეთის არქტიკული შელფის დამუშავებასთან დაკავშირებული დაგეგმილი გარიგება გახდა, რომელიც რუსი ბიზნესმენებისაგან შემდგარმა კონსორციუმმა დაბლოკა. შედეგად, „როსნეფტს“ არქტიკული შელფის დამუშავებისათვის ახალი პარტნიორის მოძებნა დასჭირდა, რომელიც საბოლოოდ ამერიკული „ექსონ მობილი“ აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ „როსნეფტი“ ის კომპანიაა, რომელიც რუსეთის ოფშორული საბადოების ყველაზე მეტი ლიცენზიის მფლობელია. ამ საბადოების რეზერვები, იგორ სეჩინის ინფორმაციით, ჯამში 275 მილიარდ ბარელს უდრის. საექსპლოატაციო გეგმის მიხედვით, დაგეგმილია 96 ჭაბურღილის ამუშავება, რასაც რუსული კომპანია, ძირითადად, ამერიკელ პარტნიორთან ერთად განახორციელებს. „როსნეფტს“ არ გააჩნია შესაბამისი ტექნოლოგია, რომელიც ღრმა საბადოების დასამუშავებლად, მძიმე გეოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობების დროს გამოიყენება.

2012 წელს „როსნეფტმა“ ბარენცის ზღვაში არსებული მნიშვნელოვანი საბადოების გადამუშავების ლიცენზიები მოიპოვა, რასაც აქტიურად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის თავდაცვის სამინისტრო იმ მიზეზით, რომ აღნიშნული ტერიტორიის გამოყენება სამხედრო საქმიანობისათვის (წვრთნები, ბირთვული იარაღის საცდელი გამოყენება...) იგეგმებოდა. „როსნეფტმა“ მაინც მოახერხა ბარენცის ზღვის 3 საბადოზე (4-ის ნაცვლად) ლიცენზიის მოპოვება.

ბარენცის ზღვის საბადოების „როსნეფტის“ მიერ შენარჩუნებას ხელი შეუწყო ნორვეგიასა და რუსეთს შორის ბოლო პერიოდში ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ, რომლითაც ორ ქვეყანას შორის საზღვაო საზღვარი 20- წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ გამოიკვეთა.

პუტინის ენერგეტიკული სტრატეგია

ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს საუბარი რუსეთის ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შემცირების შესახებ, რასაც ერთი შეხედვით, თავად პრეზიდენტიც ეთანხმება. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ოფშორული საბადოების ლიცენზირების სფეროში გატარებულ ცვლილებები.

პუტინის მთავრობა წლების მანძილზე ოფშორულ საბადოებზე ლიცენზიებს, სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, მხოლოდ სახელმწიფო კომპანიებზე გასცემდა. შედეგად, არქტიკულ შელფზე ძირითადად მხოლოდ „გაზპრომი“ და „როსნეფტი“ საქმიანობენ. ბოლო პერიოდში კი პრეზიდენტმა მნიშვნელოვან პროექტებში არა მხოლოდ უცხოური, არამედ კერძო კომპანიების დაშვების შესახებ დაიწყო საუბარი.

პუტინმა ცვლილებები შეიტანა საგადასახადო სისტემაშიც. მაგალითად, უცხოურ კომპანიებს, რომლებიც ოფშორული საბადოების გადამუშავებაში მიიღებენ მონაწილეობას, აღარ ევალებათ ექსპორტზე დაწესებული გადასახადის გადახდა, ხოლო ნავთობის მოპოვების გადასახადი მათთვის 5-10%-ით შემცირდება.

მეორე მხრივ, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პუტინის ნებისმიერი ნაბიჯი მაინც მონოპოლიზაციისკენაა გადადგმული. პრეზიდენტი არ დაუშვებს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების ლიბერალიზაციასა და ბოლომდე გახსნას, მით უფრო, რომ არქტიკული შელფის რესურსები მისთვის ეროვნული და პიროვნული ღირსების საკითხია. ქვეყნის სათავეში მოსვლიდან პუტინი ღიად აცხადებს, რომ ენერგორესურსები არის ის, რამაც რუსეთს ძლიერი სახელმწიფოს იმიჯი უნდა შეუნარჩუნოს.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, აშკარაა, ლიბერალიზაციის მხრივ დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან არც ერთ რუსულ კერძო კომპანიას არ გააჩნია ოფშორული საბადოების დამუშავებისათვის აუცილებელი არც ტექნოლოგიები და არც გამოცდილება. გარდა ამისა, სახელმწიფო კომპანიებს („გაზპრომსა“ და „როსნეფტს“) ოფშორული საბადოების გადამუშავების საქმეში მაინც მთავარი როლი დარჩებათ, ვინაიდან პუტინის მიერ გატარებული ცვლილებები არქტიკული შელფის სრულად გახსნას არ ითვალისწინებს — კერძო კომპანიებს თითოეულ პროექტში აქციების არაუმეტეს 20%-ის შეძენის უფლება აქვთ. ეს კი ნიშნავს, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს კერძო კომპანია „გაზპრომის“ ან „როსნეფტის“ გარეშე მაინც ვერ მიიღებს.

იგივე პოზიცია იკვეთება „ტე-ენ-კა ბი-პის“ საქმესთან დაკავშირებითაც. პუტინმა რუსეთის მთავრობის მიერ კომპანიების შეერთების შესახებ მიღებული დადებითი გადაწყვეტილება „ტე-ენ-კა ბი-პის“ შიდა დაპირისპირების აღმოფხვრის მცდელობით ახსნა, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს როლის რუსულ ეკონომიკაში შემცირების პრინციპს. მეორე მხრივ, „როსნეფტის„ მიერ „ტე-ენ-კა ბი-პის“ მითვისება ემსახურება პუტინის ჩანაფიქრს, აღადგინოს სახელმწიფოს კონტროლი ნავთობის იმ სექტორზე, რომელიც 90-იან წლებში ჩატარებული პრივატიზაციების შედეგად, ძირითადად ოლიგარქების (ისეთები, როგორებიც „ტე-ენ-კა ბი-პის” 50 %-ის მფლობელი კონსორციუმი AAR) ხელში აღმოჩნდა.

ამრიგად, „ტე-ენ-კა ბი-პისა“ და „როსნეფტის“ შეერთების შედეგად, „როსნეფტის“ გლობალური მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზრდება – მსოფლიოს ლიდერი ნავთობის სექტორში, სწორედ რუსული კომპანია გახდება. აღნიშნული კომპანიის წარმატება პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის იმიჯთან და პუტინის პოლიტიკასთან, რომელიც რუსეთის ზესახელმწიფოს როლის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის სწორედ ენერგორესურსების გამოყენებას გულისხმობს.

26 ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

რა ვალდებულებას იღებს სახელმწიფო ამ კატეგორიის ობიექტების მიმართ და რა სქემით აპირებდნენ „ნაციონალები“ თეატრალური უნივერსიტეტის გაყიდვას

ნათია ვასაძე
555-98-61-65

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას ბრძანებით, რამდენიმე დღის წინ, საქართველოს 26 ობიექტს, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ძეგლების ნუსხა ასეთია: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რამდენიმე ეკლესია, ხიდი და ორი გამოქვაბული; ახალციხის მუნიციპალიტეტში წყალთბილას ეკლესია; თელავში — კისისხევის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია და აქვე მდებარე კოშკი; გორის მუნიციპალიტეტში — წმინდა გიორგის ეკლესია, ანტონ ფურცელაძის, ჟურულებისა და ნიკო ლომოურის სახლები; ჭიათურაში — ძუძუანას მღვიმე და კოტიას კლდე; წყალტუბოში — საწურბლიას მღვიმე; ახმეტაში — წამებულის ეკლესია; ქუთაისში — V-VII საუკუნეების აბანოს კომპლექსი და VI-VII საუკუნეების ეკლესია.

მინისტრის ბრძანებულებაში წერია: **„დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს, ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში, ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვა; ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა დანართში მითითებული ძეგლებისთვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე“.**

ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია ძეგლს, შეიძლება, რამდენიმე შემთხვევაში განესაზღვროს — თუ მას აქვს გამორჩეული მხატვრული და ესთეტიკური ღირებულება ან თუ იგი დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენასთან, პიროვნებასთან, ერის განვითარების ეტაპსა და გამორჩეულ ეროვნულ ღირებულებებთან. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აღნიშნულ ობიექტს იცავს ყოველგვარი სახეცვლილებისგან და სახელმწიფოს პირდაპირ ავალდებულებს მის მოვლას.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის, მაია შავიშვილის ინფორმაციით, ობიექტებისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭება პერმანენტულ რეჟიმში ხდება და ხსენებულ ბრძანებულებაში განსაკუთრებული არაფერია.

მაია შავიშვილი: „მსგავსი რამ ჩვენთვის ჩვეულებრივი სამუშაოა — კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მოამზადა სააღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელშიც 10 000-მდე შენობა-ნაგებობაა შესული, შემდეგ ეს დოკუმენტაცია განიხილა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში არსებულმა მეთოდოლოგიის სტრატეგიულმა საბჭომ და შედეგად, ეს 26 ობიექტი შეარჩია. ზემოხსენებული ბრძანებულების გარდა, ამ დღეებში, ორი ბრძანებულებაა გაცემული, რომელთა მიხედვით, კიდევ რამდენიმე ობიექტს მოძრავი, ხოლო რამდენიმეს კი, არამატერიალური ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნულ ნუსხაში შესული ძეგლები მრავალფეროვანია, როგორც პერიოდის, ისე რეგიონისა და ფუნქციის მიხედვით. ამ ძეგლთა შორისაა როგორც ეკლესიები, ისე სამოქალაქო ნაგებობები და ბუნებრივი სიმდიდრეები“.

როგორც აღვნიშნეთ, ძეგლის სტატუსის მინიჭება, ობიექტს იცავს ყოველგვარი სახეცვლილებისგან და სახელმწიფოს მის მოვლას ავალდებულებს, თუმცა ახლო წარსულში სტატუსის მოხსნისა და გასხვისების უამრავი მაგალითი არსებობს. საინტერესოა, რამდენად იცავს კანონი მსგავს ობიექტებს?

მაია შავიშვილის თქმით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის საკითხი, კულტურის სამინისტროს გარდა, დედაქალაქის მერიის კომპეტენციაში გადავიდა. საუბარია, თბილისში განთავსებულ ობიექტებზე: **„დედაქალაქში არსებული კულტურული მემკვიდრეობის შენობების დაცვა მერიის კომპეტენციაში გადავიდა. საქართველოს რეგიონებში მსგავსი საკითხების განხორციელება კი, ისევ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ევალება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ პირველი კანონი 1999 წელს დაიწერა, 2002 წელს მასში შევიდა გარკვეული კორექტივები. კანონის დღევანდელი ვერსია კი 2007 წელსაა მიღებული, თუ არ ჩავთვლით თბილისის ძეგლებთან დაკავშირებით, 2008 წელს შესულ რამდენიმე ცვლილებას. 2002 წლის კანონის მიხედვით, აკრძალული იყო ძეგლის სტატუსის მქონე შენობის გასხვისება, ამიტომ წინა ხელისუფლების დროს, შენობისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნით, რამდენიმე ასეთი ობიექტი გაყიდეს. ასე მოხდა „იმელის“ შენობის შემთხვევაში. ეს ფაქტი იმიტომ მოვიყვანე მაგალითად, რომ ყველასთვის კარგადაა ცნობილი. შედარებით ნაკლებად ცნობილი კი თეატრალურ უნივერსიტეტთან დაკავშირებული შემთხვევაა — 2006 წელს სასწავლებლის შენობას მოეხსნა და 2 თვეში ისევ აღუდგა სტატუსი. ამ შენობის გასხვისებაც უნდოდათ, თუმცა რატომღაც ვერ მოახერხეს და თეატრალურის შენობა გადარჩა. ეს საკითხი ამჯერად მოწესრიგებულია და მსგავს შემთხვევებს ადგილი აღარ ექნება. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში პირდაპირ წერია, რომ ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ და დასაბუთებულ შემთხვევებში — თუ იგი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიულ-კულტურული ღირებულება თუ ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც, მას ძეგლის სტატუსი მიენიჭა. არის კიდევ ერთი შემთხვევა — თუ ამ ძეგლის არსებობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და მის ჯანმრთელობას. ასე რომ, შენობას სტატუსს ადვილად ვეღარ მოუხსნიან“.**

მიხეილ სააკაშვილი: „ნუ დავბრუნდებით მოუსვლელში!“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროპის სახალხო პარტიასა და მთავრობას შორის მიმოწერას გამოეხმაურა და საქართველოს მთავრობას ევროპასთან ერთ ენაზე საუბრის მიზნით, კონცეფციის შემუშავებისკენ მოუწოდა: „გადავწყვიტე მომემართა იმ კორესპონდენციათა გაცვლა-გამოცვლასთან დაკავშირებით, რომელსაც საქართველოს მთავრობა აწარმოებს ევროპის ლიდერების მიმართ. სხვა შემთხვევაში მე ნამდვილად არ ვუპასუხებდი. ძალიან ბევრი ბრალდებაა, ძალიან ბევრი დებატია და ნამდვილად არ ვთვლი, რომ პრეზიდენტმა ყველა მათგანს უნდა უპასუხოს, მაგრამ აქ არის ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც ეხება თითოეულ ჩვენგანს, კერძოდ, საქართველოს მომავალს, ევროპულ არჩევანს. ჯერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, რომლის წერილიც, როგორც შემდეგ გაირკვა, პრემიერ-მინისტრმა დაწერა და შემდეგ პრემიერმა და მთავრობამ რამდენიმე წერილი გაუგზავნეს ევროპის სახალხო პარტიას, რომლის შემადგენლობაში შედიან საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე, ევროპარლამენტის ყოფილი და მოქმედი თავმჯდომარეები, ერჟი ბუზეკი და სხვები და საქართველოს მთავრობამ უპასუხა ევროპის სახალხო პარტიის მემორანდუმს საქართველოსთან მიმართებაში და მე მინდა, შეგახსენოთ, რომ ევროპის სახალხო პარტია არის ევროპის წამყვანი პარტიების გაერთიანება, მასში შედიან კანცლერი მერკელის პარტია და თავად მერკელი, ევროკომისიის პრეზიდენტი, ევროპის სხვა ლიდერები, ძალიან ბევრი პრემიერ-მინისტრი, ძალიან ბევრი სახელწიფოს ლიდერი, ევროკავშირის ძირითადი ბირთვი“.

საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის განცხადების იმ ნაწილსაც ეხმაურება, სადაც ნათქვამია, რომ პრეზიდენტის პარლამენტში მისვლის თარიღი არც კი ყოფილა შეთანხმებული: „საქართველოს მთავრობა წერს წერილს და მე ამას არასოდეს გავაკეთებ, მაგრამ უბრალოდ თავს ვერ ვიკავებ, რომ არ მოვახდინო წერილის ზოგიერთი დებულების ციტირება: „პარლამენტს არ აუკრძალავს პრეზიდენტისთვის პარლამენტში სიტყვით გამოსვლა. სიტყვის თარიღი არც კი იყო შეთანხმებული“.

პრეზიდენტმა ვილნიუსის სამიტის მნიშვნელობაზეც ისაუბრობრა და ოპოზიციასა და ხელისუფლებას გაერთიანებისაკენ მოუწოდა. მისი თქმით, ვილნიუსის სამიტი ეს მეორე შანსია საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში გასაწევრიანებლად: „საქართველომ 1990-იან წლებში გაუშვა მატარებელი, რომელმაც ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ნატო-სა და ევროკავშირში შეიყვანა. ახლა გაგვიჩნდა მეორე შანსი, რომ მოლდოვეთთან ერთად შევძლოთ ამ მატარებელში ჩასხდომა. თუ ჩვენ ეს შანსი გავუშვით ვილნიუსში, ყველანი დავზარალდებით — ოპოზიციაც და ხელისუფლებაც. ლაპარაკი, რომ ჩვენ გვინდა ევროპა, ადვილია, მაგრამ ლაპარაკი არაფერს ნიშნავს. ამას პუტინიც ამბობდა თავიდანვე, შევარდნაძეც ამბობდა. მთავარია, ტყუილებით არ ილაპარაკო და საქართველოს მომავალ თაობებს არ წაართვა ის, რისი შანსიც გამოგვიჩნდა. ესაა ევროპული პერსპექტივა. მე ამას ვამბობ, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც მთელი ეს წლები ყველაფერი გააკეთა, რომ ევროპის რუკაზე დავმკვიდრებულიყავით და როგორც საქართველოს მოქალაქე, რომელსაც მინდა, რომ ჩვენი შვილები ცხოვრობდნენ ბევრად უფრო დაცულ საქართველოში. ეს გზა მიგვიყვანს ჩიხში, ეს გზა რამდენჯერმე ძალიან მწარედ შემოგვიბრუნდა. ნუ დავბრუნდებით მოუსვლელში, თორემ ანტიევროპული ძალები, რომლებიც დღეს მოქმედებენ, ისე გაგვიხდიან საქმეს, რომ არსად გვექნება წასასვლელი გარდა იმისა, რომ მივფორთხდეთ ისევ ჩვენს დამპყრობელთან და ქართველი ხალხი მუხლებზე არასოდეს დაიჩოქებს. ამიტომ მე მინდა, საქართველოს მთავრობას შევთავაზო, რომ ასე კი არ ვილაპარაკოთ — წერილის პასუხის, პასუხის პასუხი — როგორც ძველ დროში იყო ხოლმე, არამედ დავსხდეთ ერთად და შევიმუშავოთ სერიოზული კონცეფცია, ერთი ხმით ველაპარაკოთ ევროპას, მაგრამ ეს ყველაფერი ნიშნავს ასევე, იმ ფასეულობებზე დგომას, რომელსაც ეფუძნება ევროპული არჩევანი — დემოკრატია, თავისუფალი მართლმსაჯულება, თავისუფალი მედია, კონსტიტუციური დიალოგი, ცივილიზებული ფარგლები ჩვენი ქვეყნისთვის და თავისუფალი არჩევნები ჩვენი თითოეული მოქალაქისთვის“.**

„ვერსიანიუსი“

ჰოროსკოპი
20 მარტი

ვერძი — დღეს ვერ მოახერხებთ ემოციების მოთოკვას, თუმცა ცდილობთ, ცოტა ეშმაკობა ჩართოთ, მხოლოდ შეეცადეთ, ეს თვისებები კეთილი საქმეებისკენ მიმართოთ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რის უფლებას მოგცემთ სინდისი. დღეს იზრდება ალბათობა იმედგაცრუებისა. სასურველია, დრო ხელოვნებას დაუთმოთ, კულტურულ ცხოვრებას ეზიაროთ, თეატრში ან კინოში წახვიდეთ მეგობრებთან ერთად.

კურო — დღეს არც ისე თავისუფალი ხართ, როგორც გეგონათ. ეოველ შემთხვევაში, მატერიალურმა მხარემ შესაძლოა, ურთიერთობებში პრობლემები შეგიქმნათ. გაწეულ სამსახურზე მადლობას თუ არ გეტყვიან, ნუ განაწყენდებით. დღეს ემოციები უფრო სჭარბობს, ვიდრე რაციონალური და ადეკვატური რეაქცია, ცოტა დაბნეულიც ხართ და ამიტომ, თავი შეიკავეთ საქმიანი გარიგებებისგან. დღის მეორე ნახევარში თავს გართობის უფლება მიეცით, მხიარულ წვეულებასაც ნუ გამოტოვებთ.

ტყუპები — კარგი დღეა თანამოაზრეებთან, მეგობრებთან, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის. დაგეგმეთ ამ დღეს ახლო მეგობრებთან ერთად პიკნიკი ან რომანტიული გახშამი. დღე არაპროდუქტიულია მუშაობისთვის. შეეცადეთ, დრო დასვენებისა და გართობისთვის გამოიყენოთ, რათა მომდევნო დღეებისთვის ენერგია აღდგინოთ.

კირჩხიბი — თქვენი მისწრაფება კომფორტისა და სიამოვნებისკენ ძალიან დიდია. მთელი დღე, შესაძლოა, აღმაფრენაში გაატაროთ. ვარსკვლავებიც გირჩევენ, თვითკონტროლი მოადენოთ და დღეს უარი თქვათ სამუშაოზე. იუავით თამაში და თავს მეტის უფლება მიეცით, თუმცა ემოციურობის გამოვლენაც არასასურველია. დღის მეორე ნახევარში დიდია ალბათობა რომანტიული შეხვედრისა.

ლომი — შეეცადეთ, გულთან ახლოს არ მიიტანოთ უფროსობის მოსაზრებები და განწყობა. ყველაფერი, რაც გვსურს, ვერ ასრულდება, ამიტომ ნუ განერვიულდებით. გაავლეთ ზღვარი რეალობასა და თქვენს ფანტაზიებს შორის, კარგი დღეა ახალი საქმეების წამოსაწყებად, მხოლოდ თანამოაზრეების მოძებნა უნდა შეძლოთ. ამ საქმეში ვარსკვლავები წარმატებას გპირდებიან. კარგი იქნება, თუ დღის მეორე ნახევარს საკუთარ თავზე ზრუნვას დაუთმობთ — გაიარეთ მაღაზიებში ან სილამაზის სალონს ესტუმრეთ.

ქალწული — დღეს გადაწყვეტთ, რომ სრული უფლება გაქვთ, მოდუნდეთ და სიამოვნება მიიღოთ. შეეცადეთ ზომიერი იეოთ ალკოჰოლთან მიმართებაში. თუ თქვენი საქმიანობა დაკავშირებულია ბიზნესთან, დღეს ფრთხილად მიუდექით ხარჯებს. საღამოს მეგობრების წრეში სადმე გაისეირნეთ ხმაურიან წვეულებაზეც ნუ იტვეთ უარს.

სასწორი — დღის განმავლობაში თანდათან გაიზრდება თქვენი ინტერესი ამოუცნობი, რთული თემებისადმი. თქვენს ეურადღებას ექსპერიმენტები და კრიტიკული სიტუაციები მიიქცევს, თუ რაიმეს გამოიძიებთ, წარსულს გადახედეთ ან მოემზადეთ რთული პრობლემების გადასალახად. კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, სასურველ შედეგს აუცილებლად მიაღწევთ. პირად ურთიერთობებში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, ამიტომ შეინარჩუნეთ ჩვეული, თბილი ურთიერთობა ახლობლებთან.

ღრიანცელი — პარტნიორთან ურთიერთობისას ბაქაობას ნუ დაიწყებთ, დღეს საკმაოდ ემოციური ხართ, დიდია ალბათობა, რომ თქვენი პარტნიორიც ამ მდგომარეობაში იქნება. მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას. ვიდრე ვინმეს ბრალს დასდებთ, საკუთარი სქელი შეფასეთ. დღე კარგია ქველმოქმედებისთვის, თუმცა დაფასებას ნუ დელოდებით.

მშვილდოსანი — ვარსკვლავები გირჩევენ, დრო სახლის საქმეებს მოახმაროთ, სამსახურში კი ძნელად გადასაჭრელი პრობლემები სხვა დროისთვის მოიტოვეთ. საღამო საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. დიდია ალბათობა ახალი ნაცნობობისა და რომანტიული ურთიერთობის ჩასახვისა.

თხის რქა — დღეს არ ღირს ეველაფერში ეკონომია. სჯობს, ახლობლები საჩუქრებითა და სურვილების ასრულებით გაანებივროთ, თუმცა ზედმეტი არ მოგივიდეთ. დღეს ხასიათის რადიკალური ცვლებადობა უცხო არ იქნება — სიხარული მოულოდნელად შეიძლება წყენით შეგეცვალოთ. კარგი დღეა ახალი საქმის წამოწყებისთვის, შორეული მოგზაურობის დასაგეგმად. დღის მეორე ნახევარი კი, შეეცადეთ, ახლობლების წრეში გაატაროთ, თქვენი ეურადღება მათ ეოველთვის საამოვნებს.

მერწყული — დღის მანძილზე დიდია ალბათობა ახალი, მოულოდნელი ნაცნობობისა. შესაძლოა, ისეთი ადამიანი გაიცნოთ, ვინც არ იმსახურებს თქვენს ნდობას. მოსალოდნელია ცრუ ინფორმაციის მიღებაც, რაც ხასიათს გაგიფუჭებთ. ეოველდღიური რუტინული საქმის კეთება გაგიძნელდებათ, რადგან სიზარმაცე წაგართმევთ დროს. დღეს სასურველი არ არის ახალი ხელშეკრულებების გაფორმება. საღამოს სჯობს, შინ დარჩეთ და დრო ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატაროთ.

თევზები — დღეს გახსოვდეთ, რომ ფინანსების განკარგვა მხოლოდ თქვენი პრეროგატივაა და კარგი იქნება, თუ ამ საქმეში ჩარევის უფლებას ნაკლებად მისცემთ ვინმეს. მატერიალურ საფუძველზე წარმოქმნილი გაღიზიანება თქვენს შრომისუნარიანობაზეც უარეოფითად აისახება. საღამოს გატარებას ვარსკვლავები მეუდრო გარემოში გირჩევენ, ამიტომ სჯობს, შინ დარჩეთ, ან დრო ახლო მეგობრების წრეში გაატაროთ.

„ცოცხალ" ქანდაკებებს ქმნის

ავსტრალიელი რონ მიუეკი ადამიანების ფიგურებს იმდენად რეალისტურად ქმნის, რომ მათი შემხედვარე, შეიძლება, ცუდად გახდე — იფიქრებ, აი, ახლა ალაპარაკდებიანო. 54 წლის მოქანდაკე და მხატვარი ერთ დროს, ტელევიზიაში მუშაობდა — პერსონაჟებს იგონებდა „სეზამის ქუჩისა" და „მაპეტ-შოუსთვის". დღეს კი ადამიანების გამოსახულებას მაქსიმალურად რეალისტურ სახეს სძენს და „გულივერის" ზომამდე ზრდის. პოზა, გამოხედვა, სახის ნაკვთები, სხეულის ფორმა — ყველაფერი მეტყველია. მიუეკის გიგანტებს სხეულზე ნაოჭებიც ეტყობათ და სასქესო ორგანოებიც — ყველაფერი იდეალურად ნატურალისტურია. ამ „ცოცხალი" ფიგურების შესაქმნელად ოსტატი თავიდან ბოჭკოვან შუშას იყენებდა, მაგრამ მერე, სილიკონსა და ლატექსზე გადავიდა, რაც საშუალებას აძლევს, სხეულის ნაწილები უკეთ გამოკვეთოს.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com







ადვილი

6	1	4	5	9	2	3	8	7
3	8	7	1	4	6	5	2	9
5	2	9	8	7	3	1	6	4
7	6	3	4	2	1	9	5	8
4	5	8	7	6	9	2	3	1
2	9	1	3	8	5	4	7	6
1	7	2	9	3	8	6	4	5
9	4	6	2	5	7	8	1	3
8	3	5	6	1	4	7	9	2

საშუალო

3	8	7	2	6	5	4	1	9
1	6	4	9	3	8	5	2	7
5	2	9	7	4	1	6	3	8
9	5	6	8	2	7	3	4	1
4	1	2	3	9	6	8	7	5
8	7	3	5	1	4	2	9	6
2	9	1	6	8	3	7	5	4
7	4	8	1	5	2	9	6	3
6	3	5	4	7	9	1	8	2

რთული

5	6	8	7	3	4	9	2	1
1	4	7	2	9	6	3	8	5
2	3	9	1	8	5	7	6	4
9	5	3	8	7	2	4	1	6
4	2	1	6	5	9	8	7	3
7	8	6	4	1	3	5	9	2
8	7	5	3	6	1	2	4	9
3	1	4	9	2	8	6	5	7
6	9	2	5	4	7	1	3	8

ექსპერტული

2	9	8	6	4	7	3	1	5
5	1	7	9	8	3	6	4	2
6	4	3	1	5	2	9	8	7
4	8	2	3	7	5	1	6	9
3	7	1	4	6	9	2	5	8
9	6	5	2	1	8	4	7	3
1	5	9	8	2	6	7	3	4
8	3	4	7	9	1	5	2	6
7	2	6	5	3	4	8	9	1



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ჰოროსკოპი
21 მარტი

ჯერი — ეველანაირად წარმატებული დღეა. არც ერთი ამოცანა გადაუჭრელი არ დაგრჩებათ, არც ერთი წინააღმდეგობა — გადაულახავი. ეცადეთ, მარტომ არ იმოქმედოთ, დასკვნების გამოტანასაც ნუ იჩქარებთ, თუკი დამსახურებული ჯილდო იგვიანებს — თქვენ მას აუცილებლად მიიღებთ. პირად ცხოვრებაში დღე მოულოდნელობებით აღსავსე იქნება. ნუ ეცდებით თქვენი რჩეულით მანიპულირებას: უფრო მეტს მიაღწევთ, თუკი მას პირდაპირ ეტყვით, რა გინდათ.

კურო — დღე უაძრავ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჰპირდება მათ, ვისაც არა მხოლოდ პროფესიული წარმატების სურვილი აქვს, არამედ მეგობრებთან შეხვედრისთვის დროის გამონახვაც ეოველთვის შეუძლია. დღეს სამსახური და პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია — პოტენციურ პარტნიორებს სწორედ იქ შეხვდებით, სადაც გასართობად მიდიხართ. სამსახურში სიურპრიზებიც გელოდებათ.

ტყუპები — დღეს საუკეთესო შედეგების მისაღწევად ამ ნიშნის წარმომადგენლებს აქტუალური პრობლემებით დაკავება მოგიწევთ. მომავალზე ფიქრის დრო ცოტა მოგვიანებით გექნებათ. შესაძლოა წარმატება კარიერაში, თუმცა მნიშვნელოვანია, კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალია, მაინც გსურთ ახალი შთაბეჭდილებების მიღება, თავგადასავლებისა და მოგზაურობისკენ ისწრაფვით.

კირჩხიბი — დღეს ადმოაჩენთ, რომ ეველაზე რთული უკან მოიტოვეთ, თუმცა ნუ მოდუნდებით, რადგან დიდი ძალისხმევა გჭირდებათ დასახული მიზნის მისაღწევად. გადაწყვეტილებების მიღებისას ენდეთ საკუთარ ინტუიციას. მოსალოდნელია უმიზეზო კამათი საყვარელ ადამიანთან — ძალიან გიჭირთ ერთმანეთის გაგება. კარგი დღეა მეგობრებთან ურთიერთობისთვის.

ლომი — საკმაოდ წარმატებული დღეა მათთვის, ვისაც პროფესიული ზრდის სურვილი აქვს. დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. ვისაც მსხვილ საეიდლებზე სურს წასვლა, სჯობს, თავი შეიკავოს, რადგან ამ მხრივ დღეს გაუთვალისწინებელი სირთულეები გელით. ემოციური ფონი სტაბილურია. კარგი ურთიერთობა გაქვთ ახლობლებსა და ნაცნობებთან. კარგი დღეა დიდ კამპანიაში დროის გასატარებლად — არ აქვს მნიშვნელობა, თქვენ მიიღებთ სტუმრებს თუ სხვასთან წახვალთ.

ქალწული — ქალწულებს დღეს ახალი შესაძლებლობები ეხსნებათ, რომლითაც დაუფიქრებლად უნდა ისარგებლონ. კოლეგებები და უფროსობა თქვენს პროფესიონალიზმს დიდად აფასებენ. დღეს შესაძლოა, გარკვეული თანხა შემოგვიდეთ, შეგიძლიათ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობები გაამყაროთ, მოიპოვოთ მათი ნდობა, ვის მიმართაც გულგრილი არ ხართ.

სასწორი — საქმიანი ურთიერთობებისთვის საკმაოდ წარმატებული დღეა. განსაკუთრებით კი მათ გაუმართლებს, ვინც მივლინებაში გაემგზავრება. ხელფასის მოამატების მსურველებსაც შესაფერისი დღე აქვთ — ასე რომ, ხელმძღვანელობას დაელაპარაკეთ. გაითვალისწინეთ, რომ არც ისე კარგი დღეა აქტიური დასვენებისთვის. მოინახულეთ ძველი მეგობრები, მაგრამ გვიანობამდე ნუ დარჩებით გარეთ. შესაძლოა, ამან დაძაბოს ურთიერთობა ახლობლებთან.

ღრიანკალი — თქვენთვის სასიამოვნო დღეა, კომფორტული და მშვიდი. ასაღელვებელი არაფერი გაქვთ, თუმცა გარკვეული ცვლილებები მაინც მოსალოდნელია. შესაძლოა, სადმე გაემგზავროთ ან საქმიანი ურთიერთობა დაამყაროთ საეჭვო რეპუტაციის ადამიანებთან, თუმცა შედეგი მაინც თქვენთვის სასიკეთო იქნება. არც პირადი ცხოვრება მოგცემთ შეშფოთების მიზეზს, თუნდაც იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ სფეროში მოსალოდნელი არ არის.

მშვილდოსანი — წარმატებას თქვენი უნარის წყალობით მიაღწევთ, რაც უცნობ სიტუაციაში ადვილად ორიენტირებას გულისხმობს. ნუ დაიტვირთებით უინტერესო, მოსაწყენი საქმეებით. თქვენი ადგილი იქ არის, სადაც გამჭრიახობა და შემოქმედებითი მიდგომაა აუცილებელი. ნებისმიერი ადამიანის მოხიბვლა ადვილად შეგიძლიათ, მაგრამ ეს ხიბლი საყვარელ ადამიანზე არ მოქმედებს. უფრო მეტიც, ის თქვენს ხასიათში ნაკლს ეძებს. ამ სიტუაციას იუმორით შეხედეთ, სიტუაცია რომ კამათსა და წყენაში არ გადაიზარდოს.

თხის რქა — შანსი გაქვთ, მეგობრების წრეში დრო შესანიშნავად გაატაროთ, მაგრამ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება თავად მოგიწევთ. სამსახურის საქმე დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, მხოლოდ თვალი მიადევნეთ, სხვები რას აკეთებენ და კარგ მაგალითს მიბაძეთ. დღეს დიდია ალბათობა ახალი ნაცნობობისა ან დიდი ხნის უნახავ ადამიანთან შეხვედრისა. შესაძლოა, სერიოზული რომანტიკული ურთიერთობის დაწყებაც. ვისაც საკუთარი არჩევანი ჯერ კიდევ აეჭვებს, სჯობს, პირად ცხოვრებაში ცვლილებებზე დფიქრდეს.

მერწყული — ეკონომიური იყავით, წინააღმდეგ შემთხვევაში, უფულოდ დარჩებით. ზედმეტი მფლანგველობის გამო, გარკვეული გეგმების განხორციელების გადადება მოგიწევთ. შეეცადეთ, ამ მდგომარეობამ განწყობა არ გაგიფუჭოთ — პოზიტიური ტენდენციები იმდენად ძლიერია, რომ მხოლოდ ინტუიციას მიეეგით და წარმატებაც არ დააყოვნებს. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესაძლოა დაიძაბოს — ეს მხოლოდ თქვენსა და თქვენს საქციელზეა დამოკიდებული.

თევზები — ნაკლებად სასიამოვნო დღეა თევზებისთვის — მოსაწყენი. გარშემომყოფებთან ურთიერთობა გიჭირთ. ბევრი რამის ინტერესს კარგავთ. შეეცადეთ ახალი სფერო გამოძებნოთ: გაქვთ შანსი, აქ წარმატებას მიაღწიოთ. ახლობლებთან ურთიერთობა მოთმინებასა და გეთილგანწყობას მოითხოვს, მოგიწევთ აღიარება, რომ საყვარელ ადამიანს აქვს სისუსტეების უფლება, ზოგიერთი ნაკლი კი გამოუსწორებელია.

ყველაზე დიდი ოქროს მონეტა გამოუშვეს

დღეისთვის მსოფლიოში უამრავი ნუმიზმატი კოლექციონერია და ოქროს ფასიც თანდათან იზრდება. ავსტრალიელებმა კი, ქალაქ პერტში მსოფლიოში ყველაზე დიდი ოქროს მონეტა გამოუშვეს. მის ერთ მხარეს „მწვანე კონტინენტის“ სიმბოლო — კენგურუა გამოსახული, მეორე მხარეს — დედოფალი ელისაბედ II. მონეტა 99,99%-ით ოქროსგანაა ჩამოსხმული. მისი დიამეტრი 80 სანტიმეტრს შეადგენს, სისქე — 12-ს. მსოფლიოში ყველაზე დიდი ოქროს მონეტის წონა ერთ ტონაა, ხოლო ღირებულება — 55 მილიონი დოლარი. აქამდე ოქროს მონეტებში „პირველობის პალმა“ კანადურ მონეტას ეკავა, რომლის წონაც 100 კილოგრამს შეადგენდა და რომელიც 2007 წელს გამოუშვეს.

ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავები



პოპულარულმა გამოცემამ „ფორბსი“ 2013 წლის ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავების რეიტინგი შეადგინა. ცნობილ ადამიანებში ლიდერობა პოპულარულმა ამერიკელმა ტელეწამყვანმა ოპრა უინფრიმ მოირგო — მან ხმების 48% დააგროვა. რეიტინგის ტოპ-ადგილები ჰოლივუდის სახელგანთქმულმა რეჟისორებმა გაინაწილეს, სუსტი სქესის წარმომადგენელი კი ამ სიაში მხოლოდ სამია. პოპულარული ვარსკვლავების რეიტინგში მეორე ადგილი, 47%-ით, რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა დაიკავა, მესამეზე მისი კოლეგა მარტინ სკორსეზეა 42%-ით. ტოპ-ათეულში მოხვდნენ ასევე კინორეჟისორი, პროდიუსერი და მსახიობი რონ ჰოვარდი (41%), რეჟისორი ჯორჯ ლუკასი (41%), ექიმი და ტელევარსკვლავი მაჰმატ ოზი (40%), ჟურნალისტი ბარბარა უოლტერი (37%), ერთადერთი მუსიკოსი სიაში — ბონო (37%), ფინანსური კონსულტანტი და ტელეწამყვანი სიუზან ორმანი (36%) და ცნობილი მსახიობი და რეჟისორი კლინტ ისტვუდი (36%).

კეტი ჰოლმსს ბედნიერი ერა დაუდგა

დაახლოებით რვა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მსახიობმა კეტი ჰოლმსმა საზოგადოება შოკში ჩააგდო თავისი განცხადებით: მან ტომ კრუზთან განქორწინება გადაწყვიტა. ისინი ერთად ექვი წელი ცხოვრობდნენ და როგორც მსახიობი აღიარებს, ეს წამების ექვსი წელი იყო. ახლა კი, კეტიცა და ტომიც, როგორც იქნა, ბედნიერები არიან, მაგრამ — ცალ-ცალკე. ჰოლმსს ახლა ბედნიერი ერა უდგას. ხელსაყრელი კომერციული წინადადებები ოქროს წვიმასავით მოდის. ახლა 34 წლის ჰოლივუდელი ვარსკვლავი, როგორც არასოდეს, მზადაა ახალი საქმეებისთვის, რის შეთავაზებას ადრე ვერც კი გაუბედავდნენ. კერძოდ, ადრე სექტანტი ქმარი, დიდი შემოსავლის მიუხედავადაც, არ მისცემდა საკმაოდ თამამ ფოტოსესიაში მონაწილეობის უფლებას. ახლა კი მარტოხელა დედას შეუძლია, იპოზიოროს მაღალი კლასისა და ძვირადღირებული საიუველირო ნაწარმის ახალი სერიისთვის. მსახიობი კომპანია H.Stern's Iris-ის სახე გახდა, რომელიც საიუველირო ნაკეთობებს ამზადებს. გაშიშვლებული კეტის ფოტოები სანაპიროზეა გადაღებული, რომელზეც საკმაოდ სექსუალურ ფორმაში მყოფი ვარსკვლავი აშკარად გაახალგაზრდავებული ჩანს, ამბობენ, რომ კრუზთან განქორწინება მას მხოლოდ მოუხდა და ახლა გაცილებით უკეთ გამოიყურება. კეტი მზადაა ახალი ურთიერთობებისთვისაც, თუმცა ჯერჯერობით, მხოლოდ კომერციულით შემოიფარგლება. ადრე ამავე კომპანიის საიუველირო ნაწარმს ისეთი ვარსკვლავები უწევდნენ რეკლამირებას, როგორიც კატრინ დენევი და კეიტ მოსი არიან.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		3			1			6
2	1					5	4	
								9
	6			9	8		7	
		1		7		4		
	8		5	4			2	
7								
	9	4					6	2
6			2			9		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

				8				3
						8	5	
5	4		9		2	1		
	3			7			4	8
		7				6		
9	8			4			2	
		4	8		7		6	5
	5	3						
6				9				

ᲠᲗᲣᲚᲘ

3		8		9				
2	9					8		5
		4	1					
	8		7	6				
7	6		3		1		9	8
				8	9		7	
					2	1		
5		3					8	6
				3		9		7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	8						5	
		4				2		
	1	9		6			8	7
			5	7		4		
		6	1		2	7		
		3		4	6			
4	9			2		8	6	
		2				5		
	6						4	

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲔᲘᲤᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘᲐ

ერთ-ერთმა უდიდესმა ტურისტულმა პორტალმა Tripadvisor პარიზის მშვენება — ეიფელის კოშკი მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ არქიტექტურულ ნაგებობად დაასახელა. პორტალის 13-წლიანი მუშაობის განმავლობაში, მომხმარებლებმა მის ბაზაში, დაახლოებით, 5 240 ფოტო ატვირთეს, რომელზეც საფრანგეთის დედაქალაქის „რკინის ლედია“ გამოსახული. ტურისტულ ღირსშესანიშნაობათა რეიტინგში, მეორე ადგილზე რომის სავიზიტო ბარათი — კოლიზეუმი გავიდა. ჯერ კიდევ 2009 წელს, კორნელის უნივერსიტეტის მკვლევარებმა 35 მილიონამდე ფოტოს ანალიზი ჩაატარეს, რაც onlain-server Flickr-ის 300 ათასზე მეტი მომხმარებლის გვერდებზე იყო ატვირთული. ისინიც ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ — ამ პორტალშიც ეიფელის კოშკის გამოსახულებიანი ფოტო, მსოფლიოს სხვა არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობებთან შედარებით, უფრო მეტჯერ იყო განთავსებული.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲐᲚᲔᲡ

„მწვანე კონტინენტზე“ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქალის ცხოვრებაში ახალი, ბედნიერი წლები 50 წლის ასაკში იწყება. ამ დროისთვის, მანდილოსანი თავისუფლდება კომპლექსებისგან. გამოკითხვაში მონაწილე ქალბატონთა უმრავლესობამ აღიარა, რომ ადრე პარტნიორთან სექსუალური ურთიერთობები არც ისე ხშირად ჰქონდათ, ვიდრე 50 წლის შემდეგ. ასეთი მაჩვენებლებით კი შეიძლება მხოლოდ 20 წელს ზემოთ ასაკის გოგონებმა იტრაბახონ, თუმცა როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ასეთ ახალგაზრდა ასაკში სუსტი სქესის წარმომადგენლები, ნახევარ საუკუნეს გადაცილებული მანდილოსნებისგან განსხვავებით, თავს ბედნიერად ვერ გრძნობენ. ავსტრალიელ სწავლულთა გამოკითხვამ ისიც აჩვენა, რომ ასაკში შესული ქალბატონების უმეტესობა სპორტითაა დაკავებული და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ნაცნობი შეიძინოს.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲐᲓᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ

ფეხბურთელების სატრანსფერო ღირებულება საკმაოდ რთულად გასათვლელია. მისი მოცულობა დამოკიდებულია ბევრ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორებზე, ისეთებზე, როგორიცაა, მაგალითად ფეხბურთელის ასაკი, რეალური თუ პოტენციური კლასი, ქვეყანა, რომლის მოქალაქეცაა, კონტრაქტის ვადა, ხელფასი, მიღებული ტრავმები, ძველი თუ ახალი კლუბების მიერ მისით დაინტერესების ხარისხი... ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება ძალიან ართულებს ამა თუ იმ ფეხბურთელის „ფასის“ დადგენას.

მიუხედავად ამისა, ცნობილი ვებგვერდი transfermarkt.de მსოფლიოს ცნობილი ფეხბურთელების ღირებულების დადგენას, უკვე მრავალი წელია წარმატებით ახერხებს. ამდენად, მან აზერბაიჯანის საფეხბურთო პრემიერლიგის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელების ათეული გამოაქვეყნა, რომელსაც „ვერსია“ გთავაზობთ:

1. **რიჩარდ ალმეიდა დე ოლივეირა (ბრაზილია) — „ყარაბაღი“, 23 წლის — 1 300 000 ევრო;**
2. **კრისტიან პულჰაკი (რუმინეთი) — „გაბალა“, 28 წელი — 900 000 ევრო;**
3. **დიმიტრიოს სიალმასი (საბერძნეთი) — „ხაზარ-ლენქორანი“, 26 წლის — 750 000 ევრო;**
4. **ვანდერსონ სკანდუელი (ბრაზილია) — „ხაზარ-ლენქორანი“, 28 წლის — 700 000 ევრო;**
5. **რაშად სადიხოვი (აზერბაიჯანი) — „ყარაბაღი“, 30 წლის — 650 000 ევრო;**
6. **ლუკაშ საპელა (პოლონეთი) — „რევანი“, 30 წლის — 600 000 ევრო;**
7. **ტომისლავ ბუშიჩი (ხორვატია) — „სიმურგი“, 27 წლის — 550 000 ევრო;**
8. **კამრან აგაევი (აზერბაიჯანი) — „ბაკი“, 27 წლის — 500 000 ევრო;**
9. **ფლავინიუ (ბრაზილია) — „ნეფთჩი“, 29 წლის — 450 000 ევრო;**
10. **აფრან ოსმაილოვი (აზერბაიჯანი) — „ყარაბაღი“, 24 წლის — 400 000 ევრო.**

ᲡᲐᲞᲜᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐ ᲨᲝᲑᲐᲓᲝᲑᲐᲡ ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ

სერიალებს საკუთარი წვლილი შეაქვს ბრაზილიის მოსახლეობის შემცირებაში, — აცხადებენ ლონდონის ეკონომიკური კვლევითი ცენტრის ექსპერტები, რომელთაც გამოკვლევა ჩაატარეს. მიღებული შედეგების მიხედვით, ბრაზილიელების მისწრაფება საპნის ოპერებისადმი „დამნაშავეა“ გასული 40 წლის განმავლობაში ქვეყანაში შობადობის მკვეთრ შემცირებაში. მცირერიცხოვანი ოჯახები, რომელთა ისტორიებსაც გვიამბობს სერიალები, ლათინოამერიკელ ქალებს უბიძგებს, ბევრი შვილი არ გააჩინონ. პოპულარულ ტელეარხ „გლობოს“ გადაცემები, ამ მხრივ, უდიდეს გავლენას ახდენს მოსახლეობაზე. შობადობის შემცირებას ექსპერტები, ძირითადად, „გლობოს“ არხზე გათამაშებულ ოჯახურ დრამებს უკავშირებენ. ქალებს, განსაკუთრებით კი ღარიბებს, რომელთაც ინფორმაციის სხვა წყარო არ აქვთ, გარდა ტელევიზიისა, ნაკლებად სურთ შვილების გაჩენა. საპნის ოპერების გავლენა სხვა ასპექტშიც ვლინდება — ბრაზილიელი ქალები საკუთარ შვილებს სულ უფრო ხშირად არქმევენ საყვარელი გმირების სახელებს სერიალებიდან.





გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

გაზეთი „ვერსია“ ერთჯერადად შეისყიდის სკანვორდებს
(ელექტრონულ ვერსიას). ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.